საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | №109 (2809) | პარასკევი, 8 მაისი, 1998 წელი. | ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

**პრეზიდენტი**

## ლეოპოლდ ბაუზბეკი ახალ პროექტებს გვთავაზობს

ჩვენი ქვეყნისათვის საკმაოდ კარგად ცნობილი ავსტრიელი ბიზნესმენი, ფირმა „აბვ"-ს პრეზიდენტი ლეოპოლდ ბაუზბეკი, რომლის სახელთან არის დაკავშირებული სასტუმრო „მეტეხი-პალასი" და გუდაურის კომპლექსი, ახალ პროექტებს გვთავაზობს.



7 მაისს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე ლეოპოლდ ბაუზბეკმა წარმოადგინა თბილისის ძველ უბანში, სოლოლაკში კომერციული ცენტრისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სტუმრების მიღების მთავრობის რეზიდენციის ერთიანი კომპლექსის მშენებლობის გეგმა. კომპლექსის დაფინანსება, რომლის მშენებლობა 22 თვეში დასრულდება, „აბვ"-ს პრეზიდენტს საკუთარი, უცხოელი ინვესტორებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით აქვს განზრახული. ახალი ცენტრის დაპროექტება-მშენებლობა, ლეოპოლდ ბაუზბეკის განცხადებით, ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით განხორციელდება.

შეხვედრაზე იმსჯელეს, აგრეთვე, „აბვ"-ს პრეზიდენტის მიერ შემუშავებულ პროექტზე, რომელიც კურორტ ბაკურიანის განვითარებას ითვალისწინებს.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.**

**აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს**

## პრეზიდენტი მოითხოვს, რომ თითოეული ჩვენგანი განიმსჭვალოს სიტყვისა და საქმისათვის პერსონალური პასუხისმგებლობით

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის ახლანდელი ეტაპი ძალას იკრებს და მოსალოდნელად აყენებს სულ ახალ და ახალ ამოცანებს, რომელთა გადაჭრამ უნდა დააჩქაროს მათი ხორცშესხმა. მაგრამ ამასთანავე უმნიშვნელოვანეს, უმთავრეს პრობლემად რჩება კვლავ ბიუჯეტის, მისი შემოსავლისა და გასავლის შესრულება, რაზეც უშუალოდ არის დამოკიდებული რეფორმების წინსვლა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და, საბოლოოდ, მოსახლეობის კეთილდღეობა. ეს სრულიად გარკვევით ითქვა მთავრობის მორიგ სხდომაზე, რომელიც 6 მაისს გაიმართა ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით.

აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს განსახილველად წარმოდგენილ საკითხებს შორის პირველი იყო ბიუჯეტის შესრულების 1998 წლის იანვარ-აპრილის წინასწარი შედეგები. როგორც ფინანსთა მინისტრის მიხეილ ჭკუასელის ინფორმაციიდან ჩანს, ბიუჯეტის ამ პერიოდის შემოსავალი, გრანტების ჩათვლით, განსაზღვრული იყო 23,8 პროცენტის ფარგლებში, რაც 244,9 მილიონ ლარს შეადგენს. წინასწარი მონაცემებით, ნავარაუდევი მაჩვენებლის შესრულება, თქვა მან, მოსალოდნელია 27 პროცენტის ანუ 273 მილიონი ლარის დონეზე. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გადამეტება მიაღწევს 40 პროცენტს. ამასთანავე, მინისტრმა აღნიშნა, რომ არასაგადასახადო შემოსულობათა ხაზით ბიუჯეტებმა მიიღეს მხოლოდ 159,6 მილიონი ლარი, რაც გათვალისწინებული თანხის 53,9 პროცენტს არ აღემატება. აქედან საგადასახადო ინსპექციაზე მოდის 96,2 მილიონი ლარი, ანუ 95,7 პროცენტი. მაგრამ, რაც შეეხება აპრილში შექმნილ ვითარებას, აქ საერთო შემოსავალმა დაგეგმილ მაჩვენებლებს 9 მილიონით გადააჭარბა, და რაც ფრიად დამაიმედებელია, შესაძლებელი გახდა საგადასახადო შემოსულობათა დავალების გადამეტება 2,5 მილიონი ლარით, ისევე როგორც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა აპრილში არასაგადასახადო შემოსულობათა გეგმა: 6,6 მილონის ნაცვლად მობილიზებულია 11,2 მილიონი ლარი. მთლიანად იანვარ-აპრილში ამან მიაღწია 66,3 მილიონ ლარს, რაც სამჯერ აღემატება ნავარაუდევ მაჩვენებელს.

მინისტრმა სხდომას მოახსენა, რომ ბიუჯეტების საერთო შემოსავალი მიმდინარე წლის ოთხ თვეში წლიური მოცულობის 21,1 პროცენტი იყო, მაშინ, როცა ამ პერიოდისათვის დაგეგმილი იყო 18,5 პროცენტის ფარგლებში. ეს, მინისტრის თქმით, კარგ წანამძღვარს უქმნის მთელი წლიური პროგრამის შესრულებას. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ ამავე პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტობრივი გასავალი არ აღემატებოდა 255 მილიონ ლარს, ანუ შეადგინა დაგეგმილი მოცულობის მხოლოდ 96,6 პროცენტი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. იანვარ-აპრილში პენსიათა დავალიანების დასაფარავად გამოიყო 14 მილიონი ლარი, რაც 5,6 მილიონით აღემატება დავალებით გათვალისწინებულს, ამასთანავე, წლის დამდეგთან შედარებით, კიდევ 6 მილიონი ლარით შემცირდა გასული წლიდან სახელმწიფოზე რიცხულ პენსიათა დავალიანება. ამასთანავე მინისტრმა თქვა, რომ ასეთი შემცირება გათვალისწინებულია ყოველთვიურად. როგორც მან განაცხადა, 1998 წლის პირველი მაისისათვის ამ დავალიანებათა მოცულობა უკვე 22 მილიონ ლარს შეადგენს. ამ თვეში ნავარაუდევია დაიფაროს კიდევ 5 მილიონი, ხოლო ივნის-ივლისში მთლიანად გაუსტუმრონ ვალი პენსიონერებს.

აღნიშნული პროგრამის განხორციელების, საერთოდ ბიუჯეტების შესრულების გზებსა და საშუალებებზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრმა თენგიზ გაზდელიანმა, ქვეყნის საგადასახადო და საბაჟო სამსახურების ხელმძღვანელებმა თენგიზ აბულაძემ და ოლეგ ნიკოლაიშვილმა. რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსმა ბადრი ხატიძემ, სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა.

იხ. მე-2 გვ.

**დაჯილდოება**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 5 მაისი | ქ. თბილისი

**ლ. ისაკაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მუსიკალური ხელოვნების განვითარების, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი, მუსიკოს-შემსრულებელი ლიანა ისაკაძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

**მილოცვა**

## «თქვენ მილიონობით თაყვანისმცემელი გყავთ»

ქალბატონ ლიანა ისაკაძეს სამშობლოს ჯილდო მიულოცა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. მისალოც ბარათში ნათქვამია:

„ქალბატონო ლიანა, მინდა გამოვხატო თქვენდამი ულრმესი პატივისცემა დამოუკიდებელი საქართველოს ორდენით თქვენ დაჯილდოებასთან დაკავშირებით. თქვენ ხომ მსოფლიოში მილიონობით თაყვანისმცემელი გყავთ, მიგულეთ მეც მათთან ერთად.

**ედუარდ შევარდნაძე."**

**ადამიანი — დროში**

## მე ჩანგური სხვისთვის მინდა



[illegible] ...ხურებული მუშაკი შერმადინ დარჩიაშვილი.

იხ. მე-10 გვ.

**პარლამენტის თავმჯდომარე**

## მსოფლიო ბანკი აფინანსებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მიიღო მსოფლიო ბანკის კულტურული პროექტის ხელმძღვანელი ტომას ბრიკპოლში და მსოფლიო ბანკის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ჯოზეფ ოუენი.

როგორც ცნობილია, საქართველომ და მსოფლიო ბანკმა ხელი მოაწერეს საკრედიტო ხელშეკრულებას კულტურული მემკვიდრეობის პროექტის განხორციელების მიზნით. იმისთვის, რომ ეს ხელშეკრულება გახდეს ეფექტიანი, აუცილებელია მისი პარლამენტში რატიფიცირება. როგორც შეხვედრაზე მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ეს პირველი შემთხვევაა ამ ორგანიზაციის პრაქტიკაში, როცა ისინი ამგვარ პროექტს აფინანსებენ. მით უმეტეს, რომ გამოყოფილია 4,5 მილიონზე მეტი ამერიკული დოლარი. როგორც შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, ამ და სხვა ფინანსური სახსრების, გრანტების განკარგვის საქმეში საჭიროა მაქსიმალური გამჭვირვალობა, რათა გამოირიცხოს კორუფციულ ქმედებათა ყოველგვარი გამოვლინება. განიხილეს ამ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები.

ბატონ ზურაბ ჟვანიას თქმით, ეს საკითხი საპარლამენტო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო იქნება.

**პარლამენტის პრესსამსახური.**

**ტაძრისკენ**

## სულიერება და ეკონომიკური აღმავლობა



დარღვეული სულიერი წონასწორობის აღდგენის, ქრისტიანული რწმენის განმტკიცების მიზნით ბევრი რამ გაკეთდა ფოთში. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ვიზიტი ფოთის ეპარქიაში, უპირველესად, ამ საეროსალვთო მიზანს ემსახურებოდა.

იხ. მე-10 გვ.

**დღეს**

## მოსწავლეთა საგაზაფხულო ფესტივალი

დღეს თბილისის მერიაში საზეიმოდ გაიხსნება დედაქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა დღეები – „საგაზაფხულო ფესტივალი". პროგრამით გათვალისწინებულია ნორჩ პოეტთა და პროზაიკოსთა საღამოს და ფოლკლორისა და ეკოლოგიის დღეების გამართვა. საინტერესო იქნება ღონისძიება „ბავშვი და ბუნება", რომლის მონაწილეებსაც თბილისის ზოოპარკი უმასპინძლებს.

ფესტივალის დღეებში გაიმართება, აგრეთვე, მოსწავლე-ახალგაზრდობის მხატვრული შემოქმედების საქალაქო მერება – „თბილისის ნორჩი ტალანტები-98", მხიარულთა და საზრიანთა კლუბების მეორე საქალაქო ჩემპიონატის დასკვნითი ტური და ღია კარის დღე – თბილისის უფროსკლასელ მოსწავლეთა შეხვედრები დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან.



სურათზე: სწავლის ძირი მწარე არის.
ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

**ინფორმაცია**

### ენგურჰესი შეიძლება უშიშროების საბჭოს განხილვის საგანი გახდეს

7 მაისს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის ხელმძღვანელობით გამართულ თათბირზე მწვავედ დაისვა საკითხი ენერგეტიკის დარგში, კერძოდ, ენგურჰესის, ვარდნილჰესისა და ენგურჰესის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარების გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

(იხ. მე-2 გვ.)

### ფრთხილად – თურქულია!

მთლიანად აიკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთიდან პირუტყვის, ქათმის და მეცხოველეობის პროდუქციის შემოტანა იმის გამო, რომ იქ გავრცელებულია სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ჭირი. რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებზე გამკაცრებულია კონტროლი შემოსატანი პროდუქციისადმი. შექმნილია ვეტერინარული მიმღები პუნქტები, ეპიზოოტიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო საგანგებო კომისიის განკარგულებით შექმნილია დამატებითი სტაციონარული პროფილაქტიკურ-საკარანტინო ვეტსაგუშაგოები.

### თავდაცვის მინისტრმა ჯონი ფირცხალაიშვილი დააბრუნა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უმაღლეს ეშელონებში პირველი საკადრო ცვლილება მოხდა. გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გენერალ-მაიორმა დავით თევზაძემ სამხედრო კოლეგიას შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის ახალი უფროსი გენერალ-მაიორი ჯონი ფირცხალაიშვილი წარუდგინა, რომელმაც ამ პოსტზე გენერალ-ლეიტენანტი ზურაბ მეფარიშვილი შეცვალა. ჯონი ფირცხალაიშვილი დაიბადა ქ. ლანჩხუთში 1947 წლის 22 მაისს. იგი 1970 წლიდან სამხედრო სამსახურში იმყოფება. დაამთავრა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია. სწავლება გაიარა დასავლეთის მთელ რიგ სამხედრო ცენტრებში. 1985 წელს მეთაურობდა მოტომსროლელთა დივიზიას ქალაქ ხმელნიცკში. 1988 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. 1989 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა და დაინიშნა რესპუბლიკის სამხედრო კომისრად. 1991 წელს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი თავდაცვის მინისტრი იყო.

### ბრძანებულებაში ცვლილებებია შეტანილი

„საქართველოს პრეზიდენტთან შეწყალების საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 8 მაისის №309 ბრძანებულებით დამტკიცებულ კომისიის შემადგენლობაში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეტანილია შემდეგი ცვლილებები: შეწყალების კომისიის შემადგენლობაში შეყვანილია დავით სალარიძე – საქართველოს სახალხო დამცველი.

კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილი არიან ალექსანდრე კავსაძე და გია მეფარიშვილი.

### რუმინეთის ინიციატივა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან იტყობინებიან, რომ რუმინეთის თავდაცვის სამინისტრომ წინადადებით მიმართა შავიზღვისპირა რეგიონის ქვეყნებს (მათ შორის, საქართველოს), შეიქმნას მრავალეროვნული სამხედრო საზღვაო ძალთა კორპუსი, რომელმაც უნდა დაიცვას შავიზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, კომუნიკაციების უსაფრთხოება. აღსანიშნავია, რომ ამგვარ კორპუსს უკვე ქმნის რუმინეთის თავდაცვის სამინისტრო თურქეთის რესპუბლიკასთან ერთად.

### „სეგოდნიამ" პროვოკაციული წერილი დაბეჭდა

იბერიის კორესპონდენტს სარწმუნო წყარომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან განუცხადა და პროვოკაციული უწოდა მოსკოვის გაზეთ „სეგოდნიაში" გამოქვეყნებულ ცნობას, თითქოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გეგმავს აჭარაში დამატებითი ჯარების შეყვანას. ამგვარი გადაწყვეტილება არ არსებობს და თუ თავდაცვის სამინისტრო აჭარაში შეიარაღებული ძალების გაძლიერების მიზნით შეიყვანს კონტინგენტს, ამგვარი გადაწყვეტილება შეთანხმებული იქნება ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებასთან.

### „ჯეოსელის" გეგმები

მობილური კავშირგაბმულობის ფირმა „ჯეოსელთან" თანამშრომლობით დაინტერესებას ცხინვალის რეგიონში გამოთქვამენ. როგორც „გეა"-ს კორესპონდენტს „ჯეოსელის" გენერალურმა მენეჯერმა თეიმურაზ ღოღობერიძემ უთხრა, ამჟამად „ჯეოსელი" გორში განლაგებული საბაზო სადგურების მეშვეობით სთავაზობს თავის აბონენტებს ამ რეგიონთან კავშირს. „ჯეოსელს" როგორც ცხინვალის, ასევე, აფხაზეთის რეგიონებთან დაკავშირების გარკვეული გეგმები აქვს, რომელთა განხორციელებაც პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

### ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფი გვეწვევა

კავკასიაში ევროპის ახალგაზრდული ცენტრის შექმნის სურვილი გამოთქვეს ევროსაბჭოს ახალგაზრდულ საქმეთა დირექტორის ფრანკო მარციალეს სახელზე გაკეთებულ მიმართვაში საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელებმა. მოლაპარაკებების საფუძველზე მიმდინარე წელს საქართველოს ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფი ეწვევა, რომელიც ქართველ ექსპერტებთან ერთად ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებისა და კანონების სრულყოფაზე იმუშავებს.

### ზარალს კომისია დაადგენს

საჩხერის რაიონში 1998 წლის 30 აპრილს წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენისა და მისი ლიკვიდაციისათვის შესაბამისი წინადადებების მოსამზადებლად საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა მთავრობის კომისია საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის მალხაზ ჩაჩავას თავმჯდომარეობით.

კომისიას დაევალა საჩხერის რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ათ დღეში წარმოადგინოს სათანადო წინადადებები.

### ახალი გამგებელი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ზაურ ქრისტესიაშვილი დაინიშნა გორის რაიონის ერედვის თემის გამგეობის თავმჯდომარედ.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ" და „გეამ".**

**თანადგომისათვის**

## საქართველოს პრეზიდენტს — ოლიმპიური ორდენი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) აღმასკომის გადაწყვეტილებით, ოლიმპიური მოძრაობის მხარდაჭერისა და ოლიმპიზმის იდეებისადმი თანადგომისათვის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ჯილდოთი – ოლიმპიური ორდენით დაჯილდოვდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

ასეთი შინაარსის ფაქსი მოვიდა ამ დღეებში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ჯანო ბაგრატიონის სახელზე.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან გამოგზავნილ ამ დოკუმენტს ხელს აწერს სოკის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან ურთიერთობის, ანუ ოლიმპიური სოლიდარობის დირექტორი, სოკის აღმასკომის წევრი პერე მირო.

რაც შეეხება ბატონ ედუარდ შევარდნაძისათვის ოლიმპიური ორდენის გადაცემის ცერემონიალთან დაკავშირებულ დეტალებს, როგორც სოკი იტყობინება, ამის შესახებ დამატებით ეცნობება საქართველოს ეოკს.

აქამდე, ვინც საქართველოდან მიიღო ოლიმპიური ორდენი, გახლდათ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი.

**გაბრიელ ბარჯაძე.**

**გვეხმაურებიან**

## მე, გეტყვი, ვინცა ხარ...

ჩემი ძველი მეგობარი და კოლეგა გელა ლეჟავა „საქართველოს რესპუბლიკაში" (№102, 1998 წლის 1 მაისი) გამოქვეყნებული ფელეტონით რედაქციას თხოვს უპასუხოს: თუ დედა მეგრელი იმერელია, მამა კი უფრო იმერელი მეგრელი, თავად ვინ არის?

მე ვიცი, ბატონი გელა, ეს დიდებული ქართველი ინტელიგენტი, თავისუფალი ყოველგვარი კუთხურობისა და პარტიკულარიზმისაგან, „რა ნესტარითაცაა ნაჩხელეტი". მან ქართველთა ერთიანობისაკენ მოწოდება მეტად ორიგინალური ფელეტონით სცადა და, ჩემი აზრით, მიზანსაც მიაღწია.

ბატონ გელას შველა და რჩევა ჩემთვის არ უთხოვია, მაგრამ როგორც ძველი თანამებრძოლი, თანამოაზრე და პატივისმცემელი, მისი ხათრით რედაქციას წავეშველები, გელას კი ვურჩევ: რაკი შენი წარმომავლობა „სადავოა", ამ დავით ვილაცამ ხომ უნდა ისარგებლოს? ნუ იქნები ნურც მეგრელი და ნურც იმერელი, სჯობს ისევ ნეიტრალური ეთნიკური კუთვნილება აირჩიო: ბათუმში დაიბადე და ეს, ალბათ, პასპორტშიც ასეა ჩაწერილი, თანაც გიყვარს აჭარა და მისი მკვიდრნი; ხომ ასეა? ამიერიდან იყავი აჭარელი.

რა მოხდა? რაც ანდრია პირველწოდებულმა საქართველო ქრისტიანობისაკენ მოაქცია, მას შემდეგ განცდილი ათასი ქარტეხილის მიუხედავად აჭარელი ვარ და ქვეყანა არ დაქცეულა. პირიქით, ერთ უძველეს და უწმინდეს ქართველად ვთვლი თავს. აწი, ამ თავისუფალ ქვეყანაში, როცა თითქმის ყველაფერი გადავიწყვიმეთ, რა ღმერთი გაგვიწყრება?

**ძმური სიყვარულით რამაზ სურმანიძე,**
**1998 წლის 2 მაისი. ქ. ბათუმი.**

**უკანასკნელ საათს**

*ბუშინ* მოსკოვში აზერბაიჯანული დიასპორის 1500-ზე მეტმა წარმომადგენელმა რამდენიმე საათით გადაკეტა კომკავშირის პროსპექტი, რითაც გამოხატეს პროტესტი ლუჟნიკების ბაზრობაზე გამყიდველის ასაფ ნაბიევის მკვლელობის გამო.

*ბუშინ* ოფიციალურად ერთ გიგანტურ კონცერნად გაერთიანდა გერმანული „დაიმლერ ბენცი" და ამერიკული „კრაისლერი".

*დღეს* აღმასრულებელი მდივნის ბორის ბერეზოვსკის პირველი მიელინება კიშინიოვში, კიევსა და მინსკში, დღეს ბაქოსა და ერევანში გაგრძელდება.

*ჯერაც* არავითარი ინფორმაცია არ არის რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ვალენტინ ვლასოვის გატაცებასთან დაკავშირებით.

**დღეს**

**ამინდი**

**დასავლეთ საქართველოში**

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +11+16, დღისით +23+28
მთაში: ღამით +8+13; დღისით +19+24
მაღალ მთაში: ღამით +3+8, დღისით +11+16.

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ღრუბლულიანი ამინდი, უმეტეს რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, მოსალოდნელია სეტყვა. დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში, ზოგან 17-22 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +12+17; დღისით +23+28
მთაში: ღამით +6+11; დღისით +20+25
მაღალ მთაში: ღამით +3+8; დღისით +14+19.

**თბილისში:**

ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა ელჭექით, ჩრდილო დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში, ქალაქის გარეთ 17-22 მეტრი წამში. ღამით +14+16; დღისით +25+27.

**საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.**

## ლარის კურსი

*საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 8 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| გირვანქა სტერლინგი | 1 | 2.2228 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.7572 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.3380 ლარი |
| ფრანგული ფრანკი | 1 | 0.2257 ლარი |
| თურქული ლირა | 10,000 | 0.0535 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.2182 ლარი |

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

# პრეზიდენტი მოითხოვს, რომ თითოეული ჩვენგანი განიმსჭვალოს სიტყვისა და საქმისათვის პერსონალური პასუხისმგებლობით

(პირველი გვერდიდან)

როგორც ხაზგასმით აღნიშნა ქვეყნის პრეზიდენტმა, ორი თვის ვადაში სავალდებულო წესით უნდა შესრულდეს მოსახლეობისათვის მიცემული ყველა დაპირება პენსიების, ხელფასებისა და დახმარების გაცემასთან დაკავშირებით. ამასთანავე ედუარდ შევარდნაძემ დამსწრეთ შეახსენა, რომ ამავე ვადისათვის უნდა შესრულდეს, აგრეთვე, პედაგოგებისათვის ზაფხულის შვებულების ფულის მიცემა. ამისათვის კი, თქვა მან, ყველაფერი უნდა ვილონოთ, რათა უზრუნველვყოთ სახელმწიფოს კუთვნილი სახსრების ბიუჯეტში მობილიზაცია. თუ არა, — გააფრთხილა დამსწრენი პრეზიდენტმა — განხორციელებული იქნება უმკაცრესი ღონისძიებანი, რადგან ხელისუფალნი არ აპირებენ გადაუხვიონ ალებულ გეზს, რაოდენ ძნელიც უნდა იყოს ეს. თუ ხელმძღვანელი არ არის თავის ადგილზე, თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობებს, მან უნდა დატოვოს თავისი პოსტი, — ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ. როგორც მან თქვა, სწორედ ამით იყო განპირობებული თავდაცვის მინისტრისა და ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი ხელმძღვანელთა გადადგომა.

ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში საქმის ვითარების გამოსწორების დიდი რეზერვები გვაქვს, თქვა პრეზიდენტმა. არსებული შესაძლებლობებისა და რეზერვების გამოყენებით ყველა პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ბოლოს და ბოლოს სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი იმ პრობლემის გადაჭრას, რომელიც ბანკების გარეთ მიმოქცევაში არსებულ უზარმაზარ ფინანსურ სახსრებს უკავშირდება, ამან კი შეიძლება უზრუნველყოს ბიუჯეტში სოლიდური შემოსულობანი. ედუარდ შევარდნაძე შეეხო სახელმწიფოს საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკას, ინფლაციური პროცესების მოწესრიგების შესაძლებლობებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტრომ, ეროვნულმა ბანკმა უმთავრესი ყურადღება უნდა დაუთმონ მოსახლეობის, უწინარესად იმ ხელმოკლე მოქალაქეთა ინტერესებს, ვისაც უკიდურესად უჭირს. როგორც მან თქვა, ინფლაციურ პროცესებში ხელოვნურ ჩარევას შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს. აქ საჭიროა საფუძვლიანი აწონილ-დაწონილი, ხალხის ცხოვრების დონის თანამიმდევრული ამაღლებისათვის გამიზნული პოლიტიკა. პრეზიდენტმა სერიოზული შენიშვნები გამოთქვა მრეწველობის სამინისტროს მიმართ, რომლის ხელმძღვანელებსაც მოსთხოვა მეტი ინიციატივა და ენერგიულობა, მობილურობა და მანევრირება გამოიჩინონ, განსაკუთრებით პროდუქციის გასაღების ბაზრების ძიებასა და ათვისებაში. როგორც მან თქვა, ერთგვარი თვითდამშვიდება იგრძნობა ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრივ, რომელმაც შარშან ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ ახლა უფრო მეტად კმაყოფილდება ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის არსებობის ფაქტით, ვიდრე იმით, რომ ქვეყნისათვის სრული უკუგებით ამუშავდეს. მაგალითად, სამინისტრო ნაკლებად ზრუნავს სატარიფო პოლიტიკის სრულყოფისათვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განსახორციელებლად დასახული დიდი გეგმების შეკვეცა და ჩაშლა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულებას, როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, არ შეიძლება ეს მუშაობა თვითდინებით წარიმართოს, მას სათავეში უნდა ჩაუდგნენ თავად რეგიონების ადგილობრივ ადმინისტრაციათა ხელმძღვანელები, როგორც მოხდა ეს, მაგალითად, თბილისსა და აჭარაში, რომლებსაც არა აქვთ განსაკუთრებული პრობლემები ცენტრალურ ბიუჯეტთან ურთიერთობაში. აქ საჭიროა ყოველდღიური, რუდუნებით მუშაობა. როგორც პრეზიდენტმა თქვა, სადღეისოდ არ არსებობს უფრო დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, ვიდრე ბიუჯეტების შესრულების პრობლემაა. თუ ჩვენ სახელმწიფო ვართ, ბიუჯეტი უნდა იყოს ბიუჯეტი, რომლის შესრულება თითოეულის ღირსებისა და პასუხისმგებლობის საქმე უნდა გახდეს, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

მთავრობამ მოიწონა პროექტი კანონისა „შრომის შესახებ კანონების კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“, რომლის მიზანია მინიმალური ხელფასის დონის დადგენის პრინციპების განსაზღვრა და მისი სამართლებრივი მოწესრიგება, კერძოდ, კანონპროექტი ადასტურებს, რომ მინიმალური ხელფასი ეს არის სოციალურ-ეკონომიკური ნორმატივი, შრომის ანაზღაურების შესაძლო მინიმალური დონე, რომლის განსაზღვრის საფუძველია საარსებო მინიმუმი. რაც შეეხება მუშაკის თვიურ ხელფასს, იგი არ უნდა იყოს დამტკიცებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები. და, როგორც ხაზგასმულია კანონის პროექტში, ამ პრინციპის დაცვა სავალდებულოა ყველა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის მათი კუთვნილებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.

სხდომაზე სერიოზული სჯა-ბაასი გაიმართა საქართველოს საბითუმო ბაზრის პროექტთან დაკავშირებით, რომლის ინიციატორია სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო და ქალაქ თბილისის მერია. მათი თხოვნით და ქვეყნის ხელმძღვანელობის რეკომენდაციით ამ პროექტის განსახორციელებლად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მზად არის მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გაუწიოს მას. საკმარისია ითქვას, რომ პროექტის განსახორციელებლად, რომლის საერთო ღირებულება 13.028 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს, ევრობანკს ამ მიზნით თბილისში საგანგებოდ შექმნილი სააქციო საზოგადოების „მწვანე ბაზრისათვის“ უნდა გამოეყო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტი 8,1 მილიონი დოლარის ოდენობით. ამავე დროს იგი დაჰპირდა, აგრეთვე, 1,5 მილიონ დოლარს სარეზერვო კრედიტს. როგორც სხდომაზე აღინიშნა, პროექტი ითვალისწინებს საქართველოს დედაქალაქში შეიქმნას ცენტრალური საბითუმო ბაზარი, რომელიც ჩაფიქრებულია როგორც ქვეყანაში წარმოებული ხილბოსტნეულის პროდუქციის ცენტრალიზაციის თავისებური ცენტრი. აგრეთვე, ამ პროდუქციის დაგროვების სამი რეგიონული ბაზარი ახალციხეში, გურჯაანსა და მარნეულში, საიდანაც იგი უნდა გაიგზავნოს ან თბილისის ცენტრალურ საბითუმო ბაზარში, ანდა პირდაპირ საექსპორტოდ.

ამასობაში, ამ პროექტის განხორციელება ამჟამად საეჭვო გახდა. საქმე ის არის, რომ ქართულმა მხარემ დაარღვია პარლამენტის მიერ ევრობანკთან დადებული საკრედიტო შეთანხმების რატიფიკაციის ყველა ვადა, რის შედეგადაც 1998 წლის პირველ აპრილს ინვესტორმა გადაწყვიტა პროექტის დახურვა. როგორც მთავრობის სხდომაზე მოწვეულმა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ განმარტა, მთავარი პრობლემა ის იყო, რომ კომერციული სტრუქტურისათვის სააქციო საზოგადოების „მწვანე ბაზრის“ სახით უნდა მიეცათ სახელმწიფო გარანტიები, რასაც საპარლამენტო ფრაქციები არ დაეთანხმნენ. რაც შეეხება თავად პროექტს, კანონმდებლებს მის მიმართ არავითარი პრეტენზიები არ ჰქონიათ.

პრეზიდენტის შეფასებით, ის, რაც მოხდა, ნიშნავს ქვეყნის ხელმძღვანელობისადმი უპატივცემულობას, მაშინ როცა მან ბევრი რამ გააკეთა, საქართველოსთვის ესოდენ საჭირო პროექტი რომ განხორციელებულიყო. როგორც მან თქვა, ამ დროს თავის სიმაღლეზე არ აღმოჩნდნენ არც ფინანსთა სამინისტრო, არც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო და არც პარლამენტი, რომლებმაც, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ბოლომდე ვერ შეაფასეს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა საბითუმო ბაზარს, როგორც გლეხების, ფერმერებისა და მოსახლეობის დამაკავშირებელ რგოლს, როგორც ხდება ეს, სხვათა შორის, მრავალ ქვეყანაში. ედუარდ შევარდნაძემ დაავალა შესაბამის ხელმძღვანელებს ერთხელ კიდევ შეიკრიბონ, აწონ-დაწონონ და კანონმდებლებთან გააანალიზონ საქმე, იმისათვის, რომ არ ჩაიფუშოს ეს პროექტი.

სხდომაზე გადაწყვიტეს, რომ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან შეიქმნას მომხმარებელთა უფლებების დაცვის საუწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭო, და დაამტკიცა მისი დებულება. განიხილეს სხვა საკითხებიც, რომლის დროს ედუარდ შევარდნაძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საშემსრულებლო დისციპლინის განუხრელად დაცვას ყველა დონეზე, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულებას. აღინიშნა, რომ არავის შერჩება უპასუხისმგებლო, გულგრილი დამოკიდებულება დავალებებისადმი, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი. პრეზიდენტმა მოითხოვა, რომ ყველა განიმსჭვალოს თავისი სიტყვისა და საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით.

**ედუარდ ედიბერიძე,**
საქინფორმის კორ.

ენერგეტიკა

## ენგურჰესი შეიძლება უშიშროების საბჭოს განხილვის საგანი გახდეს

(პირველი გვერდიდან)

„საქენერგოგენერაციის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წინა წლებთან შედარებით შარშან და მიმდინარე წელს ენგურჰესში ელექტროენერგიის გამომუშავების შემცირების უმთავრესი მიზეზი სარემონტო სამუშაოების გაჩერებაა. დაუფინანსებლობის გამო, ფაქტობრივად, ვერ შესრულდა დაგეგმილი სამუშაოების 70-80 პროცენტი, იმავე მიზეზით ამჟამად ვერ სრულდება კაპიტალური და პროფილაქტიკური სამუშაოები. ძირითადად სამუშაოები მხოლოდ ავარიების ალმოსაფხვრელად მიმდინარეობს. ენგურის თაღოვანი კაშხლის წყალგამშვები ფარების ავარიული მდგომარეობისა და მათ შეკეთებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო იღვრება წყალი, რაც 40-60 მეგავატ სიმძლავრეს უდრის, ანუ ყოველ წელიწადს იკარგება 365-520 მილიონი კილოვატსაათი. როგორც თათბირზე აღინიშნა, მძიმე ვითარებაა შექმნილი 1995-96-97 წლებში შესრულებული სარემონტო სამუშაოებისა და ხელფასების ანაზღაურების მხრივაც.

შარშან და მიმდინარე წელს ქართველ და უცხოელ ექსპერტთა მიერ განხორციელებული ექსპერტიზის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს კაშხლის სრულყოფილ და უსაფრთხო ექსპლუატაციას. კერძოდ, 1998 წელს კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის, სათადარიგო ნაწილების შესაძენად საჭიროა 1379 ათასი ლარი, შენობა-ნაგებობების და ჰიდროტექნიკური ნაგებობების სარემონტო სამუშაოებისათვის საჭიროა 2785 ათასი ლარი.

ხაზი გაესვა ენგურჰესზე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებასა და ხანძარდამცავი საშუალებების აუცილებლად შეძენის საკითხს.

განსაკუთრებული განხილვის საგნად იქცა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ობიექტის და აქედან გამომდინარე თითქმის საომარ სიტუაციაში მომუშავე თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვის საკითხი.

სახელმწიფო მინისტრმა დაავალა შესაბამის სტრუქტურებს უმოკლეს ვადაში წარმოადგინონ წინადადებები კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის თაობაზე, რომლებიც ენგურჰესის სრულ რეაბილიტაციას მოიცავს. „სახსრების უქონლობა არ ნიშნავს პრობლემის მიტოვებას, გაღრმავების ნებაზე მიშვებას. იმას, რომ თანამშრომლები თვეობით ხელფასს ვერ იღებენ, არანაირი გამართლება არა აქვს. მით უმეტეს, რომ მათი შრომა გმირობის ტოლფასია“, — განაცხადა ნიკო ლეკიშვილმა. მან უარყოფითად შეაფასა ენერგეტიკის დარგის მუშაკთა საქმიანობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რომელთა მრავალჯერადი და მრავალმხრივი დახმარების მიუხედავად, რეზერვები მაინც არსებობს. როგორც სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, წარმოდგენილ მასალას განიხილავს მთავრობის პირველივე სხდომა. პრობლემა ორ თემად გაიყოფა — ზოგადად ენგურჰესისა და საერთო ფინანსური მდგომარეობა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სახელმწიფო მინისტრმა არ გამორიცხა პრობლემის უშიშროების საბჭოზე განხილვის შესაძლებლობა.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.**

### სტიქია

**ზესტაფონი**

6 მაისს, საღამოს 9 საათზე დასავლეთიდან მოვარდნილმა მტორმულმა ქარებმა დიდი ზიანი მიაყენა ქალაქ ზესტაფონს და რაიონის სოფლებს. სტიქია თითქმის 45 წუთი მძვინვარებდა. სახლებს გადახადა სახურავები, მოთხარა ხეები. სტიქია განსაკუთრებით მძვინვარებდა სოფელ ცხრაწყაროში, ზოვრეთში, ფუთში, მარტოთუბანში, დილიკაურსა და სხვ. მსხვერპლი არ არის.

გამგეობაში შეიქმნა სპეციალური შტაბი, რომელიც სწავლობს სტიქიის შედეგებს და ზარალს. მიმდინარეობს გრიგალით გამოწვეული ნგრევის აღდგენითი სამუშაოები ადგილობრივი საშუალებებით.

**თერჯოლა**

მტორმმა გადახადა მამპანური ღვინოების ქარხნის 50 გონაზე მეტი სიმძიმის სახურავი. სახურავი მოაძრო აგრეთვე სახანძრო დაცვის შენობას, დაანგრია სოფელ ალისუბნის ბაგა-ბაღის შენობა და მოქალაქეთა სახლები.

წინასწარი მონაცემებით, 300-ზე მეტი სახლია დანგრეული და დაზიანებული. მწყობრიდან გამოვიდა ელექტრო და სატელეფონო ხაზები, დაზიანებულია 1200 ჰექტარი ვენახის ფართობი. მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

### აჭარის სტუმრები

ბათუმში ჩავიდა ევროპის რეგიონების ასამბლეის გენერალური მდივანი ვოლფგანგ მაიერი მეუღლითურთ. 7 მაისს სტუმრები მიიღო აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ — ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა ასლან აბაშიძემ.

ევროპის რეგიონების ასამბლეის სრულუფლებიან წევრად ავტონომიური რესპუბლიკის მიღება ევროპულ სტრუქტურებთან ფართო თანამშრომლობის პერსპექტივას უქმნის მთელ საქართველოს.

შეხვედრაში მონაწილეობდა საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მირეი მიუსო.

7 მაისს ქალაქის მოედანზე, რომელსაც ევროპის რეგიონების ასამბლეის სახელი ეწოდა, აღიმართა ევროპის რეგიონების ასამბლეის ყველა წევრი ქვეყნის სახელმწიფო დროშები.

### ქუთაისი - არა მარტო სავარდო და სამაისო

იმერეთის გუბერნატორის თეიმურაზ შაშიაშვილის ინიციატივით, გაიმართა რიგით მესამე საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთისა და ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები საქართველოში, ეროკავშირის ელჩი, ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებული სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ბასკეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი, ქართველი და უცხოელი ბანკირები და ბიზნესმენები.

უცხოელმა მონაწილეებმა დაათვალიერეს რამდენიმე საწარმო, მოიწონეს იმერეთის მხარეში დამზადებული სამრეწველო პროდუქცია, აღნიშნეს, რომ იმერეთის ეკონომიკას სწრაფად განვითარების პერსპექტივა აქვს, ხელისუფლებამ უფრო აქტიურად უნდა იბრძოლოს კორუფციის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მიმართ უცხოელი ინვესტორების დაინტერესება გაიზრდება, აღნიშნეს მათ. მიმდინარე ბიზნეს-კონფერენცია იმერეთის მხარისათვის სასარგებლო იქნება საქმიანი ურთიერთობის დამყარების და გაღრმავების თვალსაზრისით. ითქვა, რომ სააქციო საზოგადოება „ქუთაისის ავტოქარხანამ“ მიიღო ოქროს მედალი პარიზში გამართულ კონკურსში ბიზნესის წარმატებული დაწყებისათვის.

### შემოქმედებითი ანგარიშით

ყვარლის მხატვართა გაერთიანების „ფიროსმანის“ სამამოფენო დარბაზში გაიხსნა თბილისელი მხატვრის რუსუდან გოგიშვილის ნამუშევრების გამოფენა.

ქალბატონი რუსუდანი წარმოშობით სოფელ ლალისყურიდანაა და საგაზაფხულო გამოფენაც თავის საყვარელ კახეთს მიუძღვნა. ამ მხარის პეიზაჟები, კახელების ყოფითი სურათები, ავტოპორტრეტი, რელიგიური თემები — ანგელოზი, ფერიცვალება, ალავერდობა — იზიდავს მნახველებს. დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა წმინდა ილია მართლის პორტრეტმა, ნატყუარი შუბლით, „მამულო საყვარელო, შენ როსღა აჰყვავდები“.

ქალბატონი რუსუდანი პოეზიის ტრფიალია, თვითონაც წერს ლექსებს. მოსამზადებელი მისი ლირიკული ლექსები სამშობლოსა და ადამიანებზე.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს საქინფორმმა, ჩვენმა კორესპონდენტებმა.**

კანონმდებლები

### ამაზე ჩვენი გაზეთი წერდა

თბილისის საბინაო ფონდში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ იმსჯელეს გუშინ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ცქიტიშვილი უძღვებოდა.

შეხვედრაზე მსჯელობის მთავარი თემა გოთუას ქუჩა №20-ში მდებარე სახლი გახდა, რომელიც დღეისათვის უკვე 1 მეტრით და 20 სანტიმეტრით არის გადახრილი (ამაზე „სრ“ გუშინდელ ნომერში იხ. „ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია...“). ითქვა, რომ სახლიდან უნდა მოხდეს მოსახლეობის დაუყოვნებელი გამოსახლება და დაიწყოს სახლის გამაგრება. საბინაო ფონდში შექმნილი მძიმე მდგომარეობის ძირითადი მიზეზი, ვიცემერის განმარტებით, ქალაქის მოძველებული მიწისქვეშა კომუნიკაციებია, რომელთა აღდგენა-რეაბილიტაციისთვის დიდი ოდენობის თანხებია საჭირო.

აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად, მიიჩნევს ანდრია ზოდელავა, უნდა მოხდეს მუნიციპალური და საბიუჯეტო თანხების მობილიზაცია, ინვესტიციების მოზიდვა, სახლებში არსებული არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზების შედეგად მიღებული თანხები გადაირიცხოს საბინაო ფონდში და ბიუჯეტში ამ მიზნებისთვის გაითვალისწინონ მნიშვნელოვანი თანხები.

### ადგილობრივი არჩევნების შესახებ

პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტში მოეწყო პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი „საკრებულოების არჩევნების შესახებ“ კანონპროექტის განხილვა.

განხილვაში მონაწილეობდნენ პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის, იუსტიციის სამინისტროსა და თბილისის მერიის, სახელმწიფო მართვის ინსტიტუტის, საერთაშორისო საზოგადოება „სამართლიანი არჩევნები“ და საქართველოს ნაციონალისტური პარტიის წარმომადგენლები სპეციალისტ-ექსპერტები. სტუმრებმა შენიშვნები გამოთქვეს ზოგიერთი მუხლისა და დებულების მიმართ, რომელთაც კომიტეტი აუცილებლად გაითვალისწინებს.

განხილვა პარლამენტის კომიტეტებში გაგრძელდება.

### სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის

დღევანდელი აგრარული კომიტეტის საკომიტეტო მოსმენაზე განიხილეს ინფორმაცია აგრარულ სფეროში შემოსული დახმარებებისა და ინვესტიციების გამოყენების შესახებ, გადასახადები აგრარულ სფეროში და სხვა საკითხები. მიწვეული იყვნენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბაკურ გულუა, სამინისტროს წარმომადგენლები.

როგორც ბატონმა ბაკურ გულუამ აღნიშნა, ბოლო წლებში 80-იანი წლების დონეს 70 პროცენტამდე მივუახლოვდით. ასეთი რამ არცერთ დარგში არ ხდება. ჩვენი ხელშეწყობა ფერმერებისა და მეწარმეთათვის ნულოვანია. ის დახმარებები, რომლებიც საქართველოში შემოდის, არ არის საკმარისი, რათა ყველა სფერო დაკმაყოფილდეს. დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის კრედიტები არ არსებობს, — განაცხადა მინისტრმა. უახლოეს მომავალში შეიქმნება ფონდი, რომელიც უშუალოდ კვებისა და სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის იმუშავებს.

**პარლამენტის პრესსამსახური.**

სხვა გაზეთებიდან

## „საქართველო შეშინებულია რუსეთის შეთქმულების გამო“
### მოსკოვი ანგრევს დემოკრატიას, — აცხადებს შევარდნაძე

(თბილისი. საქართველო) — 26 აპრილს, როცა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თურქეთიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, შეშფოთებულმა მფრინავმა მას აცნობა, რომ არსად ჩანდა საქართველოს საჰაერო ძალების ორი თვითმფრინავი, რომლებსაც ესკორტირება უნდა გაეწიათ პრეზიდენტის ავიახომალდისათვის.

ბატონ შევარდნაძის თვითმფრინავი მშვიდობიანად დაეშვა თბილისის აეროპორტში. მოგვიანებით გამოძიებამ ცხადყო, რომ ახლომდებარე რუსეთის სამხედრო ბაზაში განლაგებული სამხედრო თვითმფრინავები ვერ აფრინდნენ იმის გამო, რომ მათს ძრავებში ქვიშა იყო ჩაყრილი. შეურაცხყოფილმა ბატონმა შევარდნაძემ თანამდებობიდან გაათავისუფლა თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე, რომელიც ცნობილი იყო თავისი პრორუსული პოზიციით.

ასეთი ინციდენტების სერიალში ამ უკანასკნელმა შემთხვევამ დაარწმუნა ბევრი ქართველი, რომ რუსეთის გავლენიანი ძალები შეთქმულებას აწყობენ საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიისა და, კერძოდ, ბატონ შევარდნაძის წინააღმდეგ. საქართველოს თითქმის ყველა პოლიტიკოსისა და ინტელექტუალის აზრით, ეკონომიკური და სტრატეგიული მიზეზების გამო მოსკოვი ცდილობს, მათი სამშობლო, რომელმაც დამოუკიდებლობა 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიპოვა, არ გავიდეს რუსეთის ორბიტიდან.

მოსკოვისადმი წინააღმდეგობა ძლიერდება როგორც საქართველოში, ასევე მის მეზობელ აზერბაიჯანშიც, რომელსაც ჰეიდარ ალიევი უდგას სათავეში. ამას წინათ პრეზიდენტმა ალიევმა განაცხადა, რომ იგი და მისი თანამემამულენი „ყმები არ არიან“ და არ აპირებენ „დაელოდონ რუსეთის ნებართვას“ მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მისაღებად.

ყოველივე ეს რუსეთს დილემის წინაშე აყენებს: რუსეთი ან უნდა შეეგუოს კავკასიაში თავისი როლის შემცირებას, ან იბრძოლოს ძალაუფლების შენარჩუნებისათვის. ეს კი რუსეთს გავლენის სრული დაკარგვის საფრთხის წინაშე აყენებს.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ რუსეთი მის ქვეყანაში არასტაბილურობის შექმნის წაქეზებაში დაადანაშაულა. წლეულს, 9 თებერვალს ბატონ შევარდნაძეზე რიგით მეორე თავდასხმის შემდეგ მან გამოთქვა ვარაუდი, რომ ტერაქტი დაგეგმა „ბოროტმა სულმა“, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმთან არის დაკავშირებული. თუმცა, აპრილში, ერთ-ერთ ინტერვიუში პრეზიდენტმა შევარდნაძემ უფრო მკაცრად ილაპარაკა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მთავრობაში სულ უფრო მატულობს გაღიზიანება რუსეთის მიმართ.

„ჩემს წინააღმდეგ განხორციელებული წინა თავდასხმის ორგანიზატორი ამჟამად რუსეთში იმალება. მისი ხელწერა უკანასკნელ თავდასხმაშიც ჩანს“, — თქვა ბატონმა შევარდნაძემ საქართველოს ყოფილ უშიშროების მინისტრზე იგორ გიორგაძეზე, რომელმაც პრეზიდენტის წინააღმდეგ 1995 წლის 29 აგვისტოს წარუმატებელი ტერაქტის შემდეგ დატოვა საქართველო.

„ეს არ ნიშნავს, რომ მთელი რუსეთი ასე ფიქრობს. არიან პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებიც, თუმცა, სამწუხაროდ, უმრავლესობა რეაქციონერია და ეს ქმნის პრობლემას, მათ სურთ, რომ საქართველო იყოს მორჩილი, მაგრამ მორჩილება და თავისუფლება შეუთავსებელია, რუსეთი იბრძვის საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრების წინააღმდეგ“, — აღნიშნა ბატონმა შევარდნაძემ.

მან ასევე გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ 1993 წელს საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის — აფხაზეთის ომში სეპარატისტები ვერ დაამარცხებდნენ ქართულ არმიას, რომ არა რუსეთის დახმარება.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის გარდა საქართველოს მთავრობას არ ემორჩილება სხვა სეპარატისტულად განწყობილი რეგიონიც, ქვეყანაში მაინც მშვიდობა სუფევს და იგრძნობა პროგრესი დემოკრატიის განვითარებაში. შეიარაღებული ბანდები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ თავისუფლად დათარეშობდნენ, გაანადგურეს. ქვეყანამ აირჩია მრავალპარტიული პარლამენტი. ასობით არასამთავრობო ორგანიზაცია მხარს უჭერს ისეთ მრავალჟღეროვან საკითხებს, როგორიცაა პრესის თავისუფლება, ეკოლოგია და ინვალიდთა უფლებები.

მრავალი სტანდარტის მიხედვით საქართველო ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. თუმცა საქართველოში კვლავ იმყოფება 15 ათასზე მეტი რუსი სამხედრო პირი, რომელთა თავიდან მოშორება და მათი გავლენის აღკვეთა ქვეყნის უდიდეს ეროვნულ პრობლემას წარმოადგენს.

დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის ლიდერები ველურ ადგილებად მიიჩნევდნენ საქართველოსა და კავკასიის სხვა რესპუბლიკებს, რომლებსაც არ ძალუძთ თვითმმართველობა და სჭირდებათ ძლიერი „მამობრივი ხელი“.

თავის მხრივ, ქართველები ტრადიციულად ყველა პრობლემის შექმნაში რუსებს ადანაშაულებდნენ. ეს პროცესი ზოგიერთ შემთხვევაში პარანოიამდეც მიდიოდა.

თუმცა, დღეს არაერთი საერთაშორისო ექსპერტის აზრით, რუსეთის გარკვეული ძალები ცდილობენ საქართველოს აღორძინებას, ამასთან, მოსკოვი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა აღკვეთოს საქართველოს მისწრაფება გახდეს მისი მტრების მოკავშირე.

„200 წლის განმავლობაში რუსეთი მთავარ როლს ასრულებდა აქ, თუმცა, თანდათან შესამჩნევი ხდება, რომ ქართველებს სულ უფრო მეტად აღიზიანებთ რუსეთის მუდმივი ჩარევა. ქართველები დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობას ესწრაფვიან. ამას წინათ აქ მიღებულია გადაწყვეტილება თურქეთის არმიასთან ერთობლივი სამხედრო წვრთნის მოწყობისა და საქართველოს ნავსადგურებში თურქეთის სამხედრო გემების შემოსვლის შესახებ“, — განაცხადა თბილისში მომუშავე ერთ-ერთმა მაღალი რანგის დასავლელმა დიპლომატმა.

ამ მოსაზრებას იზიარებს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ცნობილი ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ალექსანდრე რონდელი. მისი განცხადებით, ქვეყნის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს „საქართველოში რუსეთის ნეოიმპერიალისტური პოლიტიკის შეუჩერებელი განვითარება“.

„მე ვერ ვიტყვი, რომ, თუ რუსეთი განზე დადგება, კავკასიის რეგიონში სრული სიმშვიდე დაისადგურებს, მაგრამ, თუ გავიხსენებთ 80-იან და 90-იან წლებს, ნათლად დავინახავთ, რომ თითქმის ყველაფერი ცუდი, რაც კი კავკასიაში მოხდა, რუსეთის ჩარევის შედეგია“, — აღნიშნა ალექსანდრე რონდელმა.

**სტივენ კინზერი.**
**„ნიუ-იორკ ტაიმსი“ (3 მაისი), „ინტერნეიშენლ ჰერალდ ტრიბუნი“ (4 მაისი).**

თარგმნა
**ზია აბაშიძემ.**

გვწერენ

### არა მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად

თქვენი გაზეთის აქტიური (ყველა ნომრის) მკითხველი ვარ, საიდანაც ყოველთვის ვღებულობ ჩემთვის საყურადღებო ინფორმაციებს პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, კულტურაზე, სპორტსა და სხვა სფეროზე. გთხოვთ თქვენს გაზეთში მეტი დაიწეროს მოწინავე ქვეყნების ეკონომიკაზე, მაგალითად, ბიზნესზე, წარმოებაზე, მათ შორის: როგორ მუშაობენ ფერმერები, მეწარმეები (წვრილი და საშუალო), როგორია მათი საქმიანობა, ტექნოლოგიური პროცესები, ვთქვათ, მარცვლის წარმოებაზე, მეცხოველეობაზე, როგორ და ვინ ახდენს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას, და გადამუშავებას, მთლიანად როგორია აგროკომპლექსის ურთიერთობები, როგორც ცხოვრობენ თვითონ ფერმერები და ამ სფეროში დასაქმებული პირები, მართალია ეს თქვენი ჟურნალისტისათვის შეიძლება ძნელი იყოს და თქვენს გაზეთსაც არ ექნება საშუალება დაწვრილებით დაწეროს ყველაფერი, მაგრამ უცხოეთში (დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნებში) მივლინებით ან სასწავლებლად წასული არიან სპეციალისტები და საინტერესოა მათი თვალით დანახული ფაქტობრივი მდგომარეობის გადმოცემა, რაც მკითხველის ცნობისმოყვარეობასაც დააკმაყოფილებს და პრაქტიკულადაც დაეხმარება ამ სფეროში მუშაობის დამწყებ პირებს.

გარდა ამისა, თქვენს გაზეთს აქვს ჩანართი „ხიდი“, სადაც ძირითადად იწერება თურქეთის პოლიტიკურ მოვლენებზე. მე მაინტერესებს და ალბათ, სხვებსაც, როგორ გრძნობენ თავს თურქეთში ქართველები, როგორია მათი ყოფა-ცხოვრება, შეხედულებები, საქმიანობა, სწავლა-განათლება (ქართულის ცოდნა) და სხვა, დაიწეროს, ვთქვათ, იმ მინაარსით, როგორც ეს იაკობ გოგებაშვილს „ბუნების კარში“ აქვს აღწერილი;

საინტერესოდ იწერება სპორტზე, მაგრამ ზედმეტი მგონია ცალკე ჩანართი ჭადრაკზე, ვფიქრობ, უფრო საინტერესო იქნება სპორტის ყველა სახეობაზე გაკეთდეს ყოველკვირეული ჩანართი.

**იური ნასარიძე.**
ქ. საჩხერე.

რეგიონი

### ჭიათურა შეიმოსა

ტყის მასივებს უთვალავი გამჩანაგებელი შეესია ჭიათურაშიც. შარშან 5 ჰექტარზე პირწმინდად გაჩეხეს „უნაგირას მუხნარი აგარაკი“. უნიკალური ჯიშის ხეები წლითი-წლობით აკლდება გვერულის, ჩხირაულის, ხვამითის, ხრეითის სატყეოებს, რის შედეგადაც რეგიონში საუკუნოვანი ტყეები გამეჩხრდა, ნაწილი მთლიანად გაიჩეხა. განადგურების პირასაა საყოველთაოდ აღიარებული „თედოს ტყე“. ერთი სიტყვით, ხალხის საგანძური, ზოგიერთი ვაიმეტყევეთა ხელშეწყობით, ერთეულების გამდიდრების წყაროდ იქცა.

კიდევ კარგი, ტყეს ნამდვილი გულშემატკივრებიც ჰყავს. საქართველოს პრეზიდენტმა ტყეების აღდგენა-განახლებისათვის საგანგებო განკარგულება გამოსცა და მოსახლეობას მისი რეალიზებისაკენ მოუწოდა.

ჭიათურის მერმა დავით ივანიშვილმა სატყეო მეურნეობის, ზონის საკრებულოების, მუნიციპალიტეტების, კულტსაგანმანათლებლო და სხვა საწარმო-დაწესებულებების კოლექტივებთან ერთად ქალაქისა და მისი ზონის გამწვანება-გატყევების ღონისძიებათა პროგრამა შეიმუშავა. გამენდა კაკლის, თხილის, თუთის, წაბლის, ტყემლისა და სხვა ნაყოფმომცემი მცენარეები. ამასთან, თითოეულმა ჭიათურელმა თავისი სახელობითი ნერგი დარგო.

სატყეო მეურნეობამ გაჩეხილი ტყეების ნაწილობრივი რეაბილიტაციისათვის საკუთარი სანერგედან 19 ათასი ძირი ნაყოფისმომცემი ნერგის დარგვა და გახარება ივალდებულა.

ჭიათურაში საგაზაფხულო ერთთვიურის პერიოდში, 50 000-ზე მეტ ნერგი დარგეს.

**სოზარ კუპატაძე,**
„სრ“ საკ. კორ.

## სამასზე მეტი ნერგი დაირგო

სოციალური პრობლემების მიუხედავად სკოლა ჩვეული რიტმით მუშაობს. სულ ახლახან ჩვენი სკოლის პედაგოგებმა წარმატებით გაიარეს ატესტაცია; შედეგად უმაღლესი კატეგორიის 4 მასწავლებელი ჰყავს: დალი ჭილაძე, ნინო ბაჩილავა, მორენა ახვლედიანი და გოჩა ფოცხვერია. სოფელი რაიონული ცენტრიდან ორი კილომეტრით თუ იქნება დაშორებული. ინჩხური იოანე მინჩისა და ამბროსი ხელაიას მშობლიური სოფელი გახლავთ. აქედან და ჩვენი სკოლიდან არაერთი სახელოვანი ადამიანი გამოსულა. ასე რომ, სკოლა კეთილი ტრადიციების მიმდევარია, — კურსდამთავრებულთა სახელზე ყოველ გაზაფხულზე ირგვება ხეები.

ყველამ გავითავისეთ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულება, თითოეულმა ჩვენგანმა თითო ხე დარგოს და ახაროსო. უკანასკნელ წლებში ძალიან გაიჩეხა ჩვენი ტყეები, მის გაახლებაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ. პედაგოგებმა ამ გაზაფხულზე ნერგების დარგვა აღზრდის მომენტებს დაუკავშირეს. ხეები იმათ სახელზე დაირგო, რომლებიც დღეს ქვეყნის საკეთილდღეოდ ილვწიან. თვალს ვადევნებთ მათ შემდგომ საქმიანობას, ამ გაზაფხულზე სკოლის კურსდამთავრებულ კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის ფრიდონ ინჯიასა და მისი თანაკლასელების სახელზე გავაშენეთ ხეივანი (ფრიდონის მამა წლების მანძილზე თავად იყო ჩვენი სკოლის დირექტორი. ამ ტრადიციასაც მან ჩაუყარა საფუძველი და თაობიდან თაობას გადაეცემა). გვჯერა, რომ ინჩხურის სკოლის კურსდამთავრებული (ოქროს მედალზე დაამთავრა) ფრიდონ ინჯიას ხელმძღვანელობით სამინისტრომ მსოფლიოს სტანდარტების დონეზე ააწყო მუშაობა.

კარგი ტრადიცია ინჩხურელი პედაგოგების როზა კვანტალიანის, ნაზი ბართიას, ლოლა ბაჩილავას, გოგი წოწორიას, ნაზი გეგიას, სოსო ჭიჭალუას, რევაზ გაბედიას და სხვათა ხელშეწყობით ხდება. 256 მოსწავლემ და 30 პედაგოგმა კურსდამთავრებულთა ხეივანში 300 ძირი კაკალი და კვიპაროსი დარგო.

**შორენა ახვლედიანი,**
მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხურის საშუალო სკოლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმა

# ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალი

მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამიტომ მას თითქმის ყველა ქვეყანაში მთავრობის სათანადო მხარდაჭერა აქვს. მიუხედავად ამისა, მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის „ხერხემალს“ მაინც მსხვილი კომპანიები და კორპორაციები წარმოადგენენ. ეკონომიკის მსხვილი ორგანიზაციული სტრუქტურების ფუნქციონირება განსაკუთრებით დამახასიათებელია სამთო-მეტალურგიული დარგებისათვის, რაც საქართველოს პირობებშიც (განსაკუთრებით გარდამავალ ეტაპზე) გამოიკვეთა.

საკავშირო დარგობრივი ორგანოების რღვევისა და ეკონომიკური კავშირების მოშლის საწყის ეტაპებზე საქართველოს სამთო-მეტალურგიული დარგის საწარმოები – რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ზესტაფონის ფერომენადნობთა ქარხანა, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმი“, „საქმეოლითი“ და სხვა სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციები საკუთარი ინიციატივით გაერთიანდნენ მართვის ერთ საერთო ორგანიზაციულ სტრუქტურაში – კონცერნში. მისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებას ორი წელიწადი დასჭირდა – საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 მაისის № 308 დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო კონცერნი „საქსამთომეტალურგი“, რომელიც შემდგომში, სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 10 ოქტომბრის № 413 ბრძანებულებით სახელმწიფო ჰოლდინგურ კომპანიად გადაკეთდა, ხოლო 1996 წლის მაისიდან „მეწარმეთა შესახებ“ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაფუძნდა, როგორც სააქციო საზოგადოება „ჰოლდინგური კომპანია საქსამთომეტალურგია“.

რა კონკრეტულ ფუნქციებს ახორციელებს „საქსამთომეტალურგია“ შემავალ საწარმოებთან მიმართებაში? ეს, პირველ რიგში, არის საწარმოთა განვითარების მიზნების და სტრატეგიის შემუშავება, სამთავრობო დოკუმენტების მომზადება, კომპანიის სუბიექტებს შორის საკოორდინაციო კავშირების განხორციელება, მათთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდება, სარეაბილიტაციო და განვითარების, საინვესტიციო, ბიზნეს-გეგმების და ტექნიკურ-ეკონომიკური ხასიათის სხვა დოკუმენტების მომზადება, ადგილობრივი მართვის ორგანოებთან ურთიერთობის დარეგულირება, სახელმწიფო სტრუქტურებში საწარმოთა ინტერესების წარმოდგენა და დაცვა, სხვადასხვა საპრივატიზაციო და საინვესტიციო ტენდერებში მონაწილეობა და სხვა.

1995-1997 წლები სამთო-მეტალურგიული კომპლექსის საწარმოებში ხასიათდებოდა სასაქონლო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპებით. ეს გარკვეულწილად მიგვანიშნებს სტრატეგიული კურსის სისწორეზე. საწარმოებმა მსხვილი ინვესტიციების მოზიდვის გარეშე, საკუთარი ძალებითა და საშუალებებით შეძლეს წარმოების დაცემის შეჩერება და გარკვეული სტაბილიზაციის მიღწევა. 1995 წელს წინა წელთან შედარებით პროდუქციის წარმოება მთლიანად დარგში გაიზარდა 34,6 პროცენტით, მათ შორის: რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში 5,2 პროცენტით, ზესტაფონის ფერომენადნობთა ქარხანაში – 63,4 პროცენტით, სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმში“ – 63,6 პროცენტით, სააქციო საზოგადოება „მადნეულში“ – 125,2 პროცენტით. 1997 წელს კი წინა წელთან შედარებით იმავე მაჩვენებლებმა კომპანიაში შეადგინა 18,9 პროცენტი, ხოლო საწარმოებში შესაბამისად 24,9, 11,8, 41,1 და 33,1 პროცენტი.

1996 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანეს 6221 ათასი ლარი, რაც ორჯერ უფრო მეტი იყო წინა წლის მაჩვენებელზე. რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა შეიტანა 2666 ათასი ლარი, ზესტაფონის ფერომენადნობთა ქარხანამ – 916 ათასი ლარი, სს „მადნეულმა“ – 2454 ათასი ლარი და სს „ჭიათურმანგანუმმა“ – 185 ათასი ლარი. 1997 წელს მაჩვენებლები შესაბამისად – 7738 ათასი, 2250 ათასი, 1963 ათასი, 1514 ათასი, 1983 ათასი ლარი იყო.

კომპლექსს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სახელმწიფო სტრუქტურები. ყოველ დიდ საწარმოზე არსებობს საპრეზიდენტო გადაწყვეტილებები, რომელიც სტრატეგიული განვითარების სახელმწიფო პროგრამად გვესახება.

განვლილ პერიოდში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ინვესტიციათა მოსაზიდად. 1996 წელს „საქსამთომეტალურგიის“ აქტიური მხარდაჭერით ზესტაფონის ფერომენადნობთა ქარხანა 10 წლის ვადით სამართავად გადაეცა მმართველ კომპანიებს (ნორტ ატლანტიკ რესორსეს (აშშ) და რეკონსტრუქციისა და განვითარების რუსულ-ქართულ ბანკს). საწარმომ უკვე გაიარა სარეაბილიტაციო პერიოდი. განხორციელდა ძირითად საწარმოო საშუალებათა განახლება-გადაიარაღება, შეივსო საბრუნავი საშუალებები, დაიფარა დავალიანებები. ქარხანა სტაბილურად ამუშავდა და მიაღწია 65-მეგავატიან სიმძლავრეს. დაისახა წარმოების მოცულობის ზრდის დიდი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 120 ათას ტონა სასაქონლო სილიკომანგანუმისა და 36 ათასი ტონა საშუალონახშირბადიანი ფერომანგანუმის წლიურ წარმოებას. წლეულს ქარხანამ უნდა აწარმოოს 60 მილიონი ლარის სასაქონლო პროდუქცია. პირველივე შედეგები ადასტურებს, რომ „საქსამთომეტალურგიას“ სწორი პოზიცია უჭირავს.

ინვესტიციათა სოლიდური მოცულობაა მოზიდული მადნეულის საბადოს მეორადი კვარციტების გადამუშავების მიზნით. 1995 წელს შეიქმნა ავსტრალია-საქართველოს ერთობლივი საწარმო – შპს „კვარციტი“. 1996 წელს „საქსამთომეტალურგიის“ ინიციატივით კომპეტენტურმა მეცნიერებმა მოაწყეს პროექტის სრული ექსპერტიზა. მოხდა მისი კორექტირება, დაზუსტდა მადნების მარაგები, გაიზარდა ოქროს ამოკრეფის ტექნოლოგიური მაჩვენებლები და გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა. „მადნეულში“ უკვე აშენდა სიმძლავრის პირველი რიგი, რომლის ინვესტირებამ შეადგინა 6 მილიონი აშშ დოლარი. მარმან იგი ამოქმედდა, დაიწყო სიმძლავრის მეორე რიგის მშენებლობა. მისი დამთავრება და საწარმოს სრული საპროექტო სიმძლავრით ამოქმედება წლეულს არის გათვალისწინებული. სასაქონლო პროდუქციის წლიური მოცულობა ამ საწარმოში არანაკლებ 20 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს.

გადაწყდა თვით სს „მადნეულის“ ინვესტირების საკითხიც. მარმან გამართულ ტენდერში შვეიცარიულმა კომპანია „გლენკორ ინტერნეშნლ „აგ“-იმ გაიმარჯვა. ხელშეკრულების თანახმად სს „მადნეული“ 5 წლის განმავლობაში მიიღებს 10 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას, რომელიც საწარმოს ძირითადი ფონდების ამორტიზებული ნაწილის განახლება-გადაიარაღებას მოხმარდება. სს „მადნეულის“ ინვესტირებამ დღებითად გადაწყვიტა საწარმოს მოდერნიზაციის პრობლემა.

ინვესტიციების მისაღებად მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სს „ჭიათურმანგანუმშიც“. გამოცხადებული კომერციული კონკურსის მიხედვით წლეულს, 7 აპრილს გამოვლინდა გამარჯვებული – რუსულ-ბრიტანული ასოციაცია „ინდუსტრია“, რომელსაც მიეყიდა სს „ჭიათურმანგანუმის“ აქციათა 75 პროცენტი. ტენდერის პირობების თანახმად, 10 წლის განმავლობაში სს „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოებში რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით განხორციელდება 30 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, დაიფარება საწარმოს დავალიანებები, ინვესტირების უკვე მესამე წლიდან წარმოებული იქნება 300 ათასი ტონა მანგანუმის კონცენტრატი, განხორციელდება მთელი რიგი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ღონისძიებები.

ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის რეაბილიტაცია-ამუშავებისთვის. კომბინატის აქციების საკონტროლო პაკეტის მართვაში გადაცემის მიზნით გამართულ ტენდერში, რომლის პირობები „საქსამთომეტალურგიის“ უშუალო მონაწილეობით დამუშავდა, გაიმარჯვა შპს „მეტალურგოილგაზინვესტმა“. მას 10 წლით გადაეცა საწარმოს აქციათა საკონტროლო პაკეტი. საინვესტიციო პროგრამით 5 წლის განმავლობაში გათვალისწინებული 50 მილიონამდე აშშ დოლარის ინვესტიცია მოხმარდება ქარხნის რეაბილიტაციას, საამქროთა გადაიარაღებას, ელექტრომეტალურგიული სიმძლავრეების შექმნას, თბოელექტროცენტრალის ამუშავებას და, რაც მთავარია, კონკურენტუნარიანი მზა პროდუქციის, განსაკუთრებით მილების წარმოებას. გათვალისწინებულია სხვა ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, საფინანსო-ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტაც.

მთელ ამ პერიოდში ინვესტიციების მოზიდვის პროცესს თან ახლდა საზოგადოების ერთი ნაწილის, სხვადასხვა სტრუქტურების, სახელმწიფო ორგანიზაციების არაერთგვაროვნი, ზოგჯერ ამკარა წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება. ყველა შემთხვევაში „საქსამთომეტალურგია“ მტკიცედ იცავდა შემავალი საწარმოების ინტერესებს, ყოველმხრივ ხელს უწყობდა ინვესტიციების მოზიდვას. ასეთ სწორ მიდგომას სასურველი შედეგიც მოჰყვა.

კომპანიის გამგეობის სხდომებზე პერმანენტულად ისმება საკითხები საწარმოებიდან მართვის ზოგიერთი ფუნქციის კომპანიაში დელეგირების შესახებ. მაგალითად, იურიდიული მომსახურება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კოორდინირება, საექსპერტო შეფასებების განხორციელება...



სამთო-მეტალურგიული კომპლექსის საწარმოებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საწარმოთა მართვის რესტრუქტურიზაციისათვის. ეს ოპერაცია ნაყოფიერად განხორციელდა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში და სს „მადნეულში“. აქ შეიქმნა დამოუკიდებელი საწარმოები, რითაც გამოთავისუფლდა ძირითადი საწარმოები, მნიშვნელოვნად შემცირდა დანახარჯები ძირითად პროდუქციაზე. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში ფოლადის წარმოების თვითღირებულება თითქმის 2-ჯერ შემცირდა, ხოლო სს „მადნეულში“ სპილენძის კონცენტრატის თვითღირებულება – 40 პროცენტით.

სამთო-მეტალურგიული კომპლექსის საწარმოებში მიმდინარე წლიდან მნიშვნელოვნად გაიზრდება საწარმო-ეკონომიკური მაჩვენებლები და გაჯანსაღდება ფინანსური მდგომარეობა. კერძოდ, წლეულს გამოვუშვებთ 135-150 მილიონი ლარის პროდუქციას, რითაც ზრდის ტემპი მარმანდელთან შედარებით 200 პროცენტზე მეტს მიაღწევს. სასაქონლო პროდუქციის ტემპების ზრდის ტენდენციის შენარჩუნებაა გათვალისწინებული მომდევნო წლებშიც.

ჰოლდინგური კომპანია „საქსამთომეტალურგიის“ სტრუქტურა ძალზე მცირერიცხოვანი და მობილურია. მუშაობს სამეურნეო ანგარიშზე, დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური გამოცდილი სპეციალისტებით, მთლიანად კომპიუტერიზებულია და დატვირთვის შესაბამისად საქმიანობს საწარმოებისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. კურსი აღებულია საწარმოთა სრული პრივატიზებისაკენ და იგი ახლო მომავალში რეალურად განხორციელდება. ჰოლდინგური კომპანიის საქმიანობა კიდევ უფრო აქტუალური გახდება.

საქართველოს ეკონომიკა დღეს გარდაქმნის გადამწყვეტ ეტაპზეა. რთული სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს ორგანიზაციულ-მმართველობით ურთიერთობათა სრულიად ახალი ფორმების გამოყენებას, თითოეული დარგისა და საწარმოს მიმართ დიფერენციულ მიდგომას, კადრების მომზადების უნიფიცირებული სისტემების გამოყენებას და ა.შ.

ეკონომიკის ისეთ ფუნდამენტურ სექტორში, როგორიც სამთო-მეტალურგია, ქიმია და მანქანათმშენებლობაა, მსხვილი სამეურნეო სტრუქტურები ეროვნული მეურნეობის ეფექტიანი მუშაობის ცენტრალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა. ეს დასტურდება არა მარტო მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკით, არამედ ჩვენი კომპანიის პირველი შედეგებითაც.

**ირაკლი ჟორდანია,**
ჰოლდინგური კომპანია „საქსამთომეტალურგიის“ გენერალური დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სკოლა

# კარგი თეორიის გარეშე კარგი პრაქტიკა არ არსებობს

საგანმანათლებლო რეფორმები ცივილიზებულ სამყაროში ერთჯერადი ღონისძიებები როდია, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება განუწყვეტლივ აყენებს დღის წესრიგში განათლებისადმი რეფორმისტული მიდგომის საკითხს.

ეს განსაკუთრებით საშუალო განათლების მიმართ ითქმის და ამიტომაც არის, რომ სასკოლო რეფორმებმა მოწინავე ქვეყნებში პერმანენტული ხასიათი მიიღო. ამ თვალსაზრისით, ჩვენში მიმდინარე სასკოლო რეფორმა თავისი ფორმითა და შინაარსით უნიკალურია და იგი არსებითად განსხვავდება იმ რეფორმებისგან, რომლებიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში ხორციელდებოდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში. ჩვენი სასკოლო რეფორმა რაიმე მიმართულების შეცვლას ან კორექციას კი არ გულისხმობს, არამედ განათლების ერთი სისტემა იცვლება პრინციპულად განსხვავებული სისტემით.

საქართველოს განათლების სამინისტრომ უდიდესი მუშაობა გასწია კვლავაც და ეწევა იმ კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად, რეფორმის კონცეფციის რეალიზაციას რომ უზრუნველყოფს. ეს არის უაღრესად ფართო და მრავალმხრივი საქმიანობა, დაწყებული სისტემის ორგანიზაციით და დამთავრებული განათლების შინაარსითა და მართვით. ამ კარდინალურ გარდაქმნებს განათლების სამინისტრო ეტაპობრივად, სისტემატურად ახორციელებს და გარკვეული წარმატებები უკვე თვალსაჩინოა. რეფორმის პროცესია წარმატებით ჩატარებული მასწავლებელთა ატესტაციაც.

განათლების კანონში, რომელიც განათლების სამინისტრომ შეიმუშავა და პარლამენტმა დაამტკიცა, განსაზღვრულია განათლების სისტემის რეფორმის მიზნები და ამოცანები. კანონმა, განათლების სისტემის რეფორმის განხორციელების თვალსაზრისით, ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა. კერძოდ, განათლების კონცეფციაში, რომელიც 1995 წელს დაამტკიცა მინისტრთა კაბინეტმა, გათვალისწინებული იყო მესამე, ე.ი. საშუალო განათლების საფეხურებზე მხოლოდ გიმნაზია და ლიცეუმი, რაც, ალბათ, ერთობ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა განათლების სისტემას საერთოდ და, კერძოდ, სოფლის სკოლას. ეს იმიტომ, რომ ლიცეუმებისა და გიმნაზიების გახსნა, ამ სასწავლებლების სტრუქტურისა და შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ დიდ დასახლებულ პუნქტებში, რაც უთუოდ მთიანი რაიონებიდან მოსახლეობის კიდევ ერთ მიგრაციას გამოიწვევდა. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონის მე-11 მუხლის მოთხოვნა ლიცეუმებსა და გიმნაზიებთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფუნქციონირების შესახებ.

განათლების დარგში გასული წლების „გარდაქმნებისა“ და ცვლილებების წარუმატებლობის მიზეზი ის გახლავთ, რომ ყოველგვარი ცვლილება ზედაპირულ, ზერელე ხასიათს ატარებდა და არასოდეს ეხებოდა განათლების შინაარსს, რომელიც მოძველებულ ფილოსოფიაზე, სამყაროს განვითარების ცალმხრივი მიმართულებით გაგებაზე შენდებოდა. რეფორმის წარმატებით განხორციელების გზაზე დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ცალკეული ელემენტების მეცნიერულ-მეთოდიკურ უზრუნველყოფას, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკოს პედაგოგთა სწორ ორიენტაციას. საქმე მოიგებს მაშინაც, თუ რეფორმის ცალკეულ პრობლემებზე ურთიერთგანსხვავებული აზრები გამოითქმება. ამჯერად მკითხველს გვინდა გავაცნოთ, თუ როგორ გვესახება განათლების შინაარსის მართვა რეფორმის განხორციელების გზაზე:

„... განათლების სისტემის გარდაქმნა და მისი შინაარსის რეფორმა ხანგრძლივი პროცესია და იგი განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეალურად დაიწყება მიზნობრივად ორიენტირებული თვისებრივი ცვლილებები სწავლების შინაარსში, ფორმებსა და მეთოდებში“ – ვკითხულობთ „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამასა და მისი რეალიზაციის გეგმაში“. ეს ცვლილებები მხოლოდ „ზემოდან“ არ უნდა მოდიოდეს. თვისებრივი ცვლილებები რეალური გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მართვის სუბიექტი ჩამოყალიბდება რესპუბლიკურ, რეგიონულ, რაიონულ და სასკოლო დონეზე“. ამავე დოკუმენტში მითითებულია, რომ რეფორმა ითვალისწინებს სისტემის მართვის დეცენტრალიზაციას მთელი რიგი უფლებების დელეგირებით.

განათლების შინაარსის სფეროში სტანდარტების შემუშავება განიხილება, როგორც საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას, სასწავლო პროცესის მართვას, რომელიც თავის მხრივ საგანმანათლებლო ამოცანებისა და მიზნების რეალიზაციის ოპტიმალური ხარისხის მიღწევას ითვალისწინებს. სტანდარტიზაციის გამოყენება განათლების სფეროში კანონზომიერი პროცესია. მისი განვითარების მიხედვით სრულყოფილი ხდება განათლების შინაარსი, სასწავლო გეგმები და პროგრამები, სწავლების მიზნები და ამოცანები, ცოდნის შეფასებისა და შემოწმების კრიტერიუმები, სკოლების მუშაობა და სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის სხვა მახასიათებლები.

სკოლის სამივე საფეხურს ამ საკითხში განსხვავებული ამოცანები აქვს, მაგრამ არის საერთო ვარიანტებიც, რაც მთლიანად სასკოლო განათლების შინაარსს უნდა შეეხოს, კერძოდ:

ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები და მასთან ყოველი სიახლის შეხამება;

სწავლების პროცესის ჰუმანიზაცია და ჰუმანიტარიზაცია. ეს ფაქტორი დღევანდელი განათლების მსოფლიო ტენდენციებს შეესაბამება და მიმართულია, როგორც პედაგოგიური პროცესის ავტორიტარობის, ისე ტექნოკრატიული ტენდენციების საწინააღმდეგოდ. უპირატესობა უნდა მიეცეს სწავლების იმგვარ მეთოდიკას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარის განვითარებას, ფართოდ უნდა დაინერგოს სწლების თანამედროვე მეთოდებიდან პროდუქტიული (პრობლემური, ევრისტიკული, კვლევითი) მეთოდები, როცა მოსწავლე სუბიექტურად, შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად ეუფლება ახალ ცოდნას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურადღების გარეშე დატოვოთ რეპროდუქციული (ახსნითი-საილუსტრაციო და რეპროდუქციული) მეთოდები, როცა მოსწავლე ითვისებს მზა ცოდნას მასწავლებლის, სახელმძღვანელოსა და სხვათა საშუალებით. სწავლებაში რეპროდუქციული და პროდუქციული თანამედროვე მეთოდების გამოყენება უნდა მოხდეს ერთმანეთის პარალელურად და შეხამებულად.

დღევანდელი სასწავლო პროგრამებისა და გეგმებისაგან განსხვავებით, რომლებიც აგებულია რაოდენობრივად დიდი ინფორმაციული მასალის მესწავლაზე, სწავლების ახალი შინაარსი ითვალისწინებს შედარებით მცირე, აუცილებელი მასალის ღრმად მესწავლას (ე.ი. ინტენსიური სწავლების პრინციპზე გადასვლა);

სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლისას მკვეთრად უნდა იქნეს გამოხატული. სწავლისა და აღზრდის ამ იდეას პირველად საფუძველი ჩაუყარა პედაგოგიკის მეცნიერებათა ფუძემდებელმა ი. კომენსკიმ. მისი აზრით, სწავლება უნდა ემსახურებოდეს სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბებას. მას აღზრდა წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ყოველმხრივ განვითარებული, სიბრძნითა და ზნეობით სრულყოფილი ადამიანის ფორმირება. თუ გსურს კარგად მოაწყო საზოგადოებრივი ცხოვრება – აღნიშნავს იგი, საჭიროა „უპირველეს ყოვლისა, მოავწყოთ და აყვავების გზაზე დავაყენოთ სკოლები..“.

სწავლების ახალი შინაარსი ძირითადად გულისხმობს შემდეგი სასწავლო საგნების ციკლებს:

ჰუმანიტარული ციკლი (მშობლიური ენა და ლიტერატურა, უცხოური ენები, ქართული ენა და ლიტერატურა არაქართული სკოლებისათვის, ისტორია, გეოგრაფია, რელიგია და კულტურა, ეთიკა და სამართალი, ხატვა, ძერწვა, მუსიკა);

საბუნებისმეტყველო მათემატიკური (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია);

შრომითი ფიზკულტურული (ფიზკულტურა, შრომითი, სამხედრო თავდაცვა). აქედან სამივე საფეხურზე გამჭოლი საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ფიზიკური აღზრდა;

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები მოიცავს ინვარიანტულ და ვარიანტულ ბლოკებს. ინვარიანტული ბლოკის საგნები სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების მესწავლას გულისხმობს, რომლის მიზანია აღზრდისა და განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, განათლების შინაარსის ეკვივალენტობის დაცვა და სხვა, ხოლო ვარიანტული ბლოკი გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალურ, ფსიქო-ფიზიოლოგიური მონაცემების საფუძველზე ოპტიმიზაციას და შედგება საკორექციო მუშაობისა და არჩევითი საგნებისაგან.

სკოლებმა თავისი საქმიანობა უნდა წარმართონ ისე, რომ მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცეთ განავითარონ თავიანთი სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური მონაცემები, ინტერესები და მიდრეკილებანი; გამოიმუშაონ ზნეობრივი მრწამსი, შეხედულებანი, გააცნობიერონ საკუთარი როლი მომავალში; დაეუფლონ საბაზრო ურთიერთობისა და სწრაფად ცვალებად სამყაროში საქმიანობის უნარ-ჩვევებს, თავდაცვის ხერხებსა და საშუალებებს; მშობლიურ ენასთან ერთად დაეუფლონ უცხოურ ენებს, შეუქმნათ პირობები დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის; სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლის გზაზე განათლების სამინისტროს ძირითადი ამოცანაა რეკომენდაცია გაუწიოს ზოგადსოციალურ და პედაგოგიურ მიზნებს, საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს, მისცეს პიროვნებას იმის გარანტია, რომ იგი მიიღებს ცოდნის იმ მინიმუმს, რომელიც საჭიროა საზოგადოებაში სათანადო ადგილის დასამკვიდრებლად. მეორე მხრივ, ქმნის პირობებს იმისათვის, რომ პიროვნებამ თავისი უნარისა და შესაძლებლობის ფარგლებში შეძლოს თავისი თავის გამოვლენა. აქედან გამომდინარე, სამინისტრო იღებს თავის თავზე წარმატების უზრუნველყოფის ფუნქციას.

საერთოდ, განათლების სისტემის რეფორმა და, კერძოდ სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლა თვისებრივად ახალ ამოცანებს უსახავს სკოლის ხელმძღვანელებსა და მართვის ორგანოებს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ორგანიზაციული და მეთოდიკური მართვის საქმეში. იგი არსებითად ცვლის სკოლის ხელმძღვანელთა ადგილსა და როლს სასწავლო პროცესის მართვაში, რაც პასუხისმგებლობის ამაღლებას უკავშირდება.

დიდი ამოცანების წინაშე დგება, აგრეთვე, მასწავლებელიც, რადგან მასწავლებელი აღზრდისა და სწავლების ცენტრალური ფიგურაა.

მასწავლებელი სისტემატურად უნდა სრულყოფდეს თავის პროფესიულ დონეს, უნდა იყოს როგორც სასწავლო საგნის, ასევე პედაგოგიკურ-მეთოდიკური მეცნიერების განვითარების საქმის კურსში. რეფორმის ლოგიკა კარდინალური გარდაქმნების სათანადო აკადემიური წანამძღვრების უზრუნველყოფას გულისხმობს. ეს, პირველ ყოვლისა, პედაგოგთა სათანადო მეთოდიკურ და საინფორმაციო მომსახურებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას ითვალისწინებს, უწინარესად საქმე ეხება პედაგოგიური საბჭოს იმგვარად გარდაქმნას, რომ იგი შეესაბამებოდეს დემოკრატიული მართვის პრინციპებს სკოლების ავტონომიური უფლებების მნიშვნელოვანი გაფართოების პირობებში.

ტრადიციულ პედაგოგიკურ-სამეცნიერო ლიტერატურაში პედაგოგიურ საბჭოს მეტწილად სათათბირო ორგანოდ მიიჩნევენ და უგულებელყოფილია მისი, როგორც მართვის ორგანოს ფუნქცია. რა თქმა უნდა, პედაგოგიურ საბჭოს აქვს სათათბირო ფუნქციაც, მაგრამ იგი ორგანულად უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს. სწორედ, რეფორმის ამოცანებთან საერთოდ, და, კერძოდ სწავლების ახალ შინაარსთან დაკავშირებით, აუცილებელია, რომ ამ საკითხებმა პედსაბჭოს მუშაობაში გამორჩეულად თვალსაჩინო ადგილი დაიკავოს. ახლის დამკვიდრების პირობებში საკმარისი როდია რაიმე მდგომარეობის დაფიქსირება-შეფასება და ამის საფუძველზე ადეკვატური ორგანიზაციული გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, საჭიროა იმართოს გარდაქმნის პროცესი, გზადაგზა მოხდეს საქმიანობის კორექტირება.

სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლასთან დაკავშირებით, უნდა გარდაიქმნას მიდასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის შინაარსი, განსაკუთრებით ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მასწავლებლის მუშაობისადმი კონტროლისა და მისი დახმარების საკითხი. და ბოლოს, განათლების სფეროს ზემოაღნიშნულ და სხვა საკითხებთან მიმართებაში საჭიროა გაცნობიერდეს პედაგოგიური თეორიის ადგილი და როლი.

სამწუხაროდ, განათლების მუშაკთა ერთ ნაწილს თეორიული ცოდნის აუცილებლობა დღესაც არა აქვს გაცნობიერებული. ისევე როგორც უშინსკის ეპოქაში, „ჩვენ პედაგოგთა მორის გვინახავს ერთი-ორი კაცი, რომელთაც აქვთ უმთავრესი პედაგოგიურ თხზულებათა სისტემატური კრებული. გაცილებით უფრო ხშირად შევხვედრივართ ისეთ პრაქტიკოს პედაგოგებს, რომლებიც ზიზღით იხსენიებენ პედაგოგიკის თეორიას და რაღაც უცნაურ მტრულ დამოკიდებულებასაც კი იჩენენ მისდამი, თუმცა ამ თეორიის უმთავრესი მოღვაწეების სახელებს სრულიად არ იცნობენ ან „ყურმოკრულად იცნობენ“.

დიდი სიბრძნე არ სჭირდება იმას, რომ გაიგო რა დიდი მნიშვნელობა აქვს თეორიული ცოდნის აუცილებლობას პედაგოგიური საქმიანობის ამაღლებული გზით წარმართვისათვის, ეს მკაფიოდ არის გამოხატული კ. უშინსკის ნათქვამშიც: „პრაქტიკა უთეორიოდ იგივეა, რაც ექიმბაშობა მედიცინაში“. ჩვენ რამდენჯერმე მოვიხსენიეთ პედაგოგიურ მეცნიერებათა კორიფეების ი. კომენსკის და კ. უშინსკის სახელები, რადგან „კომენსკის სახელი კარგად იყო ცნობილი ქართველი განმანათლებლებისა და პედაგოგებისათვის. საკმარისია დავასახელოთ ი. ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი, რომლებიც კომენსკის მოძღვრებას იყენებდნენ არა მარტო მის საფუძველზე სახალხო განათლების საქმის ორგანიზაციისათვის, არამედ საქართველოში ეროვნული სკოლის დამკვიდრების, ქართული პროგრესულ-დემოკრატიული პედაგოგიური აზრის შემდგომი განვითარებისა და გამდიდრებისათვის“ (პედაგოგიკის ისტორია. ავტორთა კოლექტივი: პროფ. ნ. ვასაძე, პროფ. ვ. გაგუა და სხვები).

ასევე ყველასათვის ცნობილია ი. გოგებაშვილის დამოკიდებულება უშინკისადმი. კიდევ უფრო მძაფრად მიუთითეს თეორიული ცოდნის დიდ პრაქტიკულ ღირებულებაზე ილია ჭავჭავაძემ და იაკობ გოგებაშვილმა. ეს ეხება როგორც პედაგოგიურ, ისე ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რადგან „ცხოვრების მოედნიდან ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ“ (ილია). ამიტომ, „იქ სადაც უმრავლესობიათ სკოლები, ქვეყანა დოვლათით ავსებულა“ (იაკობ გოგებაშვილი).

დიდმა ილიამ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობისას იმისთვისაც გამონახა დრო, რომ „პედაგოგიის საფუძვლები“ დაეწერა, სადაც, პირველად ქართულ სინამდვილეში, სცადა კლასიკური პედაგოგიკური თეორიები გაეცნო ქართველი მკითხველისათვის. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ქვეყნის არა მარტო მატერიალური კეთილდღეობა, არამედ, აგრეთვე, მისი სამხედრო-პოლიტიკური ძალმოსილებაც მხოლოდ და მხოლოდ განათლებაზეა დამოკიდებული.

სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლა სწორედ თეორიული ცოდნის პრიორიტეტულობას გულისხმობს, რადგან უეჭველი ჭეშმარიტებაა, რომ კარგი თეორიის გარეშე არ არსებობს კარგი პრაქტიკა. ამიტომაც სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლისას იმ მრავალი პრობლემიდან, რომლებიც მისი განხორციელების გზაზე წამოიჭრება, ერთ-ერთი და თანაც მნიშვნელოვანია პედაგოგიკური თეორიის ღრმა გააზრება.

**გრიგოლ ერაძე,**
განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ზოგადსაშუალო განათლების მართვის განყოფილების გამგე.

აღორძინება

# აღსდგა საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია

1907 წლის დეკემბერში დიდი ქართველი ისტორიკოსისა და ეროვნული მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით, როგორც ცნობილია, დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელმაც, გარკვეულ ეტაპზე, სრულიად უნიკალური როლი შეასრულა არა მარტო ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში, არამედ ზოგადად, ჩვენი ერის კულტურულ ცხოვრებაში. საისტორიო საზოგადოების საქმიანობამ მოიცვა სრულიად საქართველო, მათ შორის აფხაზეთიც, სადაც წლების განმავლობაში არსებობდა და საკმაოდ ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა საზოგადოების რეგიონული ორგანიზაცია. საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის ეგიდით განხორციელებული არა ერთი საინტერესო ღონისძიება, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერი ისტორიკოსები, ისე პედაგოგიური კორპუსის წარმომადგენლები. განსაკუთრებით პოზიტიური იყო ორგანიზაციის მოღვაწეობა 70-80-იან წლებში, როცა მას სათავეში ედგა გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გიორგი ძიძარია. სამწუხაროდ, 80-იანი წლების მიწურულიდან, ცნობილი მიზეზების გამო, საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციამ, ფაქტობრივად, შეწყვიტა არსებობა, არადა, დღეს როდესაც აფხაზეთი დროებით მოწყვეტილია დედასამშობლოს და იქ მოღვაწე ისტორიკოსები მთლიანად სეპარატისტული იდეოლოგიის სამსახურში ჩადგნენ, როგორც არასოდეს, საჭიროა დევნილ ისტორიკოსთა სრული ძალისხმევა და მათი საქმიანობის მაქსიმალური გააქტიურება. სწორედ აფხაზეთიდან გამოსულ ისტორიკოსთა მიზანმიმართული და კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობამ უბიძგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის თანამშრომელთა ერთ ჯგუფს გამოსულიყო ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის აღდგენის ინიციატივით. განხორციელდა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაო, რის შემდეგაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შედგა აფხაზეთის ისტორიკოსთა წარმომადგენლობითი კრება, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე აკად. ანდრია აფაქიძე. კრებამ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია თსუ სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფ. ზურაბ პაპასქირი; მოადგილეებად: პროფ. ბორის კვარაცხელია და დოც. თ. ანთელავა, მდივნად დოც. დოდო პერტაია.

**მარიამ ხურციძე.**

სიკეთე

# „დავეხმაროთ, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს“!

8 მაისი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის დღეა და მსოფლიოში აღინიშნება.

ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, სოციალურმა თუ ეკონომიურმა სიდუხჭირემ, ომმა, უამრავი საფიქრალი და პრობლემა მოგვახვია თავს: უსახსროდ, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი მარტოხელა, ხანდაზმული ადამიანები, მრავალშვილიანი შეჭირვებული ოჯახები, უპატრონო ბედის ანაბარად მიტოვებული ბავშვები, ასიათასობით იძულებით გადაადგილებული პირი და მრავალი სხვა. სამწუხაროდ დღემდე ასე გრძელდება.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანადგომით შეძლებისდაგვარად ცდილობს შეუმსუბუქოს ამ ადამიანებს ხვედრი.

„საერთო სიტუაციიდან გამომდინარე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება კვლავაც ამ ადამიანების ჭირ-ვარამის თანამოაზიარე იქნება. ამიტომაც ეროვნულმა საზოგადოებამ წლევანდელი საქმიანობის მიმართულებად ძირითადად ისევ გაჭირვებულთა თანადგომა აირჩია. ეს ადამიანები ჩვენი სატკივარია და ჩვენვე გვმართებს მათზე ზრუნვა, – ამბობს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი ნოდარ ცქიტიშვილი.

8 მაისს 12 საათზე სამშვიდობო სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით იხილავთ საჩვენებელ გამოსვლას (დიმიტრი უზნაძის ქ. №52), 16 საათზე მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებისათვის გაიმართება პრესკონფერენცია, 18 საათზე – საზეიმო მიღება.

9 მაისს 11 საათზე ახალგაზრდული წითელი ჯვრის მოხალისეები დაასუფთავებენ ბოტანიკურ ბაღს.

**საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.**

ისტორია

# მანდელშტამი საქართველოში

1920 წელს ფეოდოსიიდან ბათუმისაკენ გამოემართა ძველი, მორყეული ბარჟა, რომელშიც იმყოფებოდა XX საუკუნის ჩინებული რუსი პოეტი ოსიპ მანდელშტამი. ის ყირიმში უკანდახეულმა ვრანგელის მხარდამჭერებმა დააკავეს, რადგან ბოლშევიკების ჯაშუში ეგონათ, ჯერ დასახვრეტად შეაყენეს, მერე ბარჟაზე დასვეს და ბათუმისკენ გამოამგზავრეს. მის გარდა, პატარა გემით კიდევ ათი საეჭვო პირი მგზავრობდა, ვინ იყვნენ ისინი – წითლები, თეთრები, ბანდიტები, მექთახორები თუ ქურდები, არავინ იცის.

მანდელშტამი, ერთი შეხედვით, ყველაზე უფრო ჯიბეგამოფხაკებულ მაწანწალას ჩამოჰგავდა: პირხმელი, მოუხედავი, დაგვალული, ძველმან ძონძებში გამოხვეული. იფიქრებდი, ალასფერი თავისი ფეხით მოადგა ბათუმის სანაპიროსო. და ასეც იყო. ოღონდ მისთვის მაინცდამაინც დიდი პატივი არ მიუგიათ საზღვაო დაცვის მუშაკებს, ხელი დაავლეს და პირდაპირ საკანში უკრეს თავი.

მანდელშტამი მართლაც ბიბლიური იერით იყო მოსილი. ის ლემოსის ღრმა წიაღიდან გამოსულ ადამიანს ჰგავდა. თვალებში ძველისძველი ებრაული ნაღველი და უკვე განჭვრეტილი ეკლესიასტესეული ამაღლება ამაოებათა უკრთოდა.

ზუსტად იმხანად ზღვისპირეთში შავი ჭირის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ამ ჩინებული მაწანწალას ხვედრი – იგი კარანტინში მოჰყვა.

იმავე დღეებში ბათუმს მეუღლითურთ ტიციან ტაბიძე ეწვია. მან ყურებს არ დაუჯერა, როდესაც სავსებით შემთხვევით შეატყობინეს, ვიღაც პოეტი მანდელშტამია დაკავებული, იქნებ გამოექომაგო და გამოიხსნაო.

ტიციანი მაშინვე ბათუმის გენერალ-გუბერნატორის წინაშე წარდგა. შემოიყვანეს მანდელშტამი. იმ წუთებში ძნელად თუ გამოიძებნებოდა სადმე მისი იკონოგრაფი, ვინაიდან იგი ნაკლებად ჰგავდა კაცს, რომელიც ტრადიციული წარმოდგენით შეიძლება პოეტად მიიჩნიო.

პირველი შეხედვისთანავე ვერც ტიციანმა ირწმუნა, რომ მის წინ ცნობილი პოეტი იდგა, ამიტომ ეშმაკურ ხრიკს მიმართა: ამ ჩია ადამიანს მისივე ზოგიერთი პუბლიკაციის ზუსტი დასახელება მოსთხოვა. მანდელშტამმა უშეცდომოდ ჩააბარა ეს გამოცდა და თავის პიროვნების ეჭვმიუტანლობა დაასაბუთა.

აქედან იწყება მანდელშტამის პირველი მოგზაურობა საქართველოში (მეორედ ის 1930 წელს ჩამოვიდა, მეუღლითურთ). უკვე თბილისში ჩამოსული პოეტი ხვდება „ცისფერყანწელების“ ჯგუფს და მათი არტისტული სულისკვეთებით სავსე წვეულებებს და სერობებს ესწრება. ვერ ვიტყვით, რომ ის ისევე მოიხიბლა პაოლო იაშვილის განუმეორებელი თხრობის ნიჭით და მოხდენილი თამადობით ან ტიციანის ენამახვილობით, როგორც ბორის პასტერნაკი.

მანდელშტამი ირონიულიც არის და სკეპტიკურიც, მკაცრიც და უკომპრომისოც, მაგრამ ის არსებითად გულწრფელია, შეუნიღბავი, როცა საუბრობს „ცისფერყანწელებზე“: ისინი ელოლიავებიან საკუთარ თავს და მკითხველებსაც ბოდლერიანობის შესახებ იაფფასიანი რიტორიკით, არტურ რემბოს თავგადასავლებით და გამარტივებული დემონიზმით თაფლავენ“.

ახალგაზრდა „ცისფერყანწელები“ ამ ცოდვებისაგან მართლაც არ იყვნენ დაზღვეულნი, მაგრამ უამისობაც წარმოუდგენელი იყო, ვინაიდან ჯიუტად ეძებდნენ სავსებით ახალ მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს, განახლებულ შინაარს, რომლის მეშვეობითაც ქართული ლექსის ძირეული რეფორმა უნდა განეხორციელებინათ. ეს გზა სადღაც უნდა დაწყებულიყო და დასაწყისი ყველასათვის სასურველი დონის ვერ იქნებოდა.

ოსიპ მანდელშტამი თავისებური კაცი იყო – ერთი მხრივ ხალასი ბუნების და ბავშვურად ალალი, მაგრამ ამავე დროს შეუვალი, ენამწარე, (ცნობილია, მისი სიტყვიერი პაექრობანი მაიაკოვსკისთან), უზომოდ ნერვიული. სხვაგვარი იყო მისი გემოვნებაც და საგანთა და მოვლენათა ხედვის რაკურსიც. იქნებ ის ვერ განთავისუფლდა პუშკინისეული „არზრუმში მოგზაურობის“ ლიტერატურული ასოციაციებისაგან და ამიტომაც თბილისურ შთაბეჭდილებებზე შექმნილი შეუდარებელი ლექსი „Мне Тифлис горбатый снится“ მწვადის ოხშივრით და საერთოდ, დუქნის გაცვეთილი კოლორიტით განაზავა?

თუ სწორედ ეს იზიდავდა და ამ ფონზე ხედავდა ქართული კულტურის წახნაგებს, – აღმოსავლური ცხოვრების ნირი, სიუხვე და ფერადოვნება, ჩახვეული ქუჩების სიმყუდროვე და განიერი მოედნების ალიაქოთი, დამაბრმავებელი სიჭრელე და ჩახჩახა სინათლე?! სომხეთის თემაზე ხომ მთელი ციკლი შექმნა და იქაც ხალასი პირველქმნილება ჩააქსოვა მისთვის ჩვეული გროტესკულობით აღბეჭდილ მეტაფორაში: „Близорукое армянское небо“.

მაგრამ არა! „აღმოსავლური ორნამენტიკა“ და ცხოვრების ყაიდა არ ქცეულა მანდელშტამის თბილისურ შთაბეჭდილებათა ერთადერთ ქვაკუთხედად, თუმცა ის წერდა, რომ ქართულ კულტურას ორნამენტულ კულტურათა ტიპს მივაკუთვნებო, მისი თვალსაზრისი ამით არ ამოწურულა.

საოცრება მოგვიანებით მოხდა: მანდელშტამმა წაიკითხა ვაჟა-ფშაველა. წაიკითხა თუ წაუკითხეს? ალბათ, ორივენაირად შეიძლება ითქვას. წაიკითხა და აღფრთოვანდა. მისი ყურთასმენა, როგორც თვითონ ამბობს, ვაჟასეული ლექსის ფონეტიკამ მოაჯადოვა. უკვე უჭირდა თავშეკავება: „ვაჟა ფშაველას შემოქმედება ევროპული რანგის მოვლენაა. მისი პოემების სახოვანება ეპიკური სიდიადის მხრივ თითქმის შუასაუკუნეობრივია, სტიქიურია... ყოველივე, რასაც კი ის ეხება, მყისვე პოეტურ სახედ გადაიქცევა... მან ქარიშხალივით გადაურა ახალთაობელთა პოეზიას“...

აქ უკვე გარკვევით ჩანს, რომ მანდელშტამის წარმოდგენას ქართული კულტურის ორნამენტულობის შესახებ ვაჟას ფენომენი შეენაცვლა. არ იქნება უადგილო ერთი საგულისხმო დეტალიც გავიხსენოთ: ბათუმში ჩამოსვლისთანავე პოეტმა საზღვაო დამცველებს თუ დამკავებლებს განუცხადა: მე არც წითელი ვარ და არც თეთრი, მე ვარ პოეტი, ვწერ ლექსებს და ამჟამად გატაცებული ვარ კატულუსით და რომაული დეკადანსითო. იგივეს უმეორებდა იგი ქართველ „ცისფერყანწელებსაც“ და ამავე დროს გადაჭრით გმობდა ფრანგულ სიმბოლიზმს, რაც ცხარე კამათის საგნადაც იქცეოდა ხოლმე. ერთი სიტყვით, მისი პოეტური გუმანი უფრო წარსულის სიძველეებში ეძებდა საყრდენებს, ვიდრე თანამედროვეობაში. ჩემი აზრით, ვაჟას პოეზიით მას სწორედ მითოსური ხილვები ენიშნა და თვალუწვდენელი არქაული სამყარო წარმოუდგა. ვაჟამ ერთდროულად ქართული კულტურის აღმოსავლური სტერეოტიპიც დაამსხვრია მის წარმოდგენაში და მკაფიო თვითმყოფადობის ნიშანიც აღბეჭდა. და კიდევ ენერგია, დაუოკებელი ენერგია შეეჯახა მანდელშტამს, რამაც ასეთი ფრაზა წარმოათქმევინა: „ვაჟა-ფშაველას სიტყვა ეცოტავება, თითქოს კბილებით ხლეჩს ნაკუწებად მას და ქართული ფონეტიკის მხურვალე ტემპერამენტს ასხივებს“.

იქნებ რამდენადმე ამ ორი პოეტის ნიჭიერების ღრმად უკუფენილ მსგავსებასაც ედო წილი ამავე გატაცებაში? იყო ასე თუ არა? რა ნიშნები შეიძლებოდა ჰქონოდა ამ მსგავსებას? პირველქმნილება, სტიქიურობა. სერგეი ავერინცევი თავის წერილში „ადრეული მანდელშტამი“ აღნიშნავს, რომ თექვსმეტი წლის პოეტის შემოქმედებაში უკვე მკვიდრად და თვალსაჩინოდ იყო თავმოყრილი ლექსწერის ის ხერხები და შინაარსობრივი მოტივები, რომლებიც თანდათან ღრმავდა. ეს კი სწორედ სტიქიური ნიჭიერების ნიშანია.

ასე იყო თუ ისე, მანდელშტამის ვაჟასაგან მოგვრილი შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ სულ ცოტა ხანში „გოგოთურ და აფშინას“ ძალზე საინტერესო, ორიგინალური თარგმანიც შესრულდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ რუსი პოეტი ძალზე იშვიათად ჰკიდებდა ხელს თარგმანს, დავრწმუნდებით, თუ რაოდენ ძლიერი შთაგონების ტყვეობაში აღმოჩნდა იგი.

ჯერ კიდევ შორს იყო 1934 წლის საბედისწერო მაისი, ტრაგიკული აღსასრულის დასაწყისი, გადასახლება ურალში და შემდეგ ვორონეჟში. კიდევ უფრო გვიან, გაცილებით გვიან დაიწერება საბჭოთა, სტალინური „ლაგერების“ მემატიანის ვარლამ შალამოვის მშვენიერი და სევდიანი მოთხრობა „მანდელშტამის სიკვდილი“.

ოსიპ მანდელშტამი ეთხოვებოდა საქართველოს, რომელისკენაც იგი ბედისწერამ ნაფოტივით გადმოისროლა.

**ანდრო ბუაჩიძე.**

დაფასება

# ღვაწლმოსილი მეცნიერი, ამაგდარი მკურნალი, უბადლო ორგანიზატორი...

80 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მკურნალს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ბატონ **ვახტან გიორგის ძე ქავთარაძეს**.

ბატონი ვახტანგი დაიბადა და გაიზარდა ტრადიციულ ქართულ ოჯახში, სადაც მუდამ სუფევდა ერისა და ქვეყნის სიყვარული.

1935 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა (ამჟამად პირველი კლასიკური გიმნაზია). იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე. 1940 წელს, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, გაწვეული იყო ორ წლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურში. აქ მოუსწრო მე-2 მსოფლიო ომმა. ბატონი ვახტანგი დაინიშნა ამიერკავკასიის ფრონტის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი ნაწილის სამედიცინო სამსახურის უფროსად. 1942 წლის დეკემბერში კონტუზიის გამო იქნა დემობილიზებული. ამის შემდეგ იწყებს მუშაობას ქალაქის პირველ საავადმყოფოში გაშლილ ევაკოჰოსპიტალში, რომლის თერაპიული განყოფილება ერთდროულად სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრის ბაზას წარმოადგენდა. აქ ვ. ქავთარაძე მუშაობს ცნობილი მეცნიერების და ექიმების – ბატონების ნ. მახვილაძის და გ. დიდებულიძის ხელმძღვანელობით ჯერ ორდინატორის, შემდეგ ასისტენტის თანამდებობაზე.

1945 წლის დეკემბერში იგი მიემგზავრება მოსკოვში და იწყებს მუშაობას ორდინატორად ექიმთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში. აქვე, აკად. მ. ს. ვოვსის ხელმძღვანელობით ირჩევს საკვალიფიკაციო თემას – „სისხლის მიმოქცევის ორგანოების ფუნქციონალური მდგომარეობა მალარიის დროს“.

1947 წელს, მამის გარდაცვალების გამო ბატონი ვახტანგი იძულებულია შეწყვიტოს მუშაობა მოსკოვში; იგი უბრუნდება თავის ძველ კათედრას და აქ აგრძელებს სამეცნიერო და საექიმო საქმიანობას.

1947 წლის მაისში ვ. ქავთარაძე სამუშაოდ გადადის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიის კათედრაზე (კათედრის გამგე პროფესორი იესისე ცინცაძე); 1953 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას, რის შემდეგ კათედრაზე ირჩევენ ჯერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტად. 1960 წელს ამთავრებს სადოქტორო დისერტაციას თემაზე – „ვენური წნევის რეგულაციის საკითხისათვის“. 1963 წელს ვახტანგ ქავთარაძეს ირჩევენ კათედრის პროფესორად.

1968 წლის 9 ოქტომბრიდან პროფესორი ვ. ქავთარაძე ინიშნება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად და აი, სწორედ ამ დროიდან მოყოლებული 21 წლის მანძილზე იგი იწყებს მუხლჩაუხრელ შრომას ესოდენ სოლიდური, მაშინდელ საბჭოთა კავშირში პირველი კარდიოლოგიური ინსტიტუტის აღორძინებისა და ძველი ტრადიციის დაბრუნებისათვის.

ვ. ქავთარაძის მოსვლამდე წელიწადნახევრის განმავლობაში კარდიოლოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი ექიმი და მეცნიერი ბატონი ვახტანგ წინამძღვრიშვილი. მის დროს საფუძველი ჩაეყარა ახალი კლინიკური კორპუსის მშენებლობას და ექსპერიმენტული კორპუსის რეკონსტრუქციას, ახალ მეცნიერულ მიმართულებას და თანამედროვე ინსტრუმენტული დიაგნოსტიკური ბაზის შექმნას. მისი მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ამ ახალ წამოწყებულ საქმეს ღირსეული გამგრძელებელი სჭირდებოდა და სწორედ ასეთ პიროვნებად მოგვევლინა პროფესორი ვ. ქავთარაძე.

ერთი მხრივ, აქტიური სამეურნეო საქმიანობა – ინსტიტუტის ახალი ბაზის მშენებლობა, ძველის რეკონსტრუქცია, მისი აღჭურვა თანამედროვე აპარატურით; მეორე მხრივ – ახალ მეცნიერულ მიმართულებათა ძიება და საკუთარი კლინიკური გამოცდილების ჩაყენება ახალ ჩარჩოებში, ზრუნვა ახალგაზრდა კადრების აღზრდაზე, უფროსი თაობის პატივისცემა და მათდამი თანადგომა – დიდ შრომას, ტაქტს და დაკვირვებას მოითხოვდა უკვე სოლიდური ავტორიტეტის მქონე პიროვნებისაგან. ბატონმა ვახტანგმა ბრწყინვალედ გაართვა თავი ყოველივეს.

პროფ. ვ. ქავთარაძის ხელმძღვანელობის პერიოდში კარდიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკა კიდევ უფრო გაფართოვდა და მრავალფეროვანი გახდა. ერთიანი კლინიკური განყოფილების ნაცვლად შეიქმნა რამდენიმე ახალი სპეციალიზებული სამეცნიერო-კლინიკური განყოფილება – არტერიული ჰიპერტონიის, ქრონიკული კორონარული უკმარისობის, სისხლის მიმოქცევის უკმარისობის, რითმის დარღვევის და რეაბილიტაციის განყოფილებები. არაჩვეულებრივად დიდი შრომა და ძალისხმევა დასჭირდა მიოკარდიუმის ინფარქტის განყოფილების შექმნას, რისთვისაც ბატონმა ვახტანგმა მაქსიმალურად გამოიყენა მთელი თავისი შესაძლებლობები.

ჯერ კიდევ აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილის დროს, ინსტიტუტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, კარდიოლოგიურ დაავადებათა (უპირატესად არტერიული ჰიპერტონიის) ეპიდემიოლოგია და პრევენცია გახლდათ. ვ. ქავთარაძის ინიციატივით ცალკე იქნა გამოყოფილი პროფილაქტიკური კარდიოლოგიის განყოფილება. მისი უშუალო მონაწილეობით და თანადგომით საფუძველი ჩაეყარა ფუნქციონალური კვლევის ახალ განყოფილებებს და ლაბორატორიებს, მათ დაკომპლექტებას ახალი აპარატურით. მის სახელს უკავშირდება კარდიოლოგიის ინსტიტუტის კედლებში, საქართველოში პირველი, ერგონომიული და ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის ლაბორატორიების შექმნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულს, შედეგად მოჰყვა სწორედ ის, რომ ვახტანგ ქავთარაძის მიერ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის პერიოდში, სრულყოფილი იყო არტერიული ჰიპერტონიისა და ჰიპერტონიული დაავადების, მისი კრიზული და დიენცეფალური ფორმების მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეთოდები; შემუშავებული და კლინიკურ პრაქტიკაში დაინერგა გულის მწვავე და ქრონიკული იშემიური დაავადების (განსაკუთრებით – უტკივილო ფორმების), სისხლის მიმოქცევის უკმარისობისა, გულის რითმის დარღვევის ადრეული დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ეფექტური მეთოდები. ბატონი ვახტანგის ხელშეწყობით დანერგილი იყო აკად. დ. უზნაძის განწყობის თეორიაზე დაფუძნებული ახალი მეცნიერულ-მეთოდური მიმართულება, რომელიც შეისწავლის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს გულის იშემიური დაავადებისა და არტერიული ჰიპერტონიის დროს.

საყურადღებოა, რომ 50-იან წლებში აკად. მ. წინამძღვრიშვილის ინიციატივით, საქართველოს კარდიოლოგიის ინსტიტუტმა, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მუშაობა უეცარი სიკვდილის პრობლემაზე. პროფ. ვ. ქავთარაძის წინადადებით 70-იან წლებში კვლავ წინა პლანზე წამოიწია ეს საკითხი და მისი უშუალო მონაწილეობით შესწავლილი იქნა უეცარი სიკვდილის პათომექანიზმების რიგი თავისებურებანი.

ვახტანგ ქავთარაძე დიდ ყურადღებას უთმობდა მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომელიც სწავლობდა კარდიოლოგიურ პრობლემებს მოლეკულურ დონეზე.

1970 წლიდან პროფ. ვ. ქავთარაძე, ერთდროულად ხელმძღვანელობს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის თერაპიულ განყოფილებას.

1978 წელს კარდიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა კარდიოლოგიის რესპუბლიკური სამეცნიერო ცენტრი, რომელსაც დაეკისრა რესპუბლიკის კარდიოლოგიური სამსახურისათვის სამეცნიერო და ორგანიზაციულ-მეთოდიკური ხელმძღვანელობის განხორციელება. ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნა პროფესორი ვახტანგ ქავთარაძე. იგი ერთდროულად რესპუბლიკური კარდიოლოგიური საპრობლემო კომისიის თავმჯდომარეა. ბატონი ვახტანგი მისთვის ჩვეული შემართებით და პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას: ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გაიხსნა კარდიოლოგიური სტაციონარები, კარდიოლოგიური კაბინეტები; შეიქმნა სასწრაფო და გადაუდებელი კარდიოლოგიური სამსახურის ბრიგადები; განხორციელდა სათანადო კარდიოლოგიური კადრების მომზადება-გადამზადება; ეწყობა სამეცნიერო სემინარები, თემატური კონფერენციები; მზადდება მეთოდური რეკომენდაციები. ბატონი ვახტანგი, როგორც კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და რესპუბლიკური კარდიოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, თავად ბრძანდებოდა ყველა რეგიონში მიმდინარე საქმიანობის ინიციატორი და გულშემატკივარი.

ერთდროულად ვ. ქავთარაძის საქმიანობა გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. მას ირჩევენ კარდიოლოგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის, თერაპევტთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის, საკავშირო ჟურნალ „კარდიოლოგიის“ და ქართულ ჟურნალ „მედიცინის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად.

როდესაც აკადემიკოს ვახტანგ ქავთარაძეზე ვსაუბრობთ, ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ ის თვისებები, რაც მის პიროვნებას არაორდინარულს ხდის; უპირველეს ყოვლისა, იგი გამორჩეული ორატორია. რა სიტუაციაში უნდა მოხვდეს, რა თემის ირგვლივ უნდა დასჭირდეს საუბარი, რომ ბრწყინვალედ არ გაართვას თავი. საოცრად საინტერესოა მისი შემაჯამებელი გამოსვლები კონფერენციებსა და ყრილობებზე, ახლისა და პროგრესულის წინ წამოწევის უნარი. ბატონი ვახტანგის ნიჭიერება განსაკუთრებით ნათლად მჟღავნდება ავადმყოფის საწოლთან. სხარტი აზროვნება, დიდი კლინიკური გამოცდილება არის საწინდარი მისი, როგორც ექიმი-კლინიცისტის, წარმატებისა.

ნაყოფიერია ვ. ქავთარაძის პედაგოგიური საქმიანობა. კარდიოლოგიის ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობის პერიოდში თავი მოიყარა მრავალმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ. ათეულობით ახალგაზრდა ექიმი მივლინებული იყო სამუშაოდ მაშინდელი საბჭოთა კავშირის წამყვან კლინიკებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში. იგი დღენიადაგ ზრუნავდა, რომ ინსტიტუტის წარმატებები ცნობილი და ხელმისაწვდომი გახდათ ფართო სამედიცინო საზოგადოებისათვის. ამ მიზნით მას სპეციალური წამახალისებელი მეთოდიც კი ჰქონდა შემუშავებული. კარდიოლოგიის ინსტიტუტიდან გამოსული ყველა მეცნიერული შრომა თუ წერილი იკითხებოდა და სწორდებოდა მის მიერ, რამაც დიდ დახმარებას უწევდა ქართული და რუსული ენების უბადლო ცოდნა.

კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მისი მოღვაწეობის 21 წლის მანძილზე მან გამოზარდა ათეულობით მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. იგი თავად ბრძანდებოდა მრავალი სამეცნიერო ყრილობის და კონფერენციის ინიციატორი და სულისჩამდგმელი.

პროფ. ვ. ქავთარაძის კალამს ეკუთვნის 130-მდე მეცნიერული შრომა, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და უცხოურ პერიოდულ გამოცემებში და კრებულებში.

აკად. ვახტანგ ქავთარაძის ღვაწლი სამეცნიერო, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ სარბიელზე ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია მაშინდელ საკავშირო თუ ადგილობრივ მთავრობას. იგი აღნიშნულია 3 ორდენით და მრავალრიცხოვანი ჯილდოებით.

და ბოლოს, ბატონი ვახტანგი უბრალოდ ქართული სიმინის მატარებელი ქართველი კაცია – სიკეთით სავსე, „ზღვა“ მეგობრებით, ნაცნობებით; ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი; გამორჩეული, დიდი სიბრძნითა და იუმორით შეზავებული, თამადა; თავისი ქვეყნის ტრადიციების ღირსეულად პატივისმცემელი, მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა.

ბატონი ვახტანგი დღესაც აგრძელებს ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამედიცინო საქმიანობას. იგი კარდიოლოგიის ინსტიტუტის საპატიო კონსულტანტია. მისი რჩევა-დარიგებები ადმინისტრაციულ, სამეცნიერო თუ სამკურნალო დარგში გამოირჩევა საქმის ღრმა წვდომით, დაკვირვებითა და ზომიერებით. იგი მუდამ სასურველია ინსტიტუტის დირექციისა თუ ახალგაზრდა კოლეგებისათვის.

ბატონ ვახტანგს კიდევ ბევრი ჩანაფიქრი აქვს, კიდევ ბევრს გვპირდება წლების გამოცდილებით გამდიდრებული, მისი სადად მოაზროვნე გონება.

**ბონდო ქობულია,**
საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახ. კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

**დოდო კაჭახიძე,**
კარდიოლოგიის ინსტიტუტის არტერიული ჰიპერტონიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ბიბლიოგრაფია

# საყურადღებო ნაშრომი პედაგოგიკაში

ტოტალიტარული კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, მათ შორის მეცნიერებაც თავიდან ბოლომდე პოლიტიზებული იყო. ეს, პირველ ყოვლისა, საზოგადოებრივ მეცნიერებებზე ითქმის. მეცნიერების პოლიტიზაციის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშს კი, უდავოდ, საბჭოური პედაგოგიკის მეცნიერება წარმოადგენს.

საბჭოურ პედაგოგიკას საფუძვლად ედო არა მეცნიერული კვლევის, დაკვირვებისა და ექსპერიმენტის მონაცემები, არამედ ხელმძღვანელი პოლიტიკური დოქტრინები, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებანი, რომელიც ოფიციალურმა სახელმწიფო იდეოლოგიამ და პოლიტიკამ ყოველგვარი კრიტიკისაგან მიუწვდომელ, წმიდათაწმიდა დოგმებად აქცია. ასეთ პირობებში, ცხადია, ერთობ შეიზღუდა თავისუფალი აზრის განვითარება პედაგოგიკაში; ზოგიერთი მიმართულებით კი სავსებით გამოირიცხა მეცნიერულ შეხედულებათა მრავალფეროვნება.

უკანასკნელ ხანებში ჩვენში განხორციელებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა, კერძოდ, პედაგოგიკის დეპოლიტიზაციის შესაძლებლობა შექმნა. შესაძლებელი გახდა მეცნიერებაში სრულად მოიშალოს დოგმატიზმის ჩარჩოები და იგი მის ბუნებრივ საყრდენებს დაუბრუნდეს.

შესაძლებლობა ერთია, მაგრამ ამ შესაძლებლობათა რეალიზაცია მეცნიერებაში საკმაოდ რთული პრობლემაა. აქ საჭიროა არა მარტო პედაგოგიური პრობლემების ახლებური გააზრება, არამედ იმ ტრადიციების გათვალისწინებაც, რაც ათეული წლების განმავლობაში იყო დამკვიდრებული ჩვენს პედაგოგიკურ აზროვნებაში. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოურ პერიოდში პედაგოგიკის მეცნიერებაში ბევრი საყურადღებო ნაბიჯი გადაიდგა. ეს განსაკუთრებით დიდაქტიკის სფეროზე ითქმის. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ უკანასკნელ ათწლეულებში, განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან ცალკეულ მეცნიერთა თუ მეცნიერთა და პრაქტიკოს პედაგოგთა ჯგუფების მცდელობით ჩვენში არსებობის უფლება მოიპოვეს ახალმა (ან დასავლურმა) პედაგოგიკურმა თეორიებმა, რომლებიც ორიენტირებულია არა კლასობრივ არამედ ზოგადკაცობრიულ და ეროვნულ ღირებულებებზე.

ამრიგად, პედაგოგიკაში თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი ნაშრომის შექმნა, მით უმეტეს სახელმძღვანელოსი, საკმაო სირთულესთან არის დაკავშირებული. ამ სირთულის დაძლევისათვის, ჩვენი აზრით, ერთი რამ უთუოდ მოეთხოვება მკვლევარ პედაგოგს. იგი აუცილებლად მეცნიერული პლურალიზმის პოზიციაზე უნდა დადგეს, რათა თავიდან აიცილოს ძველი დოგმატიზმის ახალი დოგმატიზმით შეცვლის საფრთხე.

ამ აზრით, ერთობ საყურადღებოდ მიგვაჩნია ზურაბ ცუცქირიძის ახლადგამოცემული წიგნი „ლექციების კურსი პედაგოგიკაში. I ნაწილი (აღზრდის თეორია“, რომელიც საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის გრიფით გამოიცა (ნაშრომი შესრულებულია საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრაზე).

ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ დასახელების მიუხედავად, ეს არის პედაგოგიკის სახელმძღვანელო, რომელშიც უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიკის პროგრამის შესაბამისად, სისტემურადაა გადმოცემული აღზრდის თეორია.

აღნიშნული წიგნი მრავალმხრივ არის საინტერესო: ინფორმაციით დატვირთულობა, მსჯელობის სიცხადე, თეორიული დებულებებს მორგებული, ტიპობრივი მაგალითებით ილუსტრირება, ალტერნატიული მოსაზრებების ერთიან ლოგიკურ ჩარჩოებში თანაარსებობა, მეცნიერული აზრის განვითარებაზე ორიენტაცია არის ამ წიგნის დამახასიათებელი ნიშნები.

„ლექციების კურსი პედაგოგიკაში“ თერთმეტი თავისგან შედგება, რომლებშიც ჩამოყალიბებულია აღზრდის მწყობრი თეორია.

წიგნის შინაარსის უბრალო გაცნობაც კი აშკარად გვიჩვენებს, რაოდენი ინფორმაცია დაუმუშავებია ავტორს. ეს ავტორის პოზიციიდან იმგვარად არის ტრანსფორმირებული, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი არა მარტო მისაწვდომი და გასაგებია მკითხველისათვის, არამედ გარკვეულ პოზიციებსაც გამოუმუშავებს მას. სასწავლო ლიტერატურას, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს მოეთხოვება. წიგნის სტრუქტურა (რადგან იგი უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიკის სასწავლო პროგრამების შესაბამისად არის აგებული) ძირითადად ტრადიციულ სქემას ემთხვევა. განსხვავება ის არის, რომ აქ წარმოდგენილია სრულიად ახალი შინაარსის თავები: „აღზრდის ალტერნატიული თეორიები“, „პიროვნების აღზრდა“, „თამამით აღზრდა“, „რელიგიური აღზრდა“ და „თვითაღზრდა“. სწორედ ეს თავები ავსებენ იმ ხარვეზს, რაც ტრადიციულ პედაგოგიკას ჰქონდა პიროვნების აღზრდის მთლიანობის გაგების თვალსაზრისით. იმ თავებში კი, რომლებსაც ტრადიციული დასახელება აქვთ, ცხადია, ტრადიციული შინაარსი არ ძევს. პედაგოგიურ პრობლემათა უმრავლესობა ახლებური თვალსაზრისით არის ახსნილი, ბევრი რამ კი სრულიად განსხვავებულ მსოფლმხედველობრივ პოზიციებს ემყარება. კერძოდ, ეს ითქმის იმ პრობლემებზე, რომლებსაც ტრადიციული პედაგოგიკა აღზრდის კლასობრივი ბუნებით ხსნიდა.

აქ განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ პიროვნულისა და საზოგადოებრივის ავტორისეული გაგება, რაც არსებითი მნიშვნელობისაა აღზრდის პროცესის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მექანიზმების სწორად გააზრებისათვის.

კერძოდ, საქმე ეხება პიროვნული იერარქიის ცნებას, რომლის პედაგოგიური მნიშვნელობა ამდენ ხანს არავის შეუნიშნავს.

პიროვნული იერარქიის გათვალისწინების აუცილებლობის ახსნამდე ავტორი განმარტავს პიროვნების არამატერიალისტურ გაგებას, რაც აუცილებელია საიმისოდ, რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნას პიროვნების სტრუქტურაზე. პედაგოგიკაში ამ პრობლემის დამუშავება ერთობ აქტუალური იყო, რადგან საბჭოურ ფსიქოლოგიაში პიროვნება მხოლოდ სოციალურად განპირობებულ მოვლენად არის მიჩნეული. იმის მიუხედავად, რომ ბოლო ათწლეულებში პიროვნების შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი ერთგვარად დაუახლოვდა დასავლურ გაგებას, მან მაინც შეინარჩუნა სოციალურ განპირობებულობაზე ორიენტირებული საფუძვლები. ეს კი ხელშემშლელ ლოდად იდო აღზრდის თანამედროვე თეორიების პრაქტიკულ-გამოყენებითი გააზრების გზაზე. მეტიც, თვით პიროვნულ-ჰუმანურ საწყისებზე აღზრდის თეორიაც სრულიად გაუგებარი დარჩება, თუ პიროვნებას განვიხილავთ როგორც მხოლოდ სოციალურ წარმონაქმნს. ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რომ წიგნის იმ მონაკვეთში, სადაც პიროვნების აღზრდის შესახებ არის მსჯელობა, ფსიქოლოგიზმია მოჭარბებული. შეიძლება მოჭარბებულიც იყოს, მაგრამ, ვფიქრობთ, პედაგოგიკას ფსიქოლოგიის მოჭარბება არ აწყენს. ამასთან, განა სრული წარმოდგენა შეიძლება შეგვექმნას პიროვნების აღზრდის სისტემაზე, თუ ერთმანეთისაგან ვერ განვასხვავებთ ემპირიული „მე“ ანუ პიროვნება და ფიზიკური პიროვნება, სოციალური პიროვნება და სულისმიერი პიროვნება. უამისოდ ვერც თვითშეფასების მოვლენას გავიგებთ, ურომლისოდაც აზრს არის მოკლებული ნებისმიერი აღმზრდელობითი ღონისძიება.

„ერთ ადამიანში მოცემულია პიროვნების რამდენიმე სახეობა, – აღნიშნავს ავტორი, – და ამის მიხედვით ჩამოყალიბებული თვითპატივისცემა შეიძლება განლაგებული იყოს იერარქიული შკალის მიხედვით, სადაც ფიზიკური პიროვნება ყველაზე დაბლა მდებარეობს, სულისმიერი – ყველაზე მაღლა, მატერიალური და სოციალური პიროვნების სახეები – მათ შორის. საკუთარ თავზე ზრუნვის ბუნებრივი მიდრეკილება იწვევს ჩვენში პიროვნების სხვადასხვა მხარეების გაფართოებისადმი მისწრაფებას. ჩვენ წინასწარგანზრახვით უარს ვამბობთ მხოლოდ იმ მხარის გაფართოებაზე, რამიც წარმატების იმედი არა გვაქვს“.

სწორედ პიროვნების ამგვარ გაგებას უკავშირდება დიდაქტიკაში ბოლო ხანებში შემოტანილი ცნება „წარმატების ეფექტის“ შესახებ, რაც, ალბათ, განხილული იქნება ამ წიგნის მეორე ნაწილში.

პიროვნების ზემოაღნიშნული გაგება თავისთავადაც ეჭვქვეშ აყენებს პიროვნებისა და კოლექტივის ურთიერთობის ტრადიციულ გაგებას. ამიტომ სავსებით ბუნებრივად და მისაღებად გვეჩვენება კოლექტივის ავტორისეული განსაზღვრება – „კოლექტივი არის პიროვნებათა ინტეგრირებული ერთიანობა“. ამგვარი განსაზღვრება პრინციპულად ცვლის კოლექტივის აღზრდის იმ სისტემას, რომელსაც საბჭოური აღზრდის თეორია აძლევდა. სარეცენზიო წიგნში კოლექტივის ჩამოყალიბებისა და მისი აღმზრდელობითი ფუნქციის საკითხები ზემოაღნიშნული დებულების საფუძველზეა ახსნილი.

წიგნის ღირსებებზე ბევრის თქმა შეიძლება. მოკლედ ვიტყვით: ეს არის ჭეშმარიტ მეცნიერებაზე ორიენტირებული სახელმძღვანელო აღზრდის თეორიაში, რომელიც უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტობასა და პედაგოგიკით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

**სვიმონ გამსახურდია,**
პროფესორი, საქართველოს პედაგოგიური აკადემიის წევრი,

**ვალერი ცაავა,**
პროფესორი.

გამოცემა

# ჟურნალის ახალი ნომერი




გამოვიდა ჟურნალ „რელიგიის“ მორიგი ნომერი (№ 3-4, 1998). მასში რუბრიკით „ღვთისმეტყველება, ქართული ეკლესიის ისტორია“ ცნობილი მეცნიერი ზურაბ კიკნაძე წარმოგვიდგენს ძველი აღთქმის გამოსვლათა წიგნის შინაარსის გაგრძელებას. აქვე დაბეჭდილია მაია ნაჭყებიას საინტერესო ნაშრომი ქეთევან დედოფლის აღმსარებლობის შესახებ, სადაც უცხოურ წყაროთა შუქზე ნაჩვენებია ქეთევანის კათოლიკედ მოქცევის თაობაზე გავრცელებული აზრის უსაფუძვლობა და დამტკიცებულია, რომ დედოფალი მართლმადიდებლად აღესრულა.

რუბრიკა „რელიგია და ფილოსოფია“ გვაცნობს ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ სერგი ავალიანის სტატიას „მაქს პლანკის საბუნებისმეტყველო-თეოლოგიური კონცეფცია“.

ჟურნალში კვლავ ვხვდებით რუბრიკას „ლიტერატურა და რელიგია“. ქეთევან ელაშვილის წერილი ეძღვნება ქართულ აგიოგრაფიაში ნათელისა და ბნელის დიალექტიკას, ფირუზ მეტრეველის სტატიაში „პოეზია და რწმენა“ საფუძვლიანად არის გაშუქებული ღმერთთან ნაზიარები შემოქმედება ტანჯული პოეტის ტერენტი გრანელისა.

მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრობს ნაწყვეტი ა. ლატიშევის წიგნიდან „გამოამკარავებული ლენინი“, სადაც დამაჯერებლად არის ნაჩვენები ბოლშევიკების ბელადის ვლადიმერ ლენინის სადისტური დამოკიდებულება რუსეთის მართლმადიდებლური სამღვდელოებისადმი. აქვე ვეცნობით გიორგი ჩინჩალაძის საინტერესო სტატიას „სარწმუნოება და ხალხური წეს-ჩვეულებანი“.

ჟურნალი გვაწვდის ინფორმაციას ამას წინათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს აღსაყდრების მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის შესახებ, რომლის თემა იყო „თავისუფლება და ზნეობრივი პასუხისმგებლობა“.

პროფესორი გიორგი წიბახაშვილი რედაქციას მიმართავს წერილით, რომელშიც ხაზგასმულია ახალგაზრდობაში რწმენის განმტკიცების საქმეში ჟურნალის როლი და მოღვაწეობა.

8 მაისი, 1998 წელი.

# ალმშენებელი

№5 (17)

საქართველოს რესპუბლიკა | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთი | ყოველთვიური დამატება

## „გეპეელები“

**თემურ გიორგაძე — საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი. 1978 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო-ფიზიკის ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქარხანა „თბილხელსაწყოში“. მომდევნო წლებში 1990 წლამდე, დაკავებული იყო კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოებზე. მოგვიანებით ხელი მიჰყო ბიზნესს. 1995 წლიდან ჯერ პრეზიდენტის აპარატში რეგიონული სამსახურის უფროსის მოადგილედ, შემდეგ კი მცხეთა-მთიანეთის მხარის რწმუნებულად მუშაობდა. სულ ახლახან იგი ენერგეტიკის მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.**

*— ბატონო თემურ, სულ ოთხი დღეა, რაც მინისტრის თანამდებობაზე მობრძანდით, კარგად გვესმის, რომ ვითარებაში გასარკვევად ადამიანს დრო სჭირდება,* ხოლო საკეთებელ საქმეზე მერე შეიძლება საუბარი. ამიტომ ტრადიციულ შეკითხვას — მინისტრის გეგმებისა და კრიზისიდან გამოსასვლელი გზების შესახებ, გვერდს ავუვლი, ჩვენი მიზანი თქვენი გაცნობა და საზოგადოებისათვის წარდგენა უფრო.

*საინტერესო გზა გაიარეთ, სრულიად ახალგაზრდა ქიათურის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდით, კარგად ერკვევით ჩვენი მრეწველობის პრობლემებში, როგორია ამ პრობლემების თქვენეული ხედვა, რა უნდა გაკეთდეს, რომ საქართველოს მრეწველობა ამუშავდეს?*

— ჩვენი ქვეყანა ახლა დამოუკიდებელია და მისი მრეწველობაცა და ეკონომიკაც სხვა ასპექტებში უნდა განვიხილოთ. მე ასე მესახება — გაუკეთებელი არაფერი დარჩება, მხოლოდ დროა ამისათვის საჭირო. პირველ ყოვლისა კი უნდა შევისისხლხორცოთ ის, რომ მართლაც დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და მთელი ჩვენი პრობლემების წინაშე პირისპირ ვდგავართ. მრეწველობის განსავითარებლად ენერგეტიკა უმთავრესია. ამ დარგში კი მეტად მძიმე ფინანსური მდგომარეობაა. არსებობს ყბადაღებული მიზეზი — „არ გადაიხადა“, თუმცა ამას ვერ გავექცევით, მაგრამ რატომ ვერ იხდის მოსახლეობა გახარჯული ენერგიის საფასურს, ამასაც ხომ თავისი ახსნა და საფუძველი აქვს? როცა დაფინანსება ცენტრალიზებულად ხდებოდა, არც ელექტროენერგიას ვითვლიდით, არც ფასს, სხვაგვარად იგეგმებოდა და ფინანსირდებოდა ყველაფერი. ახლა კი დამოუკიდებელ ენერგეტიკას ვაშენებთ. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ანალიზისათვის მაინც წარსულს მოვიშველიებ: ცენტრალური დაფინანსების დროს საქართველოს ენერგეტიკაში ყოველწლიურად, დაახლოებით 140 მილიონი დოლარის ეკვივალენტი იდებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1991 წელს ის სისტემა მოიშალა, და ხუთი, ექვსი წელიწადი დარგი არ დაფინანსებულა, გარდა იმ 130-მდე მილიონი დოლარის ეკვივალენტისა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ჩაიდო. შედეგად კი ნახევარი მილიარდი დოლარი დააკლდა ჩვენს ენერგეტიკას.

მესმის მოსახლეობისა, როცა 24-საათიანი გრაფიკით სურთ ელექტროენერგიის მიღება. მაგრამ ჩვენ სპეციალისტები ვართ და მათაც უნდა ავუხსნათ: კიდეც რომ გვქონდეს 24-საათიანი ელექტრომომარაგება, ჩვენი ენერგეტიკული სისტემები ამისათვის არ არის მზად.

24-საათიან გრაფიკზე როცა ვიყავით, მაშინ ბუნებრივი გაზიც გვქონდა, გათბობა, ცხელი წყლის პრობლემა სხვა ალტერნატიული საშუალებებით წყდებოდა. დღეს კი, ეს ყველაფერი ელექტროენერგიას დააწვა. ეს იმდენად ძვირადღირებული ფუფუნებაა, რომ ვერც ერთი განვითარებული ქვეყანა ამას ვერ გაუძლებს. ჩვენ იძულებულნი ვართ ელექტროენერგია მოვიხმაროთ ყველაფერზე. კიდევ ერთ საინტერესო ციფრს მოვიყვან: 1989 წლის 23 იანვარს თბილისმა დღე-ღამეში 8 მილიონ 600 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია მოიხმარა. იგივე ოდენობა გახარჯა 1998 წლის 23 იანვარსაც, ოღონდ, პირველ შემთხვევაში 24-საათიანი გრაფიკი იყო, წარმოებებიც მუშაობდნენ, დღეს კი გაჭირვებული 6-საათიანი გრაფიკია...

ხალხის მოთხოვნა, რა თქმა უნდა, მიღწევადია, მაგრამ... მინისტრის შეცვლა ამას ვერ გადაწყვეტს! ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ თუნდაც, მომავალი ზამთარი წინანდელს სჯობდეს! ციფრებით ამას ჯერჯერობით ვერ განვსაზღვრავთ. მაგრამ, საქმე ყველაფერს დაგვანახებს.



# მინისტრის შეცვლა პრობლემას ვერ გადაწყვეტს

*— „გეპეი“ ყოველთვის თვალს ადევნებს თავის კურსდამთავრებულებს და მათთან „კავშირს“ არ წყვეტს. გამონაკლისი, ბუნებრივია, არც თქვენ ბრძანდებით. როგორ წარმოგიდგენიათ ეს ურთიერთობა ახალ ამპლუაში?*

— დიახ, „გეპეი“ ჩემთვის კაცური აღზრდისა და პიროვნების ჩამოყალიბების ინსტიტუტია. მე ასე მიმაჩნია, რომ თუ რაიმე კარგი მაქვს, ის „გეპეიში“ სწავლის პერიოდში შევიძინე. რაც შეეხება ჩვენს დღევანდელ ურთიერთობებს, მე მქონდა შეხვედრა რექტორთან, ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანთან. ჩვენ ენერგეტიკოსების მომზადების ჩინებული ტრადიციები გვაქვს, მათთან მუშაობა და მათი გამოცდილების გაზიარება ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი მომავალი ურთიერთობების საფუძველი.

*— და, ბოლოს, რას უსურვებთ ჩვენს გაზეთს?*

— ყურადღებით ვადევნებ თვალყურს თქვენს გაზეთს, „საქართველოს რესპუბლიკის“ ჩანართს „აღმშენებელს“, ძალიან მომწონს და ყოველთვის ვითანამშრომლებთ ერთად, მით უფრო, რომ დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ჩემი ახლო სამეგობროა, მჭიდრო კავშირი და საინტერესო პროგრამები გვაქვს ერთად მუშაობისა. ამიტომაც, კიდევ წარმატებებს ვუსურვებ თქვენს გაზეთს!

*— გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის.*

**ანა ბოლქვაძე.**

## დაჯილდოება

**საქართველოში ტექნიკური მეცნიერების განვითარებისა და საინჟინრო კადრების აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის საქართველოს სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები:**

### ღირსების ორდენით:

**არჩილ ბეთანელი** — საავიაციო ინსტიტუტის თვითმფრინავთმშენებლობის კათედრის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; **გივი ბოკუჩავა** — მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; **დავით დონღაძე** — ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი; **გოჩა ჩოგოვაძე** — კომპიუტერული ტექნოლოგიების ცენტრის მეცნიერ ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **დავით ჩხეიძე** — სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის პროფესორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი; **გივი ცინცაძე** — ქიმიური და ბიოტექნოლოგიის ფაკულტეტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: **ალექსანდრე ჯვარშეიშვილი** — ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტის ჰიდრავლიკის კათედრის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

### ღირსების მედლით:

**ანზორ აბშილავა** — სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების კათედრის დოცენტი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი; **ირინა ბადაგაძე** — საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამმართველოს უფროსი; **ჯემალ ბერიძე** — ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **თამაზ გაბადაძე** — სილიკატების ტექნოლოგიის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ლია დოღონაძე** — ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის დოცენტი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი; **ლიანა ვარაზაშვილი** — ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის გამგე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი; **დავით თავხელიძე** — მექანიზმებისა და მანქანათა თეორიის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **გიორგი თურქია** — მენეჯმენტის უმაღლესი სკოლის დეკანი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; **გიორგი იოსებაშვილი** — მენეჯმენტისა და კომერციული საქმიანობის ცენტრის უფროსი, დოცენტი; **კონსტანტინე კამკამიძე** — გამოთვლითი ტექნიკის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **მალხაზ ლომთაძე** — ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი; **ენვერ მოისწრაფიშვილი** — სატრანსპორტო ფაკულტეტის რკინიგზების მშენებლობისა და სალიანდაგო მეურნეობის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; **ვაჟა პაპასკირი** — ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი, დოცენტი; **ლუდვიგ ჩაჩხიანი** — ფიზიკის დეპარტამენტის უფროსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ალექსანდრა ჩიკოიძე** — ფიზიკის დეპარტამენტის უფროსი მასწავლებელი; **ზურაბ წვერაიძე** — ინფორმატიკის საფუძვლებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის დოცენტი; **თენგიზ წიწიშვაძე** — ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

**ე. შევარდნაძე.**

---

**სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის მადლობა გამოეცხადათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებს:**

**ვახტანგ გაბრიჩიძეს** — ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს; **ალფრედ გაგნიძეს** — მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს: **დავით დევდარიანს** — იურიდიული სამსახურის უფროსს; **მამუკა კაციტაძეს** — სოციალურ საკითხთა, კულტურისა და სპორტის განყოფილების გამგეს; **ლევან კლიმიაშვილს** — სასწავლო-მეთოდური სამმართველოს უფროსის მოადგილეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს; **გივი კოხრეიძეს** — ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს; **გივი მახარაძეს** — სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, დოცენტს; **კუკური ნაცვლიშვილს** — მაგისტრატურის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, დოცენტს; **ელიკო ოხანაშვილს** — საერთო განყოფილების გამგეს: **ეთერ ქღენტს** — მუდმივმოქმედი გამოფენა-მუზეუმის გამგეს: **ალეკო რობიტაშვილს** — კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს; **გელა ყიფიანს** — სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს სწავლულ მდივანს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს: **დავით შარაშიძეს** — სამხედრო-სამობილიზაციო განყოფილების უფროსს; **ზაურ ხუბულურს** — სასწავლო-მეთოდური სამმართველოს უფროსის მოადგილეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს; **ნოდარ ჯიქიას** — სამხედრო კათედრის უფროს მასწავლებელს, მაიორს.

**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს რესპუბლიკა
№109. პარასკევი, 8 მაისი, 1998 წელი.

# ჰიდრომშენებლობის პერ

ფაკ

## საქართველოში ენერგეტიკის ერთ-ერთი პრ

**მოსახლეობის უზრუნველყოფა ნორმალური არსებობისათვის სამი აუცილებლობით არის განპირობებული — ელექტროენერგიით, წყლითა და სითბოთი. ამაზე სერიოზული, ეკონომიკური, სოციალური და თუნდაც, პოლიტიკური პრობლემა დღევანდელ საქართველოში თითქმის არ მოიძებნება. ქვეყნის განვითარების გზა ამ პრობლემების გადაჭრისაკენ არის მიმართული, რქნობა — ჰიდროსა რსდამთავრებულთა ბი მომავალში პრო**

### პრობლემა

ენერგიის ეკონომიური ხარჯვა და ექსპლუატაციაში მყოფი სადგურების ოპტიმალური დისპეტჩერული გრაფიკების დამუშავება საქართველოს ენერგეტიკულ პრობლემებს ვერ გადაჭრის, რაც ნათლად ჩანს შემდგომი მონაცემებიდან: მსოფლიოში დღეისათვის ექსპლუატაციაში მყოფი ელსადგურების საერთო სიმძლავრე 10,5 მილიარდი კილოვატია – დედამიწის თითოეულ მოსახლეზე საშუალოდ 2 კვტ-ზე მეტი მოდის. განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი საშუალოზე 3-ჯერ მეტია, ხოლო საქართველოში 3-ჯერ ნაკლები. ექსპერტთა აზრით, ორიათასოცდაათი წლისათვის ელსადგურების საერთო სიმძლავრე მსოფლიოში 30 მილიარდ კილოვატს მიაღწევს, ე. ი. დღევანდელ დონეს 3-ჯერ გადაამეტებს. ასე რომ, აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგოსისტემის დეფიციტის დასაძლევად საჭიროა დღის წესრიგში სასწრაფოდ დადგეს ეკონომიკურად და ეკოლოგიურად ღრმად დასაბუთებული ახალი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის საკითხი.

საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის პოტენციური ენერგია 159,4 მლრდ. კვტ. სთ-ს შეადგენს, ხოლო ტექნიკური პოტენციალი (მცირე მდინარეთა გათვალისწინების გარეშე) 81 მლრდ. კვტ. სთ-ია. საქართველოში ექსპლუატაციაში მყოფი ჰესების საერთო საპროექტო გამომუშავება 10 მლრდ. კვტ. სთ-ია, ფაქტობრივი გამომუშავება კი 1988 წლისათვის 7,8 მლრდ. კვტ. სთ. იყო, 1994 წ. – 4,9, ხოლო 1997 წ. – 4,5 მლრდ. კვტ. საათი, და მაინც, იგი რესპუბლიკის ელექტროენერგიის საერთო გამომუშავების 85-90 პროცენტს შეადგენს.

შემტბორი ჰიდროტექნიკური ნაგებობების გავლენა ბუნებაზე აშკარაა, რაც სათანადო სახელმძღვანელოთა შესავალშივე არის აღნიშნული, მაგრამ მუქ ფერებში გადმოცემულმა ყოველივე ამან, საკითხში გაუთვითცნობიერებელი ბევრი მოქალაქე უარყოფითად განაწყო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიმართ. არა მგონია, პიროვნება იცნობდეს ექსპერტთა დასკვნებს მსოფლიოს დიდი წყალსაცავების ადგილობრივ კლიმატზე გავლენის შესახებ და ასე ხელაღებით, თუნდაც ერთწლიანი კვლევის გარეშე, ამტკიცებდეს, რომ ენგურას წყალსაცავი გამანადგურებელ გავლენას ახდენს როგორც მესტიის, აგრეთვე, მთელ დასავლეთ საქართველოს კლიმატურ პირობებზე.

დღეს საქართველოში ენერგეტიკის, როგორც პრიორიტეტული საბაზრო დარგის განვითარებისათვის, შემუშავებული და პარლამენტის მიერ დამტკიცებულია „საქართველოს რესპუბლიკის კანონი ენერგეტიკის შესახებ". კვლავ აქტუალურია ახალი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის დაფინანსების წყაროების გამოძებნის საკითხი.

ქართულ ჰიდროტექნიკურ სკოლას ყოველთვის ჰქონდა და ვფიქრობ, ჯერ კიდევ არ დაუკარგავს მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი. ჩვენი სპეციალისტები წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის ჰიდროტექნიკურ მშენებლობებში და ზოგიერთი მათგანი დიდი დამსახურებისათვის მრავალი ქვეყნის საპატიო მოქალაქეებად იყვნენ არჩეულნი. კარგ ტრადიციებს კარგი გაგრძელება სჭირდება. ასე, რომ ახლა, სიტყვა დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ძლიერებისათვის ჩვენს ახალგაზრდობას ეკუთვნის.

## ჰიდროტექნიკას დღეს საქართველოში ალტერნატივა არ გააჩნია

ჰიდროტექნიკური ნაგებობების კათედრა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ერთ-ერთი უძველესი კათედრაა, რომელიც 1932 წელს შეიქმნა და იმთავითვე დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა. კათედრის თანამშრომლები ახალგაზრდა კადრების მომზადებასაც ემსახურებოდნენ და იმავდროულად იყვნენ ინიციატორები და უშუალო შემსრულებლები იმ ჰიდროკვანძების მშენებლობისა, რომლებიც საქართველოში განხორციელდა და რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

დროის პრობლემებთან ერთად იცვლებოდა კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა კვლევის ობიექტები და იხვეწებოდა კვლევის მეთოდები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თვალსაზრისით ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებს შორის ჰიდროტექნიკური ნაგებობების კათედრას წამყვანი პოზიცია ეკავა და იგი დღესაც სამეცნიერო ხარისხის მქონე თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული, რომელთა ორმოცდაათ პროცენტზე მეტი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია.

პროფესორ-მასწავლებელთა თითქმის მთელი შემადგენლობა, მოწინავე სტუდენტებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის ისეთი ჰიდროტექნიკური ნაგებობების სიმტკიცის, მდგრადობის, სეისმომედეგობისა და ფილტრაციული გაანგარიშებების საკითხების დამუშავებაში, როგორიცაა ენგური, ხუდონი, ბირკიანი, ლაკბე, მინაძე, ნამოხვანი, ჟინვალი, შაორი ქინვარი, ვარციხე ჰესების კასკადი. მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ფოთის პორტის რეკონსტრუქციის ექსპერტულ შეფასებებში.

ჰიდროტექნიკური ნაგებობების კათედრაზე პირველად საქართველოში, ოთხმოციან წლებში სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროში მცირე ჰესების აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტების დამუშავება დაიწყო. კერძოდ, დამუშავდა „დურიფში", „აჭარა", „დმანისი" და „კახარეთი" ჰესების პროექტები. მცირე ჰესების განყოფილება თბილჰიდროპროექტში შედარებით მოგვიანებით გაიხსნა.

ჰიდროტექნიკური ნაგებობების კათედრა ამჟამად ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსებს სამი სპეციალობით ამზადებს: 1. ჰიდროტექნიკური მშენებლობა (ქართული და ინგლისური სექტორი), 2. ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის მენეჯმენტი. 3. საზღვაო ნაგებობებისა და ნავსადგურების მშენებლობა.

საქმეში გაუთვითცნობიერებელი პიროვნებისთვისაც ადვილი მისახვედრია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება ამ საბაზრო დარგების განვითარებით უნდა დაიწყოს.

მეცნიერთა აზრით, XXI საუკუნის ენერგეტიკაში წამყვანი როლი მაინც ელექტროენერგიის მიღების გაუმჯობესებულ ტრადიციულ მეთოდებს დაეკისრება. მართლაც, ყოველგვარი დასაბუთებული არგუმენტაციის მიუხედავად, კაცობრიობა შიშით ეკიდება ატომურ ენერგეტიკას.

ეკოლოგიურად სახიფათოა თბოელსადგურებიც, თანაც მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება საწვავის ფასების ზრდასთან ერთად კატასტროფულად მატულობს და სადღეისოდ იგი ჰესების საშუალებით მიღებულ ელექტროენერგიასთან შედარებით 10-ჯერ მეტია. ჰიდროტექნიკური რესურსებით საქართველო ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა. დღეს კი ამ ბუნებრივი სიმდიდრის მხოლოდ ათი-თორმეტი პროცენტია ათვისებული, ხოლო ბევრმა მოწინავე ქვეყანამ ამ მხრივ დიდი ხანია ამოწურა თავისი შესაძლებლობანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჰიდროენერგეტიკას დღეისათვის საქართველოში ალტერნატივა არ გააჩნია.

**პერსპექტიული მშენებლობის გეგმა მდინარე ენგურზე**




### დავძლ

## საჭიროა სპეციალისტებ და არა დილეტანტები

**აბიტურიენტებო და მშობლებო! გააკეთეთ სწორი არჩევანი. უენერგეტიკოდ ვერ განვითარდება სახალხო მეურნეობის ვერც ერთი დარგი! ჩვენს მიერ მომზადებული სპეციალისტები უზრუნველყოფილი იქნებიან მაღალი ანაზღაურების სამუშაო ადგილებით. ზოგი მათგანი უკვე მუშაობს საქართველოს ჰიდროენერგეტიკული ობიექტების რეაბილიტაციის საერთაშორისო პროექტებში. „ჰიდროელექტროსადგურებისა" და „ჰიდროენერგეტიკული მოწყობილობის" სპეციალისტებზე არის და ყოველთვის იქნება დიდი მოთხოვნილება.**

დღეს საქართველო მწვავე ენერგეტიკულ კრიზისს განიცდის. ამ კრიზისის დაძლევის ერთადერთი საშუალებაა ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეების ამოქმედება და არსებულის გაზრდა მათი ენერგეტიკული მოწყობილობის მოდერნიზაციით.

დღეს ძირითადი ყურადღება არსებული ჰიდროელექტროსადგურების გრძელვადიანი რეაბილიტაციის (ა გენის) პროგრამას ეთმობა, რომ უკვე ამორტიზებული ჰიდროენ ტიკული მოწყობილობის ახლით ცვლას ითვალისწინებს.

აღნიშნული რეაბილიტაციის პ გრამაში მონაწილეობენ მსოფლ წამყვანი საფინანსო ორგანიზაც – მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქ სა და განვითარების ევროპულ ნკი (EBRD), გერმანიის რეკონს ქციის საკრედიტო ბანკი (KFW), პონიის საზღვარგარეთთან ეკონომ რი თანამშრომლობის ფონდი (OE და სხვანი. ისინი ჰიდროენერგეტი ობიექტების სარეაბილიტაციო პრ ქტებს აფინანსებენ, მათ შორის „რ ესი", „ხრამი II", „ლაჯანურჰესი" განხორციელების პროცესშია. პრ ტიკულად ენგურჰესის რეაბილიტ საკითხიც გადაწყვეტილია, გარდა სა, გათვალისწინებულია მსხვილ გიონული ენერგეტიკული პროექტ განხორციელება, მათ შორის 500

**წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა უაღრესად რსპექტიული დარგია. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი ჰონკ სასმელ წყალს სპეციალური მილსადენით ჩინეთიდან ღებულობს. განვ თრებით გვალვიან პერიოდში კი წყალს დამატებით აწვდიან ტანკერ თუ მსგავს ფაქტებს გავითვალისწინებთ, კარგი მტკნარი წყალი შეიძ ექსპორტის საგნადაც იქცეს. მით უმეტეს, რომ საქართველოს აქვს ჰიდ რესურსების საკმაოდ დიდი მარაგი და ეს საკითხი შეიძლება სულ დღის წესრიგშიც დადგეს, რაც, უპირველესად, ჩვენი, წყალმომარაგ და წყალარინების, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დ მომავალი საინჟინრო კადრების საქმეა!**

**კაცობრიობის მთელი ძალისხმევაა საჭირო წყლის ეფექტიანი განაწილ წყლის ახალი რესურსების ძიებისა და წყალსატევების გაჭუჭყიანებას ბრძოლისათვის, რადგან უწყლოდ სიცოცხლე შეუძლებელია!**

## წყალი - ექსპორტი საგანი...

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საინჟინრო კადრების მომზადება მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო, წყალმომარაგებისა და წყალარინების პრობლემური საკითხი სათავეს ჩვენს შორეულ წარსულში იღებს. ჩვენამდე მოღწეულია „სხალტბა-შიომღვიმის" წყალსადენი, რომელიც დაახლოებით 1199-1202 წლებში გაუყვანიათ თამარ მეფის მწიგნობართუხუცეს ანტონ ჭყონდიდელის თაოსნობით. ორკილომეტრიან წყალსადენს ტრასის გარკვეულ მანძილზე დატანებული ჰქონია საკონტროლო სპეციალური ჭურჭლები – თანგირები; მილებში წყლის მოძრაობა თვითდენადია.

წარმოების განვითარება, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და კულტურის დონის ამაღლება ჲღითიდღე ზრდის მოთხოვნილებას მტკნარ წყალზე. წყალმომარაგების მიზნებისათვის ტექნიკურად და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ზედაპირული წყლების მარაგი წელიწადში – 15-20 ათასი კმ$^3$, ხოლო მიწისქვეშა წყლებისა – 10-12 ათასი კმ$^3$-ს შეადგენს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2040 წლისათვის საბოლოო ანგარიშით წყლის მოხმარება 30 ათას კმ$^3$-ს მიაღწევს წელიწადში, რაც იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობა 2040 წლისათვის შეიძლება წყლის „კატასტროფის" წინაშე აღმოჩნდეს.

წყლის მარაგის აბსოლუტურ გამოლევასთან ერთად, წყლის ხელო-



ვნური დაბინძურების შედეგად ფარდობითი გამოლევაც ხდება, მდინარეებსა და წყალსატევებში მიკატების, ტოქსიკური ნივთიერ ბისა და სხვა მავნე მინარევებ მცველი სამრეწველო თუ საყოფ ვრებო ჩამდინარე წყლებითა დ ვთობპროდუქტებით არის გამოწვ ასეთ შემთხვევაში წყალი უვარ ხდება არა მარტო სასმელად, არ

# ...პექტივა საქართველოში

...ეტი

## ...რიტეტული მიმართულებაა ჰიდროტექნიკა

...რესი აშკარად იგ-
...ო სპეციალობის კუ-
... სამუშაო ადგილე-
...ად არ იქცევა, მა-
გრამ უპირველესი ამოცანა და უმთავრესი მოთხოვნა მათი პროფესიონალიზმის ამაღლებაა.

ამისათვის თავდაუზოგავად უნდა იშრომონ იმათ, ვინც ასწავლის და იმათაც, ვინც სწავლობს.

მომავალი მკაცრია, მაგრამ საინტერესო. ჩვენ მას მომზადებული უნდა შევხვდეთ!

### ...ენერგეტიკული კრიზისი



სპეციალობა „ჰიდროელექტროსადგურების ტურბინები“ წელს „ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროენერგეტიული მოწყობილობის“ სპეციალობად გადაკეთდა, რომელიც უფრო ფართო პროფილისაა. შეიცვალა სასწავლო გეგმები, რომლებიც შეესაბამება სხვა ქვეყნების ანალოგიური სპეციალობების სასწავლო გეგმებს, ეს კი საშუალებას მისცემს ჩვენს კურსდამთავრებულ ბაკალავრებს (თუ ისინი მოისურვებენ) უპრობლემოდ გააგრძელონ სწავლა ჩვენთან, ან სხვა ქვეყნების მაგისტრატურაში.

ჩვენს მიერ მომზადებულ კადრებს შეუძლიათ იმუშაონ როგორც ძირითადი ჰიდროენერგეტიკული მოწყობილობის (ჰიდროტურბინები), ასევე დამხმარე ჰიდროენერგეტიკული დანადგარების მონტაჟზე, ექსპლუატაციაზე, რემონტზე, ჰიდრომექანიკური მოწყობილობის სარემონტო ქარხნებში და მათ საკონსტრუქტორო ბიუროებში, ფირმებში, რომლებიც აპროექტებენ და ამზადებენ ჰიდროტურბინებს და მათ დამხმარე მოწყობილობებს, ნავთობსადენების სატუმბო სადგურების დაპროექტებაზე, მონტაჟზე და ექსპლუატაციაზე.

„ჰიდრომანქანების“ კათედრას, უშუალოდ, საქართველოს სათბობენერგეტიკის სამინისტრო და სახელმწიფო კომპანია „ენერგოგენერაცია“ კურირებს, მათი ხელშეწყობით და ფინანსური დახმარებით ჩვენი სტუდენტები სასწავლო, საწარმოო და წინასადიპლომო პრაქტიკებს, როგორც საქართველოს ჰიდროენერგეტიკულ ობიექტებზე, ასევე ხარკოვის ქარხანა „ტურბოატომში“ და პეტერბურგის ქარხანა „ЛМЗ“-ში გადიან. მათივე დაფინანსებით კათედრის მიერ გამოშვებული წარჩინებული ბაკალავრები მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის პეტერბურგის ქარხანა „ЛМЗ“-თან არსებული უმაღლესი სასწავლებლის, გერმანიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების მაგისტრატურებში გაემგზავრნენ უფასოდ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტის „ჰიდრომანქანების“ კათედრა სასწავლებლად იწვევს ნიჭიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდებს და პირდება მათ სრულ ხელშეწყობას არჩეული პერსპექტიული სპეციალობის დაუფლებაში.

...ნ ელექტროგადამცემი ხაზის მშე-
...ლობა, რასაც „ხუდონჰესის“ მშე-
...ლობის დამთავრება მოჰყვება.
...ერგეტიკისათვის ჰიდროენერგე-
... მთავარი სტრატეგიული მიმარ-
...ებაა, ამიტომაც შესაბამისი პრო-
...ის სპეციალისტების მომზადებაა
...რო. დღეს კი სწორედ ასეთი პრო-
...ის სპეციალისტებს ამზადებს სა-
...თველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
...დროსაინჟინრო ფაკულტეტის „ჰი-
...რომანქანების“ კათედრა, რომელიც
...ალიფიციური პროფესორ-მასწავლე-
...ებით არის დაკომპლექტებული.

...მეურნეო მიზნებისათვისაც. 1 კუ-
...ბი მეტრი გაუწმენდავი ჩანადე-
...წყალი დაახლოებით 50-60 კუბურ
...ტრ ბუნებრივ წყალს აჭუჭყიანებს.
...არგისი წყლის გამოყენების შედე-
...დ ჩნდება ისეთი დაავადებები, რო-
...რიცაა: დიზენტერია, მუცლის ტი-
..., ხოლერა და სხვა.

...მიუხედავად იმისა; რომ საქართ-
...ლოს დიდი ჰიდრორესურსების მა-
...რაგი აქვს, წლების განმავლობაში
...ფთა წყლის არაეკონომიურმა და
...არასწორმა მოხმარებამ საქართვე-
...ლოს მტკნარი წყლის მარაგი სა-
...კმაოდ შეამცირა.

...ტექნიკურ უნივერსიტეტში წყა-
...ლმომარაგებისა და წყალარინე-
...ბის, წყლის რესურსების რაციო-
...ნალური გამოყენებისა და დაცვის
...კათედრაზე არსებულ სპეციალურ
...ლაბორატორიებში დაბინძურებული
...და ჩამდინარე წყლების ეფექტი-
...ანი გაწმენდისა და ეკონომიკუ-
...რი მოხმარების მეთოდიკის გან-
...ხილვა-შესწავლა მიმდინარეობს.
...ხდება ასევე პრაქტიკაში დანერგვა.
...ბოლო წლებში, საკმაოდ პრობლე-
...რ საკითხად იქცა სამრეწველო ობი-
...ექტები და ჩამდინარე წყლების გა-
...უწმენდავად ჩაშვება წყალსატევებში:
...პრობლემის გადაწყვეტაში დიდად
...დახმარებოდა ნახმარი წყლის მრა-
...ვალჯერადი გამოყენების მეთოდი
...ნახმარი წყალი შეიძლება გამოყე-
...ნებულ იქნას იმავე ან მსგავს საწა-
...რმოში, მსგავს ტექნოლოგიურ პრო-
...ცესში ან სხვა ისეთ ოპერაციებში, რო-
...მლებიც წყალს ნაკლებ მოთხოვნას
...უყენებენ). როგორც ლაბორატორიუ-
...ლმა გამოკვლევებმა ცხადყო, ასეთი
...მეთოდის გამოყენებით შეიძლება სა-
...წარმოს მთლიანი წყალმომარაგება
...-15 პროცენტით შევამციროთ.

...წყლის პრობლემის მეტად მნიშვ-
...ნელოვანი ნაწილია წყალსატევების
...დაბინძურების თავიდან აცილება. ამ
...პრობლემური საკითხის გადაწყვე-
...ტისათვის, როგორც აღინიშნა, კათე-
...დრაზე სერიოზული სამეცნიერო კვ-
...ლევითი სამუშაოები მიმდინარეობს.

## აღვადგინოთ გაზმომარაგება — შენობათა მიკროკლიმატი

ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტზე ამ სპეციალობის ინჟინრების მომზადებას შენობათა მიკროკლიმატისა და გაზმომარაგების კათედრა უძღვება, სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მოღვაწეობენ, მათ შორის 4 პროფესორი და 6 დოცენტია. ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ ახალგაზრდებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ მაგისტრატურაში, ხოლო სწავლაში გამორჩეულ სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ სტაჟირება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გაიარონ.

საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად, ქვეყანა გათბობის გარეშე დარჩა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მაღლივი და მრავალბინიანი შენობები, რომლებიც თბურ ენერგიას ცენტრალიზებული თბომომარაგების სისტემებიდან იღებდნენ. საბჭოურ პერიოდში ფართოდ გავრცელებულმა რაიონულმა სისტემებმა, რომლებიც ენერგომფლანგველობის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდნენ, სრული კრახი განიცადეს და მათ ადგილს, თანდათანობით, თანამედროვე მაღალეფექტიანი დასავლეთევროპული ყაიდის ავტონომიური გათბობის სისტემები იკავებს. საქართველოში გაჩნდნენ კერძო საწარმოები, რომლებმაც დაამყარეს კონტაქტები უცხოეთის ფირმებთან და წარმატებით ახორციელებენ ამ სისტემების დანერგვას. რიგითი ინჟინრის გამომუშავება ამ ფირმებში 400-500 ლარს აღწევს. თბილისსა და სხვა ქალაქებში უკვე განხორციელდა 300-ზე მეტი სახლის გათბობა. გათბობას ელოდება, მარტო თბილისში, 6000 და მთლიანად საქართველოში ნახევარ მილიონზე მეტი სახლი. ასე რომ, სამუშაო ფრონტი უსაზღვროა.

ანალოგიური სიტუაციაა ვენტილაციისა და ჰაერის კონდიცირების სფეროშიც. მართალია, ეს პრობლემა ჯერჯერობით ისე მწვავედ არ დგას, როგორც გათბობისა, მაგრამ ეკონომიკის გაჯანსაღების პირობებში, რაც არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, შეუქცევადია, განვითარდება მრეწველობა, ხოლო წარმოების ამუშავება ვენტილაციისა და ჰაერის კონდიცირების გარეშე წარმოუდგენელია.

ბუნებრივი გაზი ორგანულ სათბობებს შორის ყველაზე იაფი და ეკოლოგიურად სუფთა საწვავია. მისი გამოყენების ძირითადი შემაფერხებელი მიზეზია ქსელების მოწყობისათვის საჭირო დიდი კაპიტალური დანახარჯები. ამ მხრივ საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა — მას მაგისტრალური გაზსადენებისა და შიგა სისტემების საკმაოდ განვითარებული ქსელი შემორჩა, რითაც ბევრი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის. ამასთან, საქართველო გარშემორტყმულია ბუნებრივი გაზით მდიდარი ქვეყნებით. სერიოზული კაპიტალდაბანდების გარეშე გაზის მიღება შეიძლება აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, ირანიდან, თურქმენეთიდან. მწვავე ენერგოკრიზისის პირობებში ასეთი შესაძლებლობის გამოუყენებლობა, რბილად რომ ვთქვათ, ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა. მართალია, გაზსადენები ხანგრძლივი უმოქმედობის შედეგად საგრძნობლად დაზიანებულია, მაგრამ ახალი სისტემების მოწყობის ხარჯებთან შედარებით მათი აღდგენისათვის საჭირო ხარჯები ბევრად ნაკლებია. ამიტომაც გაზმომარაგების აღდგენა ქვეყნის ეკონომიკაში ამჟამად პრიორიტეტულადაა მიჩნეული და უკვე დაიწყო კიდეც აღდგენითი სამუშაოები. თანდათანობით მწყობრში დგება გაზმომარაგების ცალკეული უბნები თბილისში და სხვა ქალაქებში. შესაბამისად იზრდება მოთხოვნილება გაზმომარაგების სპეციალისტებზე. გასულ წელს კურსდამთავრებულთა ნაწილმა მუშაობა „თბილგაზის“ სისტემაში დაიწყო. ეს ტენდენცია სამუშაოების გაფართოებასთან ერთად კიდევ უფრო გაიზრდება.

მომავალი

## ექვსი სპეციალობის ინჟინერს ამზადებს

აუცილებელია განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც ადამიანის ჩარევით გამოწვეული პროცესების გავლენას გარემოზე მკვეთრად შეამცირებს. თითოეული ასაშენებელი ობიექტი განხილულ უნდა იქნას ეფექტიანი ეკონომიკური და ეკოლოგიური ჭრილით. ობიექტურად უნდა იქნას წარმოჩენილი ეკოლოგიური ცვლილებები და დადებითი მხარეები, რომელიც დაკავშირებულია ჰიდროენერგეტიკულ მშენებლობასთან, რათა მოიხსნას ეჭვები მათი სარგებლიანობის შესახებ.

დღევანდელობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ საქართველოს განვითარება ჰიდროენერგეტიკული და ჰიდრომელიორაციული კუთხით ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. განსაკუთრებით ეფექტიანია ჰიდრორესურსების გამოყენება საქართველოში (ჰიდროენერგორესურსების 80 პროცენტზე მეტი ასათვისებელია, რადგან იგი აღდგენადია და დროთა განმავლობაში თავის პოტენციალს პრაქტიკულად არ კარგავს. მის განვითარებას, აგრეთვე, დიდი სოციალური მნიშვნელობაც აქვს, რადგან ამას რესპუბლიკის ჰიდროტექნიკოსთა დიდი არმიის დასაქმება მოჰყვება შედეგად. ისიც ცხადია, რომ ჰიდროტექნიკა ინვესტორებისა და დამფინანსებლებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან სფეროს წარმოადგენს როგორც ეკონომიურად, ასევე კაპიტალდაბანდებათა შედარებით მცირე დროში ანაზღაურების თვალსაზრისით. ამ დარგის განვითარებით საქართველოს რეგიონები ტყეების საგრძნობი ნაწილის განადგურებას გადაურჩება. მოსახლეობა მიიღებს ელექტროენერგიას, ქვეყანაში სრული სიმძლავრით ამუშავდება წარმოება-დაწესებულებები, გაიზრდება ეკონომიკური ეფექტიანობა, რაც საგრძნობლად აამაღლებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს.




საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტი ექვსი სპეციალობის ინჟინერს ამზადებს — სამდინარო ნაგებობების ჰიდროტექნიკური მშენებლობა; ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა; საზღვაო ნაგებობებისა და ნავსადგურების მშენებლობა; ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროენერგეტიკული მოწყობილობა; წყალმომარაგება, წყალარინება, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა; შენობების მიკროკლიმატი და გაზმომარაგება.

ჰიდროსაინჟინრო დარგში დღეს მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა მაღალი სამეცნიერო პოტენციალისა და საინჟინრო კვალიფიკაციის მქონე თერამეტი მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ორმოცზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი და უფროსი მასწავლებელი. ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებლობამ, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ და სხვა დადებითმა ძვრებმა თვისობრივად ახალი, პროგრესული ცვლილებები შეიტანა საინჟინრო კადრების მომზადების საქმეში. ტექნიკურ უნივერსიტეტში და შესაბამისად ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტზე სპეციალისტების ორსაფეხურიანი მომზადება დაინერგა — ოთხი წლის თეორიული სწავლება და სადიპლომო გეგმარის დაცვა, რაც კურსდამთავრებულებს ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციასა და ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს მეორე საფეხურზე, მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ, სწავლას აგრძელებენ წარჩინებით კურსდამთავრებულები და სამეცნიერო საბჭოს მიერ რეკომენდებული პერსპექტიული სპეციალისტები. ამ კონტინგენტისათვის მაპროფილებელი კადრების მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და პროგრამებია შედგენილი. როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებით და მაპროფილებელ დისციპლინებში.

ამჟამად ფაკულტეტის კონტინგენტი სწავლის პირველ საფეხურზე 260 სტუდენტს შეადგენს, რომელთა უმრავლესობას მყარი საფუძველი აქვს, რათა მაღალ დონეზე დაეუფლოს ჰიდროსაინჟინრო სპეციალობებს. ბევრი მათგანი ფრიადოსანია, ხოლო საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს მინიჭებული აქვთ პრეზიდენტის სახელობის, სახელმწიფო და სახელობითი სტიპენდიები. თეორიული კურსის სწავლების პარალელურად სტუდენტთა გარკვეული ნაწილი თავიანთ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მუშაობენ სამეცნიერო-კვლევით საკითხებზე და მონაწილეობას ღებულობენ სტუდენტურ კონფერენციებში. დამუშავებულ ნაშრომებს შორის ბევრ მათგანს სხვადასხვა ხარისხის დიპლომი და პრემიები მიენიჭათ.

წელს, პირველად, 6 მაგისტრანტი წარსდგება სახელმწიფო საგამოცდო კომისიაზე თავიანთი საკვალიფიკაციო ნაშრომის დასაცავად. ტენდენცია მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებისა ყოველწლიურად იზრდება, რაც საინჟინრო სპეციალობებისათვის პროფესიონალების ღირსეული ცვლის მომზადებას ნიშნავს.

**გვერდის ავტორია ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო.**

საქართველოს რესპუბლიკა
№109. პარასკევი, 8 მაისი, 1998 წელი.

ელიტა — ფლორა — დიზაინი

# ...და მათ სიკვდილი არ უწერიათ

**სოლოლაკში, ძველ გალერეაში, სულ ცოტა ხნის წინათ, საუცხოო გამოფენა მოეწყო — მცენარეების გამრობა-დაფიქსირება, ესთეტიკურად გამართული, ჰარმონიული, მხატვრული კომპოზიციების შექმნა, მცენარეებისათვის სიცოცხლის გახანგრძლივება ხელოვნებაში. ამ ექსპონატებმა მნახველებს ენით გამოუთქმელი სიამოვნება მიანიჭა. რაოდენ მშვენიერი სულისა უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ასეთ ექსპონატებს ქმნის და დრომოჭმულ მცენარეთა სამყაროს ახალი სიცოცხლით ავსებს.**

*ლალი ღოღელიანთან საუბარში მისი ოჯახური გარემო დამეხმარა. აქ ყველაფერს ხელოვნების ელფერი ადევს — ქალბატონო ლალი, თქვენ პროფესიით ჰიდროტექნიკოსი ბრძანდებით, ამავე დროს ასეთი ჩინებული ექსპონატების ავტორიც. როდის და რატომ გაგიჩნდათ ყვავილთა და სხვა მცენარეთა დაფიქსირების სურვილი. აქვს თუ არა ამას საერთო თქვენს ძირითად პროფესიასთან ინჟინრული თუ*



*სხვა პრინციპების თვალსაზრისით, და საერთოდ, რას ნიშნავს ქალისათვის შემოქმედება?*

— მე ასე ვფიქრობ, რომ თავად ხელოვნება ძიებისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვის პროცესია. ქალი კი მთელი თავისი არსებით სწორედ აქეთკენ ილტვის და, აქედან გამომდინარე, შემოქმედება ქალისათვის მეტად ბუნებრივ პროცესად მიმაჩნია. როდესაც შემოქმედებაზე ელაპარაკობ, არ ვგულისხმობ მხოლოდ ხელოვნებას, იგი მეცნიერებასაც ეხება, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ... რაც შეეხება იმას, თუ საიდან დაიწყო ჩემი სწრაფვა ხელოვნებისაკენ.

— ეგვიპტეში ალექსანდრიის მუზეუმში მუმიას ორი ათასი წლის წინანდელი გამშრალი ლილია ადევს გულზე... ადამიანები უხსოვარი დროიდან აკეთებდნენ ამას, მე კი, თუნდაც 7-8 წლის უკან არავითარი საფუძველი არ მქონია, რომ როდესმე „ფიტოდიზაინი" გამიტაცებდა, რომ არა ერთი მიზეზი — მოულოდნელად გარდაცვლილი ჩემი დის დაკრეფილი უკანასკნელი თაიგული შემოგვრჩა ოჯახში, ძალიან მინ-



დოდა, მისი პატარა რომ გაიზრდებოდა, დედის ხელშენავლები ყვავილების საშუალებით მშობლის ბიოენერგეტიკული მუხტი გადასცემოდა, მაგრამ თაიგული მალე დაჭკნა და მტვრად იქცა... აი, მაშინ დავიწყე ფიქრი, თუ რატომ არ უნდა იყოს შესაძლებელი, ყვავილის, როგორც სამახსოვრო ნიშნის, დაფიქსირება და შენახვა. ოთხი წელიწადი გერმანიაში ვიცხოვრე. მოგეხსენებათ, ევროპის კულტურა თავისებურად მაინც განსხვავდება ჩვენისაგან, იქ ტრადიციულიცაა ყვავილების გაშრობა-დაფიქსირება, მისი სამახსოვრო ნიშნად ან რაღაც სიმბოლოდ ქცევა და შენახვა. დავინტერესდი და დავიწყე იმ მეთოდის შესწავლა, რომლითაც გერმანელები ამას ახერხებენ. კონსტრუქციული, ინჟინრული მომენტებიც არის ამ ექსპონატების შექმნაში და ამას ყველაფერს, რა თქმა უნდა, ჩემს პროფესიასთანაც აქვს საერთო.

*— ჩემი ცხოვრებიდან ერთი წუთიც ვერ წარმომიდგენია ისეთი, რომ არ მიყვარდეს, ან არ მომწონდეს ვინმე, ან რამე. სიყვარული ყოვლისმომცველია, ამბობთ, გეთანხმებით, ქალბატონო ლალი, ბუნებრივია, ამაში თქვენი ხელოვნებაც გეხმარებათ, იცით, ამ ექსპონატებს, საინტერესო კომპოზიციების სახით რომ ქმნით, გარკვეული ასპარეზი ელოდება, სადაც უამრავი თაყვანისმცემელი მოიყრის თავს, რათა ამ სიამოვნებას ეზიაროს, გამოდის, რომ ამ ექსპონატების შექმნას სიყვარული თავიდანვე უდევს საფუძვლად?*

— მართლაც ასეა. ძალიან ძნელია ცხოვრებაში ყველაფერი ისე გააკეთო, როგორც სხვებს ესიამოვნებათ. ამის ბედნიერება კი სწორედ ამ შემოქმედებამ მომცა, დამეხმარა იმის შექმნაში, რაც სხვებს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას და სიხარულს მიანიჭებს. ჩემმა გამოფენამ დამთვალიერებლების დიდი ინტერესი დამანახა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ გავეოცდი. — ნუთუ, შემიძლია ისეთი რაიმეს გაკეთება, რაც ვინმეს ასეთ ბედნიერებას მოუტანს? ეს ფაქტორი გადამწყვეტი ყოფილა და ალბათ, ამიტომაც ბევრი ისწრაფვის ხელოვნებისაკენ.

*— ქალბატონო ლალი, ცხადია, საკმაო დრო მიაქვს ექსპონატებზე მუშაობას, ოჯახი კი, თავისი მუქ-ჩრდილებითა და წინააღმდეგობებით, სიყვარულითა და პრობლემებით, მაინც ტვირთია. ოჯახის ქალი, ქალი — ჰიდროტექნიკოსი, ქალი — ხელოვანი, ერთმანეთთან როგორ ათავსებთ. გეხმარებიან?*

— იცით, ხშირად მსმენია ან წამიკითხავს, რომ შემოქმედს აუცილებლად მძიმე პირობები უნდა ჰქონდეს, რომ რაიმე შექმნას... რაგინდ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, მე ოჯახში იდეალური გარემო მაქვს. მეუღლე, შვილები, დედა, ყველანი მეხმარებიან ამ პროცესში. ამას გარდა, იშვიათ გამონაკლისზე ვეტყვით — ჩვენ საოცარი დუეტი ვართ მე და ჩემი მეგობარი ნანა გოგიბერიძე. ნანა მუსიკოსია, რითაც ძალიან მეხმარება. ჩემთვის ძნელია, რაღაც გამხმარ ტოტში მუსიკალური მელოდიები დავინახო, ნანა ამას ხედავს. მე შემიძლია გამხმარი ყვავილებისაგან არაჩვეულებრივად ჰარმონიული კომპოზიცია შევქმნა. მასალის შერჩევა და მისი მუსიკალური არსი ნანაზეა დამოკიდებული. ერთობლივ მუშაობაში ნანას, შექმნილი კომპოზიციის ჰანგები ესმის, მე კი ამას სულიერად ვხედავ. ამიტომაც ბევრი რამ გვაქვს საერთო.

*— თქვენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ჰიდროტექნიკური ფაკულტეტის დეკანი ბრძანდებით, ეს მეტად პრიორიტეტული დარგია დღევანდელ საქართველოში, რას გვეტყოდით თქვენი ფაკულტეტის შესახებ?*

— შეიძლება ბევრი ქალისათვის გასაკვირიც იყოს, რასაც ვიტყვი, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მე ერთნაირ სიამოვნებას მანიჭებს საოპერო ხელოვნება და მეცნიერება. ჩემთვის მეცნიერება შემოქმედებაა. ჩემი პროფესია კი შემოქმედების ერთ-ერთი სახეა. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა ისიც, რომ დღეს საქართველოში ჰიდროენერგოტექნიკური მშენებლობის აღორძინება დაიწყო, ამასთან, ჩვენს ტექნიკურ უნივერსიტეტში საინჟინრო კადრების მომზადების საქმეც აღორძინდა, თუმცა რთულად, მაგრამ მაინც უკეთესობისაკენ მიდის ყველაფერი. ჩვენი ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტი ძალიან სპეციფიკურია — თითქოს მხოლოდ ჰიდროტექნიკის მშენებლებს ზრდის, სინამდვილეში კი რაც კი წყალსა და საინჟინრო საქმესთან არის დაკავშირებული, ყველა სპეციალობის კადრებს ამზადებს. ცხოვრება, როგორც წყლისა და ელექტროენერგიის, ასევე, ამ სპეციალობების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ძალიან ვცდილობ, ყველაფერი ისე გავაკეთო, რომ ამ სპეციალობებზე ნიჭიერი ახალგაზრდები შემოვიდნენ.

*მინდა ისევ საოცარ ექსპონატებს დავუბრუნდე, თუ რასაც გრძნობს ლალი ღოღელიანი მათი შექმნის პროცესში, ეს ყველაფრისაგან გაქცევა და იმ სამყაროში შესვლაა, რასაც თავისუფლება ჰქვია და სადაც მხოლოდ სულიერი ძალები გამოძრავებენ.*

— ვუყურებ ჩვენს მიერ შექმნილ კომპოზიციებს, და იცით, მიკვირს, იმიტომ კი არა, რომ თითქოს რაღაც შედევრი შევქმენი, არა, უბრალოდ მიკვირს, რა ძალუძს მაკუთვნილებენ იმას, რასაც სხვამ ვერ გააკეთებ, ვერ მოისვენებ!

*— მესმის თქვენი, ქალბატონო ლალი, და მსურს, თქვენი შთაბეჭდილებების წიგნს კიდევ ერთი შთაბეჭდილება შევმატო — უკვე ფერგადასული, გამოხუნებული და დრომოჭმული სამყარო ახალი სიცოცხლითა და სილამაზით შემოსო — ნამდვილი ხელოვნებაა, ხელახალი დაბადებაა მარადიულობაში გარდასული. ეს ექსპონატები არასოდეს დაკარგავენ თავიანთ ხიბლს, და მათ სიკვდილი არ უწერიათ!*

**ანა ბოლქვაძე.**

მამული, ენა, სარწმუნოება

# სწორი, სალიტერატურო ქართულით წერა და მეტყველება ყველას მოვალეობაა

ახლახანს ქართული ენის დღე აღვნიშნეთ, ვიზეიმეთ იმ დიდი მოვლენის ოცი წლისთავი, როცა ჩვენმა ახალგაზრდობამ უჩვეულო თავგანწირვით დაიცვა ქართული ენის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და ღირსება. 1978 წლის ამბებმა დაგვანახა, რა შეუძლია ერთ მუშტად შეკრულს. მაგრამ ამ ზეიმმა ჩვენი ხასიათის ერთი უსიამო თავისებურებაც შეგვახსენა: მაინცა და მაინც ვიღაცა უნდა გვემუქრებოდეს, რომ ენის დასაცავად აღდგეს დიდი და პატარა.

ახლა ჩვენს ენას თითქოს არსაიდან ემუქრება ხელყოფის საშიშროება, მაგრამ ის მაინც არსებობს, ქართული სალიტერატურო ენის დღევანდელობაზე, მისი სიწმინდის დაცვის პრობლემებზე ბევრი ითქვა და დაიწერა. კვლავაც ბევრი ითქმება და დაიწერება. ეს ასეც უნდა იყოს. ამ წერილში კი პრობლემის მხოლოდ ერთ ასპექტზე გავამახვილებ ყურადღებას. ეს არის ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენამ, დამოუკიდებლობამ, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე მსოფლიოსათვის ნიშანდობლივი ინტეგრირების არეში მოქცევამ არაჩვეულებრივად გაზარდა უცხო ენების ცოდნის მნიშვნელობაცა და საჭიროებაც. ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა აქტიურად მიაშურა უცხოეთის საგანმანათლებლო კერებს, ეუფლება უცხო ენებს. იშვიათი აღარ არის შემთხვევა, როცა მათ ერთი კი არა, ორი და სამი უცხო ენა იციან. ამაში ცუდი, რა თქმა უნდა, არაფერია! პირიქით, მისასალმებელია, რადგან საჭიროა! ენით ადამიანი ხომ არა მარტო ურთიერთობს, არამედ მოსაუბრის აზროვნების წყობას, მანერას წვდება, ითავისებს. მაგრამ ამ მოვლენაში სამწუხარო ისაა, რომ რაც უფრო კარგად ეუფლებიან ჩვენი ახალგაზრდები უცხო ენებს, მით ცუდად იციან მშობლიური ენა. მათ არა მარტო წერითში, არამედ ზეპირმეტყველებაშიც აშკარად ეტყობათ ქართულისათვის უცხო შეუფერებელი სინტაქსი, მახვილი, ინტონაცია და ა. შ. და ეს განსაკუთრებით, სწორედ უცხოეთში სწავლამიღებულ ახალგაზრდებზე ითქმის.

კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ მათ ეს არც ეთაკილებათ და არც ცდილობენ ნაკლის დაძლევას. პირიქით, თითქოს ამით თავმომწონეობენ კიდეც. არავინ და ვერავინ უარყოფს უცხო ენის ცოდნის საჭიროებას, მაგრამ ეს მშობლიური ენის უგულებელყოფის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. რომ იკარგება ქართული აზროვნების მანერა, წყობა, თავისებურება, სხვათა შორის, ამას კარგად გრძნობდნენ ჩვენი წინაპრები, როცა დაჟინებით გვიკიჟინებდნენ „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს"! დიდმა ილიამ დაკარგული ეროვნული მეობისათვის, ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებისათვის ბრძოლა ახალი სალიტერატურო ენისათვის ბრძოლით იმიტომ დაიწყო და სალიტერატურო ენის ხალხურ მეტყველებაზე დაფუძნების მოთხოვნაც იმიტომ წამოაყენა, რომ ქართველი საზოგადოება აზროვნების მოდელით (მანერით) გააერთიანა, ფსიქიკით გაამთლიანა. და თუ დღეს ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმავლობის გზად ილიას გზას ვაცხადებთ, მისი არც ეს უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა უნდა დავივიწყოთ და მშობლიური ენის სიწმინდეს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ. თუ ეს არ გავითავისეთ, თუ მშობლიური ენის ცოდნა შინაგან მოთხოვნილებად არ იქცა, არაფერი გამოვა. აქ გადამწყვეტი სიტყვა, რა თქმა უნდა, ოჯახსა და სკოლას ეკუთვნის.



ამიტომაც არის საჭირო, რომ დღეს ქართული სწორმეტყველების კურსი საქართველოს ყველა სახის სკოლაში უნდა ისწავლებოდეს (საშუალოშიც და უმაღლესშიც) და უნდა ისწავლებოდეს მთელი სერიოზულობით. მცდარია აზრი, თითქოს მშობლიური ენა საშუალო სკოლამ უნდა ასწავლოს და სტუდენტი უმაღლეს სკოლაში მარტო სპეციალობას უნდა ეუფლებოდესო. დიახ, სტუდენტობაც უნდა სწავლობდეს და არა მარტო ჰუმანიტარული სპეციალობების სტუდენტი, არამედ (და განსაკუთრებით!) საბუნებისმეტყველო და საინჟინრო-ტექნიკური დარგებისა. საამისოდ კი ყველა პირობა არსებობს. გვყავს პედაგოგებიც და სათანადო სახელმძღვანელოებიც გვაქვს. მთავარი ჩვენი საზოგადოების შინაგანი მზაობაა, ისაა, თუ რამდენად გრძნობს ამის საჭიროებას და რამდენად სურს, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ იცოდეს სწორი სალიტერატურო ქართულით წერა და მეტყველება.

**თემურ ჯაგოდნიშვილი,**
**პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრის გამგე.**

გვახსოვდეს ისტორია

# ვისაც ჯერ კიდევ ვერ გაუგია

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა გერმანიის ფაშიზმის დამარცხებისა და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან. უფროსი თაობის ადამიანებისათვის წარმოუდგენელი იყო ისეთი დროის დადგომა, როცა ამ ომს ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსი დიდ სამამულო ომში ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ათასობით ქართველის მონაწილეობას სამარცხვინო მოვლენად გამოაცხადებდა.

სსრ კავშირზე თავდასხმის მომზადებისას ჰიტლერელებს მისი დაყოფა ოთხ რაიხსკომისარიატად — გერმანიის კოლონიებად უნდოდათ: მოსკოვი, ოსტლანდი, უკრაინა და კავკასია.

ამდენად ყველაფერი, რაც ფაშისტთა დოკუმენტაციებშია ნათქვამი საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ყველა სხვა ხალხებზე, ცხადია, ქართველებსაც ეხებოდა. საქართველოს ჰიტლერი „დიდი გერმანიის" სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრად განიხილავდა. როზენბერგისა და შიკედანცისაგან („სს გენერალური „კავკასიის" რაიხსმინისტრი, რომლის რეზიდენცია თბილისში უნდა ყოფილიყო) კავკასიაში „უსასტიკეს ღონისძიებათა"განხორციელებას მოითხოვდა, რადგანაც ფიურერს სხვაგვარად ვერ წარმოედგინა კავკასიის დამორჩილება. მან საქართველოც შეიყვანა „განხალხების" ზონაში.

საქართველო უნდა გამხდარიყო ჰიტლერული ელიტის ოჯახების სააგარაკო ადგილი.

ნუთუ, ყოველივე ამის შემდეგ უზნეობა არ არის ვამტკიცოთ, რომ ეს ომი ჩვენთვის არ ყოფილა სამამულო?

არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მოსკოვთან, ლენინგრადთან, სტალინგრადის ველებზე თუ ბერლინის მისადგომებთან ქართველი, სომეხი, უკრაინელი და სხვა ერების წარმომადგენლები იცავდნენ არა მარტო იმპერიის, არამედ საკუთარი სამშობლოს, მთელი კაცობრიობის ინტერესებს; რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლები „ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და პრინციპებისათვის ბრძოლის წლები იყო. ვისაც არ ესმის, რომ 700 ათასი კაცი პატარა ქვეყნიდან თავის სამშობლოს იცავდა და ამავე დროს თავი შესწირა სხვა ხალხების თავისუფლებას, — მათ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ თვით ეროვნულობაზე, მის დანიშნულებაზე". (ედუარდ შევარდნაძის 1994 წლის 9 მაისის რადიოინტერვიუდან გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 10. 05, 1998). ხოლო მათ, ვისაც ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ, თუ რა მოელოდა კაცობრიობას ფაშიზმის გამარჯვების შემთხვევაში, შევახსენებთ, ამერიკელი პროფესორის, „პეტრე დიდის ცხოვრების", „ვაიმარული რესპუბლიკის", „ცეცხლი და წყალი", „სტალინის" ავტორის ალექს დე ჯონგის სიტყვებს: „— ვთვლი, რომ ყველა ჩვენგანის არსებობა განუყრელადაა დაკავშირებული სტალინის სახელთან. ჰიტლერს რომ დაემარცხებინა სსრკ, არ იქნებოდნენ რუსები. თუმცა ამავე დროს არც ფრანგები, ინგლისელები და ამერიკელები. არც, ცხადია, ქართველები (ს. ბ.) არ იქნებოდნენ".

**სოლომონ ბაქანიძე,**
**პროფესორი, რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი.**

სარედაქციო კოლეგია:
რევაზ სტურუა, ანზორ შავგულიძე, ალეკო ცინცაძე, ნოდარ მუსერიძე, შალვა ნაჭყებია, თემურ ჯაგოდნიშვილი (მთავარი რედაქტორი), ირინა ბადაგაძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, ანა ბოლქვაძე (პასუხისმგებელი რედაქტორი).

ეროვნული ბიბლიოთეკა




სან-სალვადორის სანაგვეზე 300-მდე კაცი ცხოვრობს. ისინი ნარჩენებს აგროვებენ, ახარისხებენ და ასე გააქვთ თავი.

## კოსმოსის კომერციალიზაცია

დღეს 8 მაისს, ბაიკონურის კოსმოდრომზე განხორციელდება „პროტონ“ მატარებლის კომერციული გაშვება. რაკეტამ ორბიტაზე უნდა გაიტანოს ამერიკის კავშირგაბმულობის თანამგზავრი „ექოსტარი“. გაშვების ფასს არ აცხადებენ, ვინაიდან იგი კომერციულ საიდუმლოს წარმოადგენს. მაგრამ, როგორც იტარ-ტასმა დაადგინა, „პროტონ“ მძიმე მატარებლის სტარტი საშუალოდ 70 მილიონი დოლარი ჯდება. „ექოსტარი“, რომელიც ამერიკის კომპანია „ლოქჰიდ მარტინმა“ დაამზადა, შევა გლობალურ თანამგზავრულ სისტემაში და უზრუნველყოფს კავშირს ატლანტის ოკეანის და ევროპის თავზე. წელს დაგეგმილია, განხორციელდეს „პროტონების“ თერთმეტი კომერციული სტარტი. თანამგზავრ მატარებლების კომერციული სტარტების პროგრამა 1996 წელს დაიწყო და ჯერჯერობით ითვალისწინებს 23 სტარტის მოწყობას 2000 წლამდე, მაგრამ რუსეთს განზრახული აქვს, იბრძოლოს კვოტების გასაზრდელად, რათა ეს რიცხვი 32-მდე აიყვანოს.

## თურქმენბაში: „დემოკრატია ჰაიჰარად ვერ დამყარდება“

[სა]თაურით „დემოკრატიის [...]ვალობელი“ გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აქვეყნებს წერილს, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურატ ნიყაზოვმა ვაშინგტონში ყოფნისას ღიად ილაპარაკა მის ქვეყანაში დემოკრატიის ჩამოყალიბების სირთულეებზე. თურქმენეთში ოპოზიციური პარტიები არ არის და სწორედ ამიტომ ვერ შევანიჭებთ მათ თავისუფლებასო, სიცილით უპასუხა მან ჟურნალისტთა კითხვას. ოპოზიციურ პარტიებს უნდა ჰქონდეთ პროგრამა, ისინი უნდა იცავდნენ კანონებს და არა უბრალოდ წარმოადგენდნენ „თავყრილობას“. გეპატიჟებით ყველას, ჩამობრძანდეთ ჩვენთან და შექმნათ ოპოზიციური პარტია ჩვენი კანონების მიხედვით, [...]ხსრა იგი შეკრებილთ. მაგრამ თურქმენეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ავდი ყულიევის 17 აპრილის დაპატიმრება სულაც არ არის სასიამოვნო თემა. ყულიევს ბრალად დასდეს 1995 წელს გადატრიალების ორგანიზაციის მცდელობა. მამინ იგი მოსკოვში იმალებოდა და თვალსაჩინო ოპოზიციურ ფიგურად იქცა. აშხაბადში ყულიევი ჩავიდა ნიაზოვის ვაშინგტონის ვიზიტის წინ, იმ იმედით, რომ ოფიციალური პირნი არ დააპატიმრებდნენ იმ დროს, როცა თურქმენბაში ოკეანის გაღმა იქნებოდა. აშშ ადმინისტრაციის ჩარევის შედეგად ყულიევი 22 აპრილს გაათავისუფლეს. ნიაზოვმა გამოთქვა ვარაუდი, რომ გადატრიალების მცდელობა რუსეთის სპეცსამსახურების რაღაც „ბინძური ხრიკის“ შემადგენელი ნაწილი იყო. თურქმენბაშმა „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ მან თავისი აზრი გამოთქვა ტრანსკასპიის ნავთობსადენის მშენებლობაში რუსეთის კომპანიების მონაწილეობის შესახებ. პროექტის ეკონომიკური დასაბუთების შედგენის თაობაზე შეთანხმების პროექტი ხელმოწერილი იქნება, რის შემდეგაც დაიწყება სამუშაოები, ხოლო თურქმენეთი შეუდგება მოლაპარაკებას კასპიისპირა ხუთ ქვეყანასთან. მან უკვე მიმართა თხოვნით გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს, მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენცია გაზსადენებისა და ნავთობსადენების დაცვის პრობლემებზე. აგრეთვე, განაცხადა, რომ ვაშინგტონში მისი ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი იყო, ხაზგასმით აღენიშნა, რომ „დრო შეიცვალა: საბჭოთა კავშირი დაიშალა“. ნიაზოვის თქმით, ვერავინ მოახვევს თავს თურქმენეთს დემოკრატიას, ვინაიდან ამას შედეგად მოჰყვება სოციალური დეზორგანიზაცია და კომუნისტური იდეოლოგიის აღორძინება. თურქმენეთის პრეზიდენტმა მაგალითად მოიშველია სიძნელენი, რომლებსაც აღმოსავლელი გერმანელები აწყდებიან დასავლური სტანდარტების მიმართ ადაპტაციაში, და თქვა: „სულ ცოტა კიდევ ერთი თაობა უნდა შეიცვალოს, სანამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სიტუაცია ნორმალური გახდებოდეს. არ შეიძლება, ერთბაშად მოახდინო პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, რესტრუქტურიზაცია, დემოკრატიზაცია და უზრუნველყო ადამიანის უფლებები. შესაძლოა, ჩვენ რაღაცაში შევცდით კიდეც, მაგრამ გვწამს, უდავოდ შევქმნით დემოკრატიას, როდესაც საამისო დრო დადგება.



## გაიხსნა ახალი გამოფენა

მოსკოვის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია XVI–XIX საუკუნეების პოლონური ვერცხლის ჭურჭლეული — ვერცხლის თასები, აზარფეშები, დანა-ჩანგალი, თეფშები, შანდლები.

## „ბოინგებს“, თურმე, „აეროფლოტი“ დასავლელი მგზავრების ხათრით ყიდულობს

„ბოინგის“ აეროკოსმოსური კორპორაციის სიეტლის ქარხანაში გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელზეც „ბოინგ-737-400“ ავიალაინერი გადაეცა ახალ პატრონს — ავიაკომპანია „აეროფლოტ-რუსეთის საერთაშორისო ავიახაზებს“. „ახლა იგი თქვენია, — უთხრა „ბოინგის“ პრეზიდენტმა ფილ კონდიტმა რუსეთის პრეზიდენტის სიძეს „აეროფლოტის“ გენერალურ დირექტორს ვალერი ოკულოვს. რამდენიმე დღეში ახალთახალი „ბოინგი“ რუსეთის ეკიპაჟის პილოტებით რუსეთში ჩაფრინდება. ამჟამად რუსი მფრინავების ეკიპაჟები ამთავრებენ სწავლების კურსს „ბოინგის“ სპეციალურ სასწავლო ცენტრში. რუსეთის საერთაშორისო ავიახაზები აფართოებენ „ბოინგების“ ავიაპარკს. „აეროფლოტი“ ახორციელებს შერეული ავიაპარკის პრინციპს. მარშრუტებზე, რომლის მგზავრებიც, უმთავრესად, დასავლეთის მოქალაქეები არიან, იყენებენ მათთვის ჩვეულ ტექნიკას, ვინაიდან დასავლელი კლიენტი უდიდეს ყურადღებას აქცევს უსაფრთხოებას, კომფორტს, და მისთვის უცნობი მარკის თვითმფრინავში არაფრის დიდებით არ ჩაჯდება. მაგრამ რუსული ტექნიკა სულაც არ ჩამოუვარდება დასავლურს, განაცხადა „აეროფლოტის“ ვიცე-პრეზიდენტმა ვლოვენკომ. ბევრი პარამეტრის მიხედვით იგი უკეთესიც კია. მაგრამ მგზავრი მიჩვეულია გარკვეულ სახელწოდებებსა და მარკებს. ამიტომ იძულებული ვართ გავითვალისწინოთ ფსიქოლოგიური ფაქტორი და სამამულოსთან ერთად დასავლური ტექნიკაც გამოვიყენოთ. რაც შეეხება უშუალოდ საიმედოობის საკითხს, რუსული და ამერიკული ავიალაინერები ამ მხრივ აბსოლუტურად ერთნაირია. ერთადერთი, რამიც ჩვენ ჩამოვრჩებით, რუსული ძრავები ოდნავ უარესია. მაგრამ, საერთაშორისო სტატისტიკის თანახმად, ყოფილი აღმოსავლური ბლოკის წარმოების თვითმფრინავებში საფრენოსნო ტექნიკის 1000 ერთეულზე 1997 წელს მოხდა 10-ჯერ ნაკლები ავიაინციდენტი, ვიდრე დასავლური წარმოების თვითმფრინავებზე. რაც შეეხება „ბოინგის“ კომპანიასთან ურთიერთობას, იგი ჯერჯერობით ათი „737“-და ორი „777“-ის შეკვეთით შემოიფარგლება. ბევრს აფიქრებს ბილეთების ღირებულების საკითხი, კერძოდ, შეერთებულ შტატებში ფრენისას. აეროფლოტის ვიცეპრეზიდენტის თქმით, რუსეთის კომპანიის ტარიფი არ აღემატება ამერიკისას.



ეკვადორელ ემიგრანტ ლტოლვილებს ნიკარაგუის გზაში ნავი გადაუბრუნდათ, ნავში მყოფი 20 კაციდან 16 კაცი დაიღუპა.

## პოლიტიკის პატრიარქის პროტესტი

ახალი ცივი ომის დასაწყისი და ტრაგიკული შეცდომა უწოდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის პატრიარქმა 94 წლის ჯორჯ კენანმა აშშ სენატის მიერ იმ დოკუმენტთა რატიფიკაციას, რომლებიც ეხება ნატოში პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის მიღებას.

ნუთუ, ადამიანებს არ ესმით, განაცხადა კენანმა, რომ ცივი ომის პერიოდში ჩვენ უთანხმოება გვქონდა საბჭოთა კომუნისტურ რეჟიმთან, ახლა კი ზურგს ვაქცევთ იმ ხალხს, რომელმაც დაამხო საბჭოთა რეჟიმი და განახორციელა ისტორიაში უდიადესი უსისხლო რევოლუცია.

## აშშ პრეზიდენტი პრიორიტეტებს ასახელებს

რუსეთის სტრატეგია ახლო აღმოსავლეთში მიზნად ისახავს „მოიპოვოს გავლენა მსოფლიოს კრიზისულ რაიონში“, განაცხადა აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე. მან ჟურნალისტებს შეახსენა, რომ „რუსეთი შეერთებულ შტატებთან ერთად არის მშვიდობიანი პროცესის კოსპონსორი“ ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ის პრეზიდენტი არ იყო. განა ჩვენ ყოველთვის შეთანხმებით პოზიციას, რომელსაც რუსეთი ირჩევს? — არა, მაგრამ რუსებმა იკისრეს ვალდებულება, ითანამშრომლონ ჩვენთან, რათა მაქსიმალურად შეამცირონ შეიარაღება და მათი კომპონენტების გადაცემის შესაძლებლობა, იმისათვის, რომ ისინი არ მოხვდნენ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, და ჩვენ განვაგრძობთ მათთან მუშაობას, რათა ერთად მივაღწიოთ ამ მიზანს. აშშ პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის, ისრაელის პრემიერის ბენიამინ ნეთანიაჰუსა და პალესტინელთა ლიდერის იასირ არაფატის ლონდონის შეხვედრის შემდეგ გამოიკვეთება „შეთანხმების ელემენტები“, რომლებიც მხარეებს შეაძლებინებს, დაიწყონ მოლაპარაკება საბოლოო სტატუსის შესახებ“. კლინტონის თქმით, ამჟამად ახლო აღმოსავლეთის პროცესის მონაწილენი ისეთ სტადიაში არიან, როდესაც მათ უნდა გადაწყვიტონ: სურთ თუ არა, გასწიონ რისკი და გამოიყენონ ლონდონის შეხვედრები, რათა აქტიურად იმუშაონ ორმხრივი მისალები შეთანხმების მისაღწევად.

[რუ]სეთის სააგენტოების, გაზეთების [და] სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით

უძღვება **არჩილ მანჯგალაძე.**

---

### ფეხბურთი

## „დინამოს“ ჩემპიონად კურთხევა გადაიდო

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის XXVII ტურის გუშინდელი მატჩებიდან თბილისურ დერბის „ლოკომოტივი“ — „დინამო“ განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ გულშემატკივრები. გამარჯვების შემთხვევაში ქვეყნის უცვლელი ჩემპიონები ზედიზედ მერვედ, ვადამდე შეინარჩუნებდნენ საპატიო წოდებას.

გუნდი საბრძოლო შემადგენლობით გავიდა ვაკის ოღროჩოღრო საფარით გამორჩეულ სტადიონზე, მაგრამ ეს დაბრკოლება სიცხესთან და რკინიგზელთა შეუპოვარ წინააღმდეგობასთან ერთად დაუძლეველი აღმოჩნდა „ოქროს“ მაძიებელთათვის.

თუმცა, ყველაფრის ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებებზე გადაბრალებაც არ იქნება სწორი. კორონაციის გადადების უმთავრესი მიზეზი აწ უკვე მურთაზ ხურცილავას შეგირდებმა საკუთარ თავს უნდა მოჰკითხონ. ქართული ფეხბურთის ფლაგმანს გაცილებით მეტი ალმაფრენითა და სპორტული ჟინით თამაში მოეთხოვება.

არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც დინამოელებს წინაღობად ექცათ. ისიც არანაკლებ გასათვალისწინებელი გახლავთ. მასპინძელთა მთავარი მწვრთნელის თემურ მახარაძის კრედოსა და ფავორიტთათვის შეთავაზებულ ტაქტიკურ სქემაზე მოგახსენებთ.

პირველი წრის მნიშვნელოვანი მონაკვეთის მანძილზე სატურნირო ცხრილის ფსკერზე დამკვიდრებული „ლოკომოტივის“ საოცარი მეტამორფოზა სწორედ ამ გამოცდილი პროფესიონალის სახელს უკავშირდება. გუშინდელმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „მოთაევიჩის“ ბიჭებს ნებისმიერ გამომცდელთან ძალუძთ ღირსების წარმოჩენა.

ასე რომ, თითოეული გუნდის მიერ გამომჟღავნებული დადებითი და უარყოფითი თვისებებია მხედველობაში მიღებით, ერთ დროს დედაქალაქის წამყვან სპორტულ სარბიელზე დაფიქსირებული შედეგი — 0:0 ლოგიკურად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

გაუწყებთ გუშინ გამართული დანარჩენი მატჩების შედეგებს: „ბათუმი“ — „ოდიში“ 1:0, „გურია“ — „სამგურალი“ 2:0, „მაღაროელი“ — „დილა“ 1:0, „სიონი — „მარგვეთი“ 7:1.

დღეს ითამაშებენ: „კოლხეთი“ — „ტორპედო“, თსუ — „მერანი“, „მორკინალი“ — „გორდა“. შეხვედრები 17 საათზე დაიწყება.



*სურათზე: „დინამო“ — „ლოკომოტივის“ მატჩის მომენტი. მეტვაშეა დინამოელი კლიმენტი წიტაიშვილი (მარცხნივ).*

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

* * *

ამ დღეებში გორში საინტერესო საერთაშორისო ამხანაგური მატჩი მოეწყო. ადგილობრივმა „დილამ“ აზერბაიჯანის ჩემპიონს განჯის „ქიაფაზს“ უმასპინძლა და დამარცხდა 1:3. ანგარიში სტუმართა ქართველმა ლეგიონერმა როინ კერძევაძემ გახსნა. მეზობელთა რიგებში კიდევ ერთი ჩვენებური — ბადრი კვარაცხელიაც ასპარეზობდა.

### ჭადრაკი

## ნახევარ-ფინალისტები გამოვლინდნენ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს უმაღლესი ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა მეოთხედფინალური შეხვედრები. ნახევარფინალის საგზური ვადამდე გაინაღდა დიდოსტატმა გია გიორგაძემ. მან ახალგაზრდა მეტოქეს — დავით შენგელიას ზედიზედ ორი პარტია მოუგო, მესამეში კი ყაიმს დასჯერდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა საერთო გამარჯვებისთვის — 2,5:0,5.

დიდოსტატმა ზურაბ სტურუამ ოთხ პარტიაში სძლია ალექსანდრე დგებუაძეს — 3:1. დანარჩენი ორი წყვილის ორთაბრძოლები მეტად დაძაბული გამოდგა.

გიორგი ბაღათუროვ—ხვიჩა სუპატაშვილის ძირითადი 4 პარტია საყაიმო ანგარიშით დამთავრდა — 2:2. გამარჯვებული ვერც 25-წუთიანმა პარტიებმა გამოავლინა. ბლიც-პარტიებში სუპატაშვილმა იმარჯვა 2:1 (საერთო ანგარიში — 5:4) და ნახევარფინალში გავიდა.

მეტი ჯაფა დაადგათ დიდოსტატებს — ლამა ჯანჯღავას და გიორგი ყაჭეიშვილს. მას შემდეგ, რაც ერთმანეთთან დავაში ძირითადმა, 25-წუთიანმა და ბლიც-პარტიებმა სასურველი შედეგი ვერც ერთ მათგანს ვერ მოუტანა, პაექრობა გაგრძელდა პირველ მოგებამდე. დამატებითი მესამე ბლიც-პარტია იღბლიანი გამოდგა ჯანჯღავასთვის (საერთო ანგარიშია 6:5) და, ცხადია, ჩემპიონობისთვის ბრძოლასაც ის გააგრძელებს.

როგორც გულშემატკივრებმა იციან, ელისტაში მიმავალი მაია ჩიბურდანიძე ავარიაში მოჰყვა, რის გამოც კირსან ილუმჟინოვის სახელობის თასის გათამაშებაზე ველარ იასპარეზებს. მის ნაცვლად შეჯიბრებაში გია გიორგაძე ჩაებმება. ამდენად, უცნობია, როგორ წარიმართება საქართველოს ჩემპიონატის დარჩენილი შეხვედრები.

* * *

დღეს დასრულდება 14 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც 39 გოგონა და 63 ვაჟი მონაწილეობს.

გოგონათა შორის გუშინდელი მე-8 ტურის შემდეგ 6,5-6,5 ქულით ერთბაშად სამი მოჭადრაკე დაწინაურდა: ალექსანდრა ვახანია, ლელა ჯავახიშვილი და ნანა წიქარიშვილი.

ვაჟებში ერთპიროვნულად ლიდერობს ზვიად იზორია, რომელსაც 7 ქულა აქვს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება მერაბ გაგუნაშვილი. 6-6 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან ვაჟთა შორის მოასპარეზე ერთადერთი გოგონა — ნანა ძაგნიძე, ლევან არომიძე, გიორგი ფარესიშვილი და დავით არუთინიანი.

ჩემპიონები და პრიზიორები დღეს გამოვლინდებიან.

**თამაზ ცინცაძე.**

## თასი მილანის „ინტერს“

მილანის „ინტერმა“ მდიდარ კოლექციას კიდევ ერთი ევროპული ჯილდო მიუმატა. უცხოელი ვარსკვლავებით დახუნძლულმა „შავ-ლურჯა“ სუპერკლუბმა სამსოფლიო ჩემპიონატოდ აგებულ კოხტა „სტად დე ფრანსზე“ გამართულ იტალიურ ფინალში რომის „ლაციო“ დაჯაბნა — 3:0 და მეორედ მოიპოვა უეფას თასი. შეგახსენებთ, რომ ლუიჯი სიმონის ამბიციური ბიჭები ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგაისო საგზურსაც დაეუფლნენ.

გადამწყვეტ მატჩს მეტოქენი მინიმალური დანაკარგებით შეხვდნენ. მომავალ გამარჯვებულებს მრავალნაცადი კაპიტანი, დაცვის ბურჯი ბერგომი აკლდათ, რომაელები კი მინდორზე ძლიერი ხორვატი ფორვარდის ბოქშიჩის გარეშე გამოვიდნენ. ორივე ტრავმამ დააღალატა.

როგორც აღმოჩნდა, ამ უკანასკნელის როლი დედაქალაქელთა მეტევებისას შეუფასებელი ყოფილა. მის არყოფნაში სვენ გორან ერიქსონის გუნდმა ერთი ხეირიანი იერიშიც კი ვერ მიიტანა პალიუკას კარზე. ეს მაშინ, როცა მილანელებმა სამორანოს, ძანეტისა და რონალდოს გოლების გარდა, კიდევ ორჯერ მოახვედრეს ბურთი ძელს.

13 მაისს თასების მფლობელთა თასის ტრიუმფატორს „ჩელსი“ – „შტუტგარტის“ დუელი დაასახელებს, 20 მაისს კი ჩემპიონთა ლიგის ფინალში „რეალი“ და „იუვენტუსი“ ითამაშებენ.

TOSHIBA
RICOH UNIT Copier
AIKO MAGNUM
Panasonic
SAMSUNG
APC
HEWLETT PACKARD
VIST
MITSUBISHI
FUJITSU
ოფიციალური დილერი
J&J
ხარისხი და კომფორტი თქვენს სამსახურში
• ასლგადამღები აპარატები
• კომპიუტერები და პერიფერია. უწყვეტი კვების წყაროები
• საოფისე სატელეფონო სადგურები. ფაქსები
• საბანკო აღჭურვილობა. სეიფები
• კონდიცირება და გათბობის სისტემები
ლესელიძის №4 93-38-04 93-38-34
სერვის ცენტრი 93-28-10

### ყოველი მხრიდან

## სიმდიდრე - ჩოგნით

მაინც რამდენის მოპოვება შეიძლება საჩოგბურთო კორტებზე? — სპორტის ზოგიერთ სახეობასთან, მაგალითად, კალათბურთთან, ჰოკეისთან, თუნდაც ფეხბურთთან, შედარებით, შეიძლება, ჩოგბურთელები ძალზე დიდ თანხებს ვერ იხვეჭენ, მაგრამ მაინც ძალზე შეძლებულად ითვლებიან. ამას მოწმობს თუნდაც შემდეგი ცნობები წლევანდელ სეზონში როგორც კაცი, ისე ქალი ჩოგბურთელების მიერ მოპოვებული საპრიზო თანხების შესახებ:

**კაცები:** 1. რიოსი – 1.017.118 დოლარი; 2. კორდა – 728.511; 3. მოია – 513.038; 4. რუსედსკი – 500.898; 5. აგასი – 443.426; 6. კაფელნიკოვი – 388.965; 7. ბერასტეგენი – 362.511; 8. ბორკმანი – 360.906; 9. პოლინი – 355.991; 10. ენკვისტი – 352.928.

ალბათ, გაგიკვირდებათ, ამ სიაში რომ არ ჩანს პიტ სამპრასის გვარი. იგი, მართალია, 6 მაისის მონაცემებით, კვლავ საჩოგბურთო ელიტის სათავეშია, მაგრამ წლეულს იმდენჯერ მოეცარა ხელი, რომ მისთვის ჩვეული „დიდი ფული“ ვერ დააგროვა.

**ქალები:** 1. ჰინგისი – 1.015.704; 2. დევენპორტი – 507.100, 3. ვ. ულიამსი – 419.050; 4. მარტინესი – 345.636; 5. კეტცერი – 275.769; 6. ნოვოტნა – 263.922; 7. პიერსი – 229.667; 8. კურნიკოვა – 223.440; 9. სანჩესი – 223.248; 10. შნაიდერი – 207.778.

## ფიფა ფრთხილობს

ამ დღეებში ფიფას პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატის თითოეულ მონაწილეს, სულ ერთია, მსაჯი იქნება ის თუ ფეხბურთის გუნდი, ეკრძალება ერთი მიჩენილი ყორჩი მოსყიდვის ან სხვა არასასურველი ქმედებების აღსაკვეთად. ამის გაკეთება, რასაკვირველია, ადვილი არ იქნება. ვთქვათ, ვილაცამ მოისყიდა მცველი და მან მატჩის დროს თავის საჯარიმოში გაზრახ ააცილა ფეხი ბურთს. ამის დამტკიცება ძალზე ძნელი, ან პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. ჯერჯერობით არაფერია ნათქვამი ასეთ მაქინაციებში შემჩნეულთა სასჯელის ზომებზე, მაგრამ, ცხადია, რომ ის უმკაცრესი იქნება.

„გარეშე ძალების“ პრობლემას ფიფას დევიზით ჩატარებულ შეჯიბრებებზე წააწყდნენ სამი წლის წინათ კატარში ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე, როცა ნორჩ ფეხბურთელებს მოსყიდვა-გადაბირების მიზნით, გარეშე ხალხი სთავაზობდა ძვირფას საჩუქრებს. ამის გაკეთება მომავალ ჩემპიონატზე მეტარებით რთული იქნება, ხოლო საფრანგეთის დედაქალაქიდან სხვა ქალაქებში მიმავალ მსაჯებს გამცილებლად მიმაგრებული ეყოლებათ ფიფას თანამშრომლები.

## ორდენი პრეზიდენტის ხელიდან

გუშინწინ მოსკოვში, კრემლში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა საპატიო ორდენი გადასცა პაველ ბურეს – რუსეთის ჰოკეისტთა ნაკრების კაპიტანმა ეს მაღალი ჯილდო დაიმსახურა ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებზე ბრწყინვალე თამაშისათვის.



## პრეტენდენტების მატჩი 22 მაისს იწყება

ახალი საჭადრაკო ორგანიზაციის „მსოფლიო საჭადრაკო საბჭოს“ პრეზიდენტის, ესპანელ მილიონერ ლუის რენტეროს სამდივნომ გაავრცელა პრესრელიზი, რომელშიც ლაპარაკია წლევანდელ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებაზე.

მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ვლადიმირ კრამნიკსა (რუსეთი) და ალექსეი შიროვს (ესპანეთი) შორის დაიწყება 22 მაისს ქ. კაზორლეში (ესპანეთი) და 7 ივნისამდე გასტანს. იგი 10 პარტიისაგან შედგება. გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონს „მსოფლიო საჭადრაკო საბჭოს“ [...] გარი კასპაროვთან თამაშის უფლებას [...].

რაც შეეხება თვით მსოფლიო პირველობის მატჩს გარი კასპაროვსა და პრეტენდენტს შორის, მას აწყობს ანდალუზიის მთავრობა. იგი ამ მიზნით ორ მილიონ დოლარს გამოყოფს. 18 პარტიისაგან შემდგარი მატჩი ჩატარდება 15 ოქტომბრიდან 16 ნოემბრამდე. საყაიმო შედეგის შემთხვევაში კასპაროვი მსოფლიო ჩემპიონობას შეინარჩუნებს.

შეგახსენებთ, რომ პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში კრამნიკთან ვიშვანათან ანანს უნდა ეთამაშა, მაგრამ მან გადაწყვიტა, არასოდეს მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრებაში, რომელსაც „მსოფლიო საჭადრაკო საბჭო“ (კასპაროვის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაცია) მოაწყობს.

უძღვება **ანზორ ბასილაია.**

## ვინც ბავშვებს ამათხოვრებდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად გამოავლინეს 22 უმეთვალყურეო და სამართალდამრღვევი მოზარდი, 11 მათგანი გადაიყვანეს არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელში.

წესრიგის დამცველებმა გამოავლინეს რამდენიმე პიროვნება – რუსთავში მცხოვრები ლამარა ბალდასაროვა, თბილისელი ნათელა უსუბიანი, ნინო თურმანიძე და ლილოს დასახლებაში მცხოვრები მარინა აგაშიანი, რომლებმაც არასრულწლოვანები დაიყოლიეს მათხოვრობაზე.

დაიწყო მოკვლევა.

## ანდრეევი, რომელიც არის გეგენავა

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო სამსახური, ასევე, საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დააკავეს თბილისში, ნიკოლაძის ქ. №9-ში მცხოვრები იგორ ანდრეევი (პასპორტის ჩანაწერის მიხედვით იგი ცხოვრობდა მოსკოვში), რომელმაც ალექსანდრე ლოკტიონოვთან ერთად გაიტაცა „გაერთიანებული ქართული ბანკის" ავტომანქანა „მერსედეს-320". იგორ ანდრეევის ბინიდან ამოიღეს პისტოლეტ „მაკაროვის" 4 ვაზნა და თბილისის ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა პირველი ქვეგანყოფილების მიერ 1989 წლის 19 ივლისს ოთარ დიმიტრის ძე წულუკიძის სახელზე გაცემული პასპორტი, რომელშიც ჩაწებებული იყო იგორ ანდრეევის სურათი. მისი განმარტებით, ორივე პასპორტი ყალბია და სინამდვილეში იგი არის ქალაქ სოხუმში, ვიმნოვაიას ქ. №10-ში მცხოვრები, 1968 წელს დაბადებული ზურაბ ალექსანდრეს ძე გეგენავა, რომელიც იძებნებოდა სოჭის შს ორგანოების მიერ 1994 წელს ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმისათვის.

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

## იძებნებოდა და იპოვეს

5 მაისს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს თანამშრომლებმა მოსკოვში დააკავეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი თორნიკე გუგუაძე.

იგი 1996 წლის აგვისტოში ვინმე ბურჭულაძეს შეპირდა საზღვარგარეთ გასასვლელ საბუთებს და თაღლითობის გზით გამოსძალა 5000 ამერიკული დოლარი.

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

## მკვლელებს მოეკითხებათ

6 მაისს ზუგდიდის პოლიციელებმა დააკავეს ადრე ნასამართლევი თენგიზ ჩიქოვანი, რომელმაც 5 მაისს 17 საათზე გამსახურდიას ქუჩაზე ურთიერთშელაპარაკებისას დანით გულ-მკერდის არეში დაჭრა იმავე ქუჩაზე მცხოვრები 31 წლის მერაბ შეროზია, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. გამოძიებას სამხარეო პროკურატურა აწარმოებს.

* * *

5 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ეროვნული გვარდიის ჯავშანსატანკო სამსახურის უფროსი, თბილისელი, 32 წლის გვარდიის ვიცე-პოლკოვნიკი რომან ლალანიძე, რომელმაც 1992 წლის 21 ნოემბერს ქუთაისში, სასტუმრო „კოლხიდის" ადმინისტრაციულ შენობაში ურთიერთშელაპარაკებისას ავტომატური იარაღიდან გულ-მკერდის არეში დაჭრა წყალტუბოს შონის სოფელ მალლაკში მცხოვრები სოსო კვერნაძე, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

ტაძრისკენ

# სულიერება და ეკონომიკური აღმავლობა

(პირველი გვერდიდან)

ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა, სულიერი, ზნეობრივი ღირებულებების გარეშე წარმოუდგენელია. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივი გახდა მას შემდეგ, რაც აღსდგა „დიდი აბრეშუმის" გზის იდეა. იზრდება დაინტერესების სფეროც და ეს ბუნებრივიცაა ფოთის გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო. ხვალ-ზეგ ეს ინტერესები უფრო გაიზრდება, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავკარგოთ ჩვენი სახე, უნდა ვიზრუნოთ ჩვენი სულის სიწმინდისათვის – განაცხადა საქართველოს პატრიარქმა ფოთის საზოგადოებრიობასთან შეხვედრისას.

მან ფოთი დაახასიათა როგორც საერო და სასულიერო თანამშრომლობის სანიმუშო მაგალითი. ფოთის საეპისკოპოსოში სასიკეთოდ იმოქმედა მეუფე გრიგოლის დანიშვნამ, მაგრამ ქალაქის სულიერების ასეთი მაღალი დონე, უწინარეს ყოვლისა, ფოთის მოსახლეობის დამსახურებაა. ჩვენ უნდა ქვეყნის ეკონომიკური და სულიერი განვითარებისათვის, ერთად უნდა ვიზრუნოთ.

ფოთის მერმა ივანე ზოდელავამ მადლობა გადაუხადა უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ფოთში ჩამობრძანებისათვის.

სასულიერო და სამოქალაქო ხელისუფლების ხელმძღვანელთა – ფოთის ეპარქიის მმართველს მეუფე გრიგოლსა და ქალაქის მერის ივანე ზოდელავას შეთანხმებული მუშაობა, ურთიერთგაგება და პატივისცემა ბევრად წაადგა საერთო საქმეს, ქალაქს, ახლადშეკეთებული ეპარქიის რეზიდენციისა და სამმართველოს შენობები, რომლებიც მერიის თანხებით შეკეთდა, ულამაზესი ნაგებობებია ფოთში. ბატონ ივანეს ინიციატივით ნაბადის უბანში აიგო წმინდა ილიას სახელობის ბაზილიკა, სადაც აღდგომის დღესასწაულზე გაიმართა პირველი წირვა, გათვალისწინებულია საეკლესიო კომპლექსის მშენებლობა. თეატრი – ძველი კათედრალური ტაძარი კვლავ დაუბრუნდა ეპარქიას, ხოლო ახალი თანამედროვე თეატრის მშენებლობას მალე ჩაეყრება საფუძველი. სალეთისმეტყველო სემინარია, რომელიც რამდენიმე თვეა ფუნქციონირებს, მართლმადიდებლობის აღორძინებას ემსახურება. აქ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან არიან ჩამოსული ახალგაზრდები.

ფოთის ეკონომიკური აღმავლობა მნიშვნელოვნად განაპირობა სულიერმა აღორძინებამ. ასეთია დიდი სტუმრის შთაბეჭდილება.

**ზურაბ აბრალავა,**
„სრ" კორ.

ავთანდილ ბალათურიას ფოტო.





ცხოვრების გზა

ხუტა ბერულავა

# ის – დედოფალი ჩემი ოცნების...

დიდი მადლობა ყველა თანამემამულეს და უცხოელ მეგობარს, ვინც გაიზიარა ჩემი უსაზღვრო მწუხარება მეუღლის — ნათელა ბერულავას გარდაცვალების გამო.

მკითხველს მოკრძალებით ვთავაზობ სხვადასხვა დროს ძვირფასი მეგობრისადმი მიძღვნილ სამ ლექსს.

### ჩემი პატარა დიასახლისი

მუქი ვერ ასწრებს ცის შეთეთრებას,
სახლში დაფრინავს მზიან ხალისით,
ცისკართან დგება, მისებრ ენთება
ჩემი პატარა დიასახლისი.
ეზოკარს ნათელ ღიმილით ჰმოსავს,
წყალსაც არ დალევს მგოსნის ლოდინში,
მუდამ მეპხარის სტუმრების მოსვლას
და ეგებება ნაზი ბოდიშით.
გახარებული მისმენს გულდინჯად
და ველარ მალავს წრფელ აღტაცებას,
უყვარს: ცასავით მღილი ლურჯი ზღვა,
უყვარს: ჩემსავით მას გატაცება.
ხელს ვიწვდი მზისკენ, როგორც მლოცველი,
გულშიც დაფრინავს მზიან ხალისით,
ის – დედოფალი ჩემი ოცნების,
ჩემი პატარა დიასახლისი.

1945.

### სასწაული

მე ერთადერთი სასწაული მწამს ქვეყანაზე
და ეს შენა ხარ, ეს შენა ხარ, პატარა ქალო,
სიცოცხლის დიდო ნათლისვეტო და სილამაზე,
დღედაღამ ჩემთვის რომ შრიალებ, მათბობ და
მწყალობ!

შენო ღიმილო – თბილო, ოდნავ სევდანარევო,
ყველა ისრისგან და ბოროტი თვალისგან
მიცავს,

ოდეს ვიხილე მე სამყარო შენი თვალებით,
უფრო კეთილი მომეჩვენა ეს ცა და მიწა...
ქალი კი არა, ხარ პაერი, ნატვრა, სინათლე
და უძილობის მოფარფატე, მსუბუქი ფრთები.
შენ აღმისრულე, ანაზღეულ რაიც ვინატრე,
შენ ამამაღლე, განმამძლავრე, ალმავსე გზნებით!
მე კი სანაცვლოდ რა გიბოძე, რა გისახსოვრე?
მიჯობს, ვიყუჩო, სულგრძელობას შენსას
მივენდო,

თუკი ცოცხალვარ, სიამაყე შენი მაცხოვრებს,
ჩემი უსაზღვრო მთაგონების დიდო იმედო!

ამ ალხარების მთქმელისათვის ითვლება [illegible]
შენი წარბების, მოღრუბლული წარბების
ჩრდილ[illegible]

თორემ ღიმილი... გამაცოცხლებს საფლავ[illegible]
მწოლ[illegible]

შენო ღიმილო მხიარული, ამაყო, თბილო,
შენო თვალია წუთისოფელს რომ მილამაზ[illegible]
სიკეთის თვალი, ნატვრის თვალი, სიმღერ[illegible]
თვალ[illegible]

მე ერთადერთი სასწაული მწამს ქვეყანაზე
და ეს შენა ხარ, ეს შენა ხარ, პატარა ქალო.

1972.

### გევედრები, ნათე...

გევედრები, მაპატიო, ნათე,
აქ, ვერაზე, რომ დაგტოვე მარტო!
შენზე ფიქრში მე ღამეებს ვათევ
და მიმწუხრის ფანტელები მათოვს.
ამოტირდნენ ბედნიერი წლებიც
და მიმუხთლა მარტის ბოლო დღემან,
და იმედებს შეალეწა ფრთები,
და შეწყვიტა შენი გულისცემა...
ცოტა მაინც ამხდომია ნატვრა
და მეგონა, დაგიცავდი მკერდით,
სათნოების ულამაზეს ხატად
გიწამე და შენზე ლოცვებს ვწერდი.
როგორ ჰგავდი მოციმციმე სანთელს,
ოდეს უხმოდ მორდებოდი კერას!
მაპატიე, მაპატიე, ნათე,
რომ უშენოდ სული მიდგას ჯერაც.

16 აპრილი, 1998.

წლეულს 12 მაისს მოწვეულია სააქციო საზოგადოება „მეტეხის" აქციონერთა საერთო კრება, რომელიც გაიმართება ქ. თბილისში რეზო თაბუკაშვილის ქ. №17

დღის წესრიგი:

1. საწესდებო კაპიტალის ფორმირების საკითხი.
2. საზოგადოების საგადასახადო დავალებათა რესტრუქტურიზაციის საკითხი.

დღის წესრიგის გამო აქციონერებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ მისამართზე: ქ. თბილისი, რეზო თაბუკაშვილის ქ. №17. ტელ. 93-33-35.

სს „მეტეხის" დირექტორატი.

ხსოვნა

## ლადო ჩინჩალაძე



ჯერ კიდევ სიზმარში გვგონია თავი; ძნელი წარმოსადგენია უშენობა, ლადო, სიკეთისა და სიყვარულის სამყაროვ!.. 22-ე გაზაფხულს ჩაიფერფლე... არაფრის გულისთვის, უდანაშაულოდ ჩაგიკლეს სიცოცხლე საკუთარი სახლის წინ...

ვაჟკაცური და, ამასთანავე, საოცრად გულჩვილი, ამაყი და, ამავე დროს, თავმდაბალი – ასეთი ხარ შენ; ასეთად დარჩები ყოველთვის, ჩვენს ხსოვნაში. ძნელია შენზე წარსულში საუბარი; გვიჭირს, უშენოდ ერთად ყოფნა, ლადო. ჩვენ არ ვყოფილვართ მხოლოდ თანაკლასელები. დედმამიშვილურს უახლოვდება ის დამოკიდებულება, რომელიც ჩვენს შორის სუფევდა. ერთად ვიარეთ დღევანდლამდე...

გაივლის წლები, შენ კი ყოველთვის 22 წლისა იქნები, ლაღი და ლამაზი... უკვე გვენატრები და გვაკლიხარ, ჩვენო ლადო, ლადუნა, ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სული.

მეგობრები

ადამიანი — დროში

# მე ჩანგური სხვისთვის მინდა

**– როგორ მოხვედით ხალხურ შემოქმედებაში, ეს ოჯახური ტრადიცია იყო თუ?..**

– ოჯახური ტრადიცია არ ყოფილა, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნიდანა ვარ. შინ მუსიკალური საკრავი არ გვქონდა, მაგრამ საათობით ვისმენდი ხოლმე მეზობელი რომ ჩონგურზე უკრავდა. ბავშვობაშივე გადავწყვიტე ჩემთვის ჩონგური გამომეთალა, ასეც მოვიქეცი. დაკვრაც მასზე ვისწავლე.

მშობლებს ჩემი გატაცება სერიოზულად არ მიაჩნდათ. მათი სურვილით სასწავლებლად თბილისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში შევედი; თუმცა იმ სპეციალობით ერთი დღეც არ მიმუშავია. ასე რომ, ბავშვობიდანვე ვთლი ფანდურებს, ჩონგურებს, სალამურებს, სტვირებს... სალამურზე და ჩონგურზე ტექნიკუმში სწავლის დროს ვუკრავდი... ამ ინსტრუმენტზე დაკვრას, თბილისის მუსიკალური სასწავლებლის ხალხური შემოქმედების კლასშიც დავეუფლე. ნოტების კითხვა ცნობილმა პედაგოგმა ქეთევან მეგრელიძემ მასწავლა.

**– გვიამბეთ საოჯახო, საბავშვო ანსამბლებზე. ლაგოდეხის რაიონის სოფელ მაწიმში ბავშვთა ეთნოგრაფიულ ანსამბლ „ეროვნულ საუნჯეს" რომ ხელმძღვანელობდით. გურჯაანშიც ჩამოგიყალიბებიათ ქართული ხალხური საკრავების ანსამბლი... როდის დაიწყეთ, როდის მოასწარით ხერიოზულად ხალხური საკრავების შექმნა?**

– ბევრი რამ გადაწყვიტა კირილე ვამაკიძესთან შეხვედრამ. დავალებული ვარ ამ კაცისაგან. მისი რჩევით ვასწავლიდი მოზარდებს სალამურზე დაკვრას, რათა თაობებს გადასცემოდა ეს ხელოვნება. სალამურზე ყველა ცნობილი შემსრულებელი ომარ კელაპტრიშვილი, ნიკო ნადირაშვილი, ალეკო ხიზანიშვილი, დათო ყიფიანი და სხვები, ჩემეული სალამურით სარგებლობენ.

**– შინ ქართული ხალხური ინსტრუმენტების საოცარი კოლექცია გქონიათ, – სხვადასხვა ზომის სალამურების, დუდუკების, სხვა ქართული საკრავებისა, მაგრამ მათ შორის თქვენეული ქართული ორნამენტებით დამშვენებული ჩონგურები და ფანდურები გამოირჩევა. გიტარაც კი არის, მაგრამ განსხვავებული, თითქოს მხოლოდ ქართული ჩონგა ჩაგიკეთებიათ.**

– ქართულ გიტარაში მთელი ჩემი ცხოვრებაა ჩაქსოვილი. მისი შექმნის საბაბი ბავშვებმა მომცეს. ოთხსიმიანი, ლამის ჩემსიმაღლე ჩონგურაკიდებული პატარის ქუჩით მოულოდნელად მიდიოდა, მიზარდები ამდევდნენ და მოძახდნენ: „... ჩანგურ, ჩანგურ, გიტარა, სიძემ რა მოგიტანა"-ო? „ჩანგურ, ჩანგურს თან გიტარა" რომ დაგანებს... მაშინვე ამეკვიატა ფიქრი ქართულ გიტარაზე. იმ ღამესვე დავხაზე პროექტიც და მეორე დღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებულ ხალხურ საკრავთა ორკესტრში კირილე ვამაკიძესთან მივიტანე – „თუ შეიძლება, რატომაც არ უნდა შევქმნას ქართული"? – ეს სიტყვები სულით ხორციამდე ქართველ კირილე ვამაკიძეს ეკუთვნის.

გიტარის გარეგნული ფორმა კი მოვიფიქრე, მაგრამ მაინც კლასიკურს მივმართე. ჩემს ქართულ გიტარას 6 სიმი აქვს და შემსრულებლისთვის გაფართოებული შესაძლებლობაა იძლევა სხვა ქართული ხალხური ინსტრუმენტის გვერდს. ჯერჯერობით არავინ გამოსცა და არც ავტორობის უფლება მიმიღია.

„ჩანგურის" (ასე დავარქვი) წყობა თავისთავადია. მას არც ერთი სიმი არა აქვს გაორებული; მისი ჟღერადობა თანამედროვე გიტარის ჟღერადობისაგან განსხვავდება. ქართულ გიტარას შეეძლო მსოფლიო ბაზარზეც გაემარჯვა, მაგრამ... ჩემთვის არაფის სცალია. ჯერ კიდევ 1992 წელს დახმარებისთვის ერთ ხელმძღვანელ მუშაკს მივმართე; კაბინეტიდან გამომისტუმრა და მომაძახა, – რატომ ვიგონებთ ველოსიპედს, როცა ის უკვე გამოგონილიაო. არის იმპორტული გიტარები, ის შეიძინონ და დაუკრანო.

გაბრაზებულმა ერთი კი გავიფიქრე, რომელიმე უცხოელი ბიზნესმენისთვის მეჩუქებინა (აჰ, სად არის ცხონებული ღავით სარაჯიშვილი, ან მისი მსგავსნი), ისინი მოძებნიდნენ გზას, მაგრამ დამენანა ჩემი ნახელავი, დროს ველოდები... ამ საქმეს ხელშეწყობა ჭირდება, ადგილი, დანადგარები, ხელოსნები კი გვყავს, მაგრამ სად იმუშაონ? თავის დროზე ამ საქმისადმი დიდ ყურადღებას იჩენდნენ კირილე ვამაკიძე, მიხეილ ჩირინაშვილი, გრიგოლ კოკელაძე... ისინი ცოცხლები აღარ არიან.

**– მუდამ ამ საქმით გართულს მინაურები ხომ არ განაწყენდებიან?**

– პირიქით, ყველა მეხმარება, ხის მასალასაც ემოულობთ. ისტორიულად სალამურებს ჭერმის ხისგან აკეთებდნენ. ფანდურს თუთის, კაკლის, არყის ხისა და წითელი ხისგან თლიდნენ. ამჟამად ძირითადად მაყარი ჯიშის ხეებს ვიყენებთ. საკრავებისათვის კარგად გამომშრალი მასალაა საჭირო. ტრადიცია დავარღვიე და კომბინირებულად, სხვადასხვა ჯიშის ხეებისაგან ვამზადებ ინსტრუმენტებს. ბლის, გარეული მხხლის, ვაშლის, აგმის ხის ნაწილებიც ჩავრთე. ყველაზე კარგ რეზონანსს ნაძვი იძლევა, მასზე უკეთესი არ არსებობს.

**– მოწაფეები თუ გყავთ?**

– ხალხურ საკრავზე შემსრულებლები ბევრია, ხოლო თავად საკრავთა შემქმნელები თითებზე ჩამოსათვლელიღა დარჩით. კულტურის სამინისტრომ ეს უნდა გაითვალისწინოს. მოსწავლეები მყავს. მათ შორის საუკეთესოებს საზღვარგარეთ საბჭომ ინთო, დარბაზი ფეხზე ადგა, გამმა და „ბრავოთ" გააყრუა იქაურობა.

**– ხალხური ინსტრუმენტების კონსტრუირება სულმა მოგთხოვათ, მუსიკასაც თავად ქმნით, ტექსტიც უმეტესად თქვენია...**

– ყოველივეს სული მთხოვს და ვასრულებ...

**– რაც თქვენ გააკეთეთ, ზოგიერთი ამის პატრონი ჩუმად ვერ იქნებოდა, თითქმის ყველა ჯილდო და ხარისხი მიგიღიათ, მაინც ჩრდილში რად დგახართ?**

– რა ვქნა, ჩემი თხოვნა თუ მოთხოვნა, რათა ხელი შეეწყოთ და ქართულ ხალხურ ინსტრუმენტებზე მუშაობას მეტი გასაქანი მისცემოდა, უფრო გამეფართოვებინა მოქმედების არეალი ხალხური ინსტრუმენტების დამზადება-რეკონსტრუქციის დარგში, მავანთა და მავანთა უყურადღებობით ქაღალდზე მაგიდის მაუდქვეშ დარჩა, ალბათ, გამოჩნდებიან ყურადღებიანი ადამიანები...

**– თქვენი ერთი ცნობილი სიმღერა, ალბათ, 70-იანი წლების უნივერსიტეტელებს ემახსოვრებათ...**

– მაშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლის იუბილე სახალხო ოსტატების წილება მაინიჭა. ახალგაზრდა შეგირდები ეუფლებიან არა მარტო ჩონგურების, ფანდურების და სალამურების, არამედ ქართული გიტარის – „ჩანგურის" კეთებასაც. ჩვენი საკრავები გამოფენილი იყო იალტაში. ვმონაწილეობდი ევროპის ქვეყნებში, აგრეთვე, ბრაზილიაში, ჩიკაგოში მოწყობილ გამოფენა-გაყიდვაში. კანადელებმა სალამურები და ფანდურები დაგვამზადებინეს.

დაუვიწყარია კიევში გამართულ ხალხური მუსიკის შემსრულებელთა საერთაშორისო დათვალიერებაში მონაწილეობა, მე-15 მუსიკალური სკოლიდან საბავშვო ანსამბლი, რომ ჩავიყვანე (სამწუხაროდ, ამ სასწავლებლიდან შერმადინ დარჩიაშვილი ახლახან გაუნთავისუფლებიათ საპენსიო ასაკის გამო ნ. ფ.). როცა სცენაზე სალამურზე შესრულებით შაირების, მათებურად „ჩესტუჩკების" ცეცხლი დალხო დღესასწაულად იქცა. ამ მოვლენას მივუძღვენი სიმღერა „შენი სახელის ჭირიმე" აფიშებზე ასეც ეწერა, მუსიკისა და ტექსტის ავტორია თვითმოქმედების საკავშირო ფესტივალის ლაურეატი შერმადინ დარჩიაშვილი. უნივერსიტეტის იმ თაობის წარმომადგენლებს დღესაც წამოსცდებათ ხოლმე (მაშინ მთელი უნივერსიტეტი მღეროდა) ღიღინით: „სიბრძნის დიადო ტაძარო, ბედნიერების აკვანო, ცოდნის წყურვილის ცხრა წყაროვ, ცხრა ცავ, ცხრა მთავ და ცხრა კარო". უნივერსიტეტი ახლაც იუბილესთვის ემზადება, თუ ამ სიმღერას გაიხსენებენ, გამახარებენ, არ არის მოძველებული...

**– შვილები თუ გაჰყვნენ თქვენს გზას?**

– ნინომ სამხატვრო აკადემია დაამთავრა, ხათუნა მუსიკის მასწავლებელია. სიძე მხატვარია, ინსტრუმენტების დამზადებაში მეხმარება, შვილიშვილი მარიამი 5 წლისაა, ვფიქრობ, ისიც ჩვენს გზას დადგება... მეუღლე ელენე დარჩიაშვილი სახელმწიფო კაპელაში და კირილე ვამაკიძის ანსამბლში მღეროდა, რადიოს ოქროს ფონდში ინახება მისი ნამღერი, მიხეილ ჩირინაშვილის ცნობილი სიმღერა „ჩემი ლამაზი ქვეყანა"!.. ფირფიტებიც არსებობს, თავად კი ცოცხალი აღარ გახლავთ...

**– თქვენეულ გიტარა-ჩანგურზე დაკვრის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი შოთა ბრეგაძეა. კირილე ვამაკიძის ანსამბლში აღზრდილი, შემდეგ ანსამბლ „რუსთავში" მღეროდა.**

– დღეს მხოლოდ ის უკრავს ჩემს მიერ შექმნილ ქართულ გიტარაზე. მან სამი წელი დაჰყო პოლონეთში. ქართულ ხალხურ საკრავებზე შემსრულებლებთან ერთად. პოლონელები კვლავ უკრძალებდნენ ხელშეკრულებას, ისე მოეწონათ მისი ანსამბლი, მაგრამ არ დარჩა. ქართველი კაცი შორს დიდხანს ვერ ძლებს. „ჩანგურს" გიტარასთან შედარებით ძალიან რბილი ხმა აქვს, მან უნდა დაიმკვიდროს თავისი ადგილი. შოთა ისნის რაიონის საერო გიმნაზიაში ასწავლის ახალგაზრდებს ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრას. მე-3 სკოლაში 10 წლის ასაკიდან მისი ხელმძღვანელობით 130 ბავშვი ეუფლება ამ ხელოვნებას. ქართულ ფოლკლორს მოსწავლეთა სასახლეშიც დიდი ყურადღება ექცევა, იქ შოთას აღზრდილი ნუკრი კელაპტრიშვილია ამ საქმის თავკაცი.

ერთიც, რატომღაც მიაჩნდათ, რომ სალამურზე მხოლოდ ვაჟებმა უნდა დაუკრან, მაგრამ, როცა მაყურებლის წინაშე ჩემი მოსწავლე, მე-2 მუსიკალური სკოლელი ნარი ზარქუა წარსდგა, მისი გამარჯვებით გავიხარე. დღეს სალამურზე ათობით გოგონა უკრავს და მესწავლის მსურველიც ბევრია.

... ამ ასაკოვან კაცს მესამერი ახალგაზრდული ენერგია და საქმის სიყვარული ახასიათებს. არ ისვენებს მისი მოულეელი მარჯვენა, ფანდურს სიმებს გაუბამს, ხმელ გოგს სულს ჩაუდგამს.

ნოტის ფურცელზე გადატანილი ახალი სიმღერის ტექსტი მაჩვენა, გარეკანზე წარწერაა: „ახალ საქართველოს! ტექსტი და მუსიკა შერმადინ დარჩიაშვილის. სიმღერა მიეძღვნა სასიქადულო ანსამბლს „ქართული ხმები".

...შერმადინმა ნოტებს დახედა და ახალშექმნილი სიმღერის მელოდიაც წაიღიღინა: „მრავალჟამიერ, საქართველოვ, იმერ-ამიერ, შენს ზეცას მარად მშვიდობა, მრავალჟამიერ"!..

**ნათელა ფაილოძე.**



რეპლიკა

## მძღოლთან ერთად დაისაჯნენ მგზავრებიც...

ხშირად ხდება ხოლმე, რომ ზოგიერთი ავტოინსპექტორი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არად დაგიდევთ ელემენტარულ ეთიკურ ნორმებს, რაც ხშირ შემთხვევაში მგზავრთა მიმართ უპატივცემლობით გამოიხატება.

2 მაისს საღამოს სწორედ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდნენ სასტუმრო „მეტეხი-შერატონ პალასთან" მდგარი ავტოინსპექტორები (ხუხუნი და ხარშილაძე), როცა მუქნიშანზე გაელის წესების დარღვევის გამო № 116 სამარშრუტო ტაქსის მძღოლი გააჩერეს მეტრო „300 არაგველთან" და მასთან საქმის გარკვევაში სამსახურიდან შინ მიმავალ მგზავრებს 20-25 წუთი დააკარგვინეს, რითაც მათი სამართლიანი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვიეს.

ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში, მძღოლის დასჯის დროს, მგზავრების ინტერესები არ უნდა ილახებოდეს.

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**

გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის წევრთა საყურადღებოდ!

1998 წლის 22 მაისს მოწვეულია გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის წევრთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. კავშირის წესდებაში ცვლილებების შეტანა
2. კავშირის გამგეობის არჩევნები.
3. კავშირის სარევიზიო კომისიის არჩევნები.
4. სხვადასხვა.

კავშირის წევრთა საერთო კრება ჩატარდება ქ. თბილისში 17.00 საათზე. მისამართი ვერცხლის ქ. №3. კავშირის წევრთა რეგისტრაცია იწარმოებს კრების მოწვევის ადგილას 16.00 საათიდან.

კავშირის გამგეობა.

შვილი იზო, სიძე ავთანდილ ბედია, რძლები ქეთინო ცანავა, ირინა ჯოჯუა, შვილიშვილები თეა, მიხო, ლევანი, ძმა ხუტა ბერულავა, და მარგო, ძმისშვილები ნელი, მზეონა, არჩილ ბერულავები, დისწულები თამარ, ელგუჯა კალანდიები ღრმესი მწუხარებით იუწყებიან

ქეთინა მიხეილის ასული ბერულავა-კალანდიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10. V. ქალაქ წალენჯიხაში.

---

მეუღლე ნოდარ გიოშვილი, შვილები ხათუნა, ქეთინო, ნინო, და ქეთინო კალაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მაყვალა გიორგის ასული კალაძე

პანაშვიდი 8,9 V, 5 სთ. გამოსვენება 10 V, 3 სთ. ძმ. ზუბალაშვილების ქ. № 2.

---

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება ღრმა გულისტკივილს გამოთქვამს ცნობილი საზოგადო მოღვაწის, დიდ ქართველ წინაპართადარი ჭეშმარიტი მამულიშვილის, ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორის, დღიდან დაარსებისა რუსთაველის საზოგადოების გამგეობის წევრის

ვახტანგ გურგენიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რუსთაველის საზოგადოების გამგეობის წევრები

აკაკი ბაქრაძე, თენგიზ სიგუა, გურამ გეგეშიძე, მამ[illegible] არეშიძე, კოტე კემულარია, მიხეილ სააკაშვილი, ელ[illegible] თევდორაძე, ირაკლი სურგულაძე, ლერი პაქსაშვილი, და[illegible] ტაკიძე, როსტომ ლორთქიფანიძე, ლევან ჩარკვიანი, ალ[illegible] ქსანდრე ჩხეიძე, ნუკრი ფაცურია, ჯიმშერ წიკლაური.

---



დედა ქეთევანი, მამა არჩილი, და თიკა, [illegible] ბია თინა, ბიძები გურამ, ანზორ თავართქილ[illegible] ძეები, გიორგი, ერეკლე ღამბაშიძეები იუწყ[illegible] ბიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

თეკლა არჩილის ასული ღამბაშიძე

პანაშვიდი 7,8 V, 5 სთ, ალ. ყაზბეგის 6, [illegible] მოსვენება 9 V, 3 სთ. წმინდა ნიკოლოზის [illegible] ლესიიდან.

---

დიდუბის რაიონის განათლების განყოფილება და მეთოდცენტრ[illegible] თანაუგრძნობს არჩილ და ქეთევან ღამბაშიძეებს

თეკლას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---



მეუღლე მარგო, შვილები ხათუნა, ბესარიონი, ბაია, და ბაბუცა, ძმა აკაკი, რძალი ვარდო, სიძეები ბენიამინ ხაჟალია, რატი დალაქიშვილი, მძახლები ბენიამინ დალაქიშვილი, თინათინ სალუქვაძე, შვილიშვილები, ძმისწულები, დისწულები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი ამბაკოს ძე ახობაძე

პანაშვიდი 8, 9 V, 5 სთ. გამოსვენება 10 V, 3 სთ. მოსკოვის გამზირი № 11, I სადარბაზო, მე-2 სართული.

---

ინსტიტუტი საქსახგზაპროექტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საავტომობილო გზების სისტემის ღვაწლმოსილ[illegible] მუშაკი

გიორგი ამბაკოს-ძე ახობაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მიმომხილველ მარადი ანასაშვილს დედის

ნინო ვასილის ასულ მოლაშვილი-ანასაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ალა, შვილები თინიკო, მანანა, სიძეები ნიკა კვინტრაძე, მირიან ბეგაშვილი, შვილიშვილები თამუნა, სოფო, მაკო, ბიძები გურამ თუხარელი, ჯემალ, ნოდარ მამულაშვილები, მზია, ნანა ოჯახებით, ბიძაშვილები ნანა, ინგა ქუთათელაძეები, რეზო თურნავა, თენგიზ მაგრაქველიძე, მძახლები ზაირა კოლბინა, მალეა კვინტრაძე, ნათელა, გიორგი ბეგაშვილები, ბიცოლა ტანია ბელიაევა, ცოლისდა ნინა, სიძე გურამ ჭეიშვილები მეოჯახეებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯონი ბორისის ძე ხუხუნაშვილი

პანაშვიდი 10, 11 V 5 სთ, გამოსვენება 12 V, 3 სთ. ყაზბეგის ქ. 36.

---

შვილები გიზო, ლევან დოლიძეები, რძლები ზაირა ბასილაშვილი, მზია მახარაძე, ქეთი ზაქარეიშვილი, სვეტა დოლიძე, შვილიშვილები მარინა, ლიკა, გია, დათო დოლიძეები, სიძე დათო ბაგრატიშვილი, შვილთაშვილები ლევანიკო, კოტიკო, თამუნა, გიგი[illegible] იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიზა არსენას ასული თოთიბაძე-დოლიძე

პანაშვიდი 8, 9 V 5 სთ. გამოსვენება 10 V 3 სთ. საბურთალ[illegible] ქ. № 40.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში, ხოშარაულის 29.